საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№32 (597)
15 - 21 სექტემბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



ღვთისმშობლობას ბილოცავთ, მარიამ ღვთისმშობლის წყალობა და მადლი არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს!
19




## რუსეთთან დიალოგი ქვეყნის ეკონომიკისთვის და რიგითი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია
3

## «გრუზვინპრომმა» უკვე 30 მილიონი გადაუხადა ქართველ გლეხებს მხოლოდ ერთ კვირაში

## აშშ-ის პოლიტიკური იმპოტენცია




## და ტელეეკრანებზე მროკავ ჭინკებად გარდასახული ქართველები
6-7

შეკითხვები... შეკითხვები... შეკითხვები...



ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი





რატომ არ წაუყენეს ბრალი წინა ხელისუფლების მთავარ დამნაშავეებს, პირველ რიგში, სააკაშვილს?
2

8


სააკაშვილი – დასავლეთის პროვოკაციის ინსტრუმენტი საქართველოს წინააღმდეგ



9
## ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული



## ვინც ინფორმირებულია, ის შეიარაღებულია!
10-11

4-5


## «ჰოი, უფალო, გვედრებ კივილით»

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლებას ხელს აძლევს გათიშული და დაპირისპირებული საზოგადოება, ეს დესპოტიზმია და ყველაზე საშიშია. გარეგნულად დემოკრატიაა, მაგრამ რეალურად — დესპოტიზმი. დესპოტისთვის მთავარია, ერთმანეთი არ უყვარდეთ ადამიანებს. ივანიშვილი დესპოტია, ქვეყანაში მისი წყალობით „გათიშე და იბატონეს“ პრინციპი მუშაობს. ეს ვრცელდება ხელისუფლებაზეც და ხალხზეც. ივანიშვილს საფრთხე არ ემუქრება არც ერთი მხრიდან — არც პოლიტიკოსებისგან და არც ხალხისგან“.**

# რატომ არ წაუყენეს ბრალი წინა ხელისუფლების მთავარ დამნაშავეებს, პირველ რიგში, სააკაშვილს?

**„ქართული ოცნება“, უკვე ცხრა წელიწადია, ნაცებს მკვლელებად, დამნაშავეებად, სამშობლოს მოღალატეებად მოიხსენიებს, მაგრამ 2012 წელს ქვეყნის სათავეში სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული ივანიშვილი და მისი გუნდი ამომრჩეველს აწბილებენ და მხოლოდ ლანძღვა-გინებით შემოიფარგლებიან. რას ფიქრობს ამომრჩეველი? რატომ არ სხედან ციხეში დამნაშავეები? რატომ ვერ წაუყენეს ბრალი წინა ხელისუფლების მთავარ დამნაშავეებს, მათ შორის, სააკაშვილს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ქართული მისიის“ დამფუძნებელი რამაზ გაგნიძე და „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრებიან.**



## „ნაცმოძრაობამ“ „ოცნებას“ კომპრომატების ომი გამოუცხადა“

**რამაზ გაგნიძე, „ქართული მისიის“ დამფუძნებელი:**

— „ნაცმოძრაობა“ კვებავს „ოცნებას“ და პირიქით... ეს ისევე ნათელია, როგორც ორჯერ ორი და ამას ცხრა წელიწადი ვუყურებთ.

ხელისუფლების საქციელი აიხსნება რამდენიმე აშკარა მიზეზით — ნაცებს აქვთ კომპრომატები „ოცნების“ წევრებზე, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ თავდაპირველად არც კი განიხილებოდნენ, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილი** აიძულეს, კომპრომეტირებული პერსონები მოეყვანა ხელისუფლებაში და აიძულეს ისეთმა ადამიანებმა, რომლებსაც ივანიშვილი უარს ვერ ეტყოდა. **„ნაცმოძრაობამ“ „ოცნებას“ კომპრომატების ომი გამოუცხადა.**

**— ძალიან სერიოზული ბრალდებაა. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ამას საფუძველი არ უნდა, ეს არ არის ჩემი მოსაზრება. **კოაბიტაციაც იმისთვის მოითხოვეს, რომ ნაცების მიერ ჩაწერილი კომპრომატები არ გამჟღავნებულიყო. პარლამენტართა უდიდეს ნაწილზე ჰქონდათ მათ ვიდეოები, აგრეთვე, ნაცებს გადაღებული ჰქონდათ ე.წ. დასავლელი პარტნიორების ცხოვრების კადრები, იმ „პარტნიორების“, რომლებიც დღეს აქტიურად უჭერენ მხარს ნაციონალებს და აშანტაჟებენ ხელისუფლებას.**

დასავლეთი დღეს დაკავებულია კაცების გამაუპატიურებელი ნაცების მხარდაჭერით, მათი „გაპრავებით“, რადგან „მიშისტები“ მათ ემუქრებიან იმ კადრების გამოქვეყნებით, რომლებიც ჩაწერილი აქვთ. **ნაციონალებს კომპრომატები აქვთ ყველაზე — ელჩებზე, ევროკავშირის, ევროპარლამენტის წარმომადგენლებზე, ამიტომ ისინიც და ჩვენი პარლამენტის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეუთანხმდნენ „ნაცმოძრაობის“ წევრებს: — თქვენ ხმა არ ამოიღოთ, ჩვენ თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებთო.** მოიგონეს კოაბიტაცია და ყოველი არჩევნების წინ გაიძახიან: „მიშა მოდის!“ მიშაც კმაყოფილია და ხელისუფლებაც.

**თითქმის ყოველ საღამოს ნაცები და ქოცები ერთად იკრიბებიან რესტორნებში და ჩვეულებრივად ქეიფობენ. ამ ქეიფში არის მდინარაძეც და ბევრი მაღალი თანამდებობის პირიც, ისეთი, რომელიც ხშირად იმეორებს სიტყვას „მკვლელი“.**

მიშას სულელური ბრალდებები წაუყენეს — ქვეყნის პრეზიდენტი იყო კაცი და ბიუჯეტის გაფლანგვა დასდეს ბრალად, ვერავინ გაბედა, ხმამაღლა ეთქვა, რომ **მიშა იყო თავიდათავი ამ ქვეყანაში მამაკაცების გაუპატიურების, ის უყურებდა ყველა კადრს, რომლებზეც კაცების გაუპატიურება იყო ასახული. დღეს უარობს ეს ნაძირალა და ამბობს, რომ არ იცნობდა მეგის ქარდავასა და „მასტერას“, მაგრამ ხელისუფლებაშიც იციან და ხალხმაც ვიცით, რომ სწორედ სააკაშვილი იყო ამ ყველაფრის დამკვეთი, შემსრულებლები კი — უამრავი, მათ შორის, ქარდავა და „მასტერაც“.** გარდა ამ საშინელებისა, თუ სურვილი ექნებოდა ხელისუფლებას მიშასთვის ბრალის წარდგენის, მიზეზის მეტი რა იყო?! კოაბიტაციამ ყველაფერი გადაფარა.

**სააკაშვილი მკვლელია, მოძალადე, კაცების გამაუპატიურებელი, სატანაა და ბოლოს — ბიუჯეტის ქურდი, მაგრამ ბიძინამ მისი დანაშაული „გააპრავა“. თავდაპირველად მიშა მართავდა ბიძინას, ახლა ბიძინა მართავს. ეს ხროვაა, ხროვა, რომელიც ქართველის განადგურებით არის დაკავებული.** არ მეგულება მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელშიც ხალხი ისე ეზიზღებოდეს პოლიტიკოსებს, როგორც ჩვენ ვეზიზღებით.

ასე რომ, ჩვენ იმაზე მეტი ვიცით, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ.

მართალია, ამომრჩევლის დიდი ნაწილი ისე იქცევა, როგორც ხელისუფლება იტყვის, იმ მუსიკაზე ცეკვავს, რომელსაც ხელისუფლება შეუკვეთავს, და მართალი ნათქვამია: „როგორიც არის ხალხი, ისეთია ხელისუფლებაც“-ო, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ამ ქვეყანაში ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ესმით და ყველაფერი იციან.

## «დასავლეთი დღეს დაკავებულია კაცების გამაუპატიურებელი ნაცების მხარდაჭერით, მათი «გაპრავებით», რადგან «მიშისტები» მათ ემუქრებიან იმ კადრების გამოქვეყნებით, რომლებიც ჩაწერილი აქვთ»



## „სააკაშვილი პოლიტიკოსია, მართალია, კომიკური, მაგრამ პოლიტიკოსი, რომელიც დასაჭერია, თუმცა ადეკვატური ბრალი არ აქვს წაყენებული“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— „მკვლელის“ ძახილი იაფფასიანი პოპულიზმია. ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი რიტორიკა ამომრჩეველზეა გათვლილი. „ოცნების“ ამომრჩეველი ბითურია და ეს, სამწუხაროდ, დანარჩენი საზოგადოების შეურაცხყოფაა.

**„ოცნება“ ხალხს, ამომრჩეველს ეუბნება: — ისინი მკვლელები არიან, მაგრამ მე პარლამენტში შევუშვი, ვეხვეწე, რომ შემოსულიყვნენ, ვთანამშრომლობ, როცა მჭირდება და ყოველთვის მჭირდება, მაგრამ, როცა საჭიროა, თქვენ გასაგონად ვამბობ, რომ მკვლელები არიან — გამოდის, მდინარაძეები და მისთანანი ხალხს სულელებად მიიჩნევენ და, თუ ეს ასე არ არის, მაშინ ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც ნაცებს მკვლელებს უწოდებენ და არ აპატიმრებენ, ცილისწამებისთვის უნდა გასამართლდნენ.**

**ხელისუფალთა ასეთი საუბრები წინასაარჩევნოდ იმ ამომრჩევლის ბრალია, რომელიც მათ ამ არგუმენტაციას ისმენს, ისმენს და არ უჩნდება შეკითხვა — მაშ, რატომ მფარველობთ მათ და რატომ მონაწილეობენ არჩევნებში მკვლელები?**

2013 წელს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ, სადაც ვთქვი, „ოცნებასა“ და ნაცებს ხელს აძლევთ ერთმანეთის არსებობა. ასევე პირველმა ვთქვი, რომ უნდა აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“. მაშინ არ იყვნენ არც მდინარაძეები და არც არავინ. **ბიძინამ გამოაძევრინა ვირთხები პოლიტიკურ ველზე. შესაძლოა, ეს არც იყო ბიძინას ინიციატივა, მას შესთავაზეს, „ძველი გვარდია“ მოაშორებინეს და ახლი გამოაყვანინეს ასპარეზზე.**

**— ამომრჩევლის დიდი ნაწილი არ არის „შტერი“, რადგან ყველას უჩნდება შეკითხვა — თუ მკვლელები არიან „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები, რატომ არ სხედან ციხეში შესაბამისი მუხლით? რატომ არ წაუყენეს ბრალდება სააკაშვილს? ნუთუ მხოლოდ ის იყო მისი ბრალი, რომ ბიუჯეტის ფულით პიჯაკები იყიდა? მე თუ მკითხავთ, სააკაშვილის მთავარი დანაშაულები 2008 წლის ომის გაჩაღება და ქვემო და შიდა ქართლში ათასობით ჰექტარი მიწის ბურებისთვის ჩუქებაა, რომლებიც დღეს ქართველებს ამუშავებენ დღიურ სარჩოზე და არც ჩამოდიან, ისე მიაქვთ აქედან მილიონები ჩვენი მიწის ქირის ფასად...**

— რაზე მელაპარაკებით?! სააკაშვილის დედამ რამდენიმე უზარმაზარი შენობა შეიძინა კაპიკებად, უფრო ზუსტად, იჩუქა. **იჩუქა ტაბახმელაში მართლაც ჰექტრობით მიწა, მაგრამ, ამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათ შორის ქვემო და შიდა ქართლში გაჩუქებულ მიწებს, 2008 წლის ომში ჩადენილი დანაშაული სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებისთვის საკმარისი იყო. თვითონ სააკაშვილმა სამშობლოს ღალატის შეთითხნილი ბრალდებით ძალიან ბევრი უდანაშაულო, თანაც არაპოლიტიკოსი ადამიანი გაასამართლა.**

სააკაშვილი პოლიტიკოსია, მართალია კომიკური, მაგრამ პოლიტიკოსი, რომელიც დასაჭერია, მაგრამ ადეკვატური ბრალი არ აქვს წაყენებული. თუკი ჩამოვა და დაიჭერენ, სულ რაღაც, ხუთი წლით ჩასვამენ...

**სააკაშვილი დასაჭერია, ის ტრიბუნალს უნდა გადასცენ 2008 წლის ომის დაწყებისთვის. მართალია, კრეტინები ამბობენ, რომ ომს საკუთარ ტერიტორიაზე როგორ დაიწყებდაო, მაგრამ დაიწყო მან საკუთარ ტერიტორიაზე ომი. სააკაშვილმა არ მოითხოვა ცხინვალიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა, არ მოახდინა ამ ძალების დელეგიტიმაცია, ისე დაარტყა ამ ძალებს. მან ასევე, დაარტყა მშვიდობიან მოსახლეობას, რომელთაც ძმებს ეძახდა.** ცხინვალში დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, სააკაშვილმა იქ „გრადები“ ისროლა, „გრადები“ მიზანში არ ისვრის, ის მასობრივად ანადგურებს ყველაფერს და მისი გამოყენება დანაშაულია. ამ ხელისუფლებამ, თუკი მართლა სურს სააკაშვილი ტრიბუნალს გადასცეს, აი, ეს უნდა დასდოს ბრალად, ეს უმარტივესი პროცესია.

**— რატომ არ აკეთებენ ამას? ამომრჩევლის უდიდეს ნაწილს ხომ სურს, რომ სააკაშვილი საბრალდებო სკამზე იხილოს? ამის თქმის საშუალებას მაძლევს ის, რომ არჩევნებში მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი მონაწილეობს, მათ „ოცნებამ“ სწორედ სამართლიანობის აღდგენის ნაწილში გაუცრუა იმედი...**

— ამომრჩევლის აზრი ხელისუფლებას არ აინტერესებს. მათ არჩევნებში ნებისმიერი პროცენტი ყოფნით გამარჯვებისთვის.

საქართველოში, რაოდენ სასაცილოდაც უნდა მოგეჩვენოთ, ზუსტად ისეთი პროცესები მიმდინარეობს, როგორც ევროპაში, მიუხედავად იმისა, რომ იქაური ყოფის შედარება აქაურთან წარმოუდგენელია. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს, როგორც ევროპაშია, შექმნას კოალიციური ხელისუფლება. მმართველი ძალა აიღებს 30 პროცენტს და შევა კოალიციაში უფრო მცირე პროცენტის მქონე პარტიასთან, ვინც არ უნდა იყოს ის. ხელისუფლების წარმომადგენლები ამას არც მალავენ. ისინი პატივს არ სცემენ ამომრჩეველს, რადგან ერთუჯრედიან არსებებად მიაჩნიათ. თუ ადამიანი მკვლელია, ის ციხეში რატომ არ ზის? და თუკი არ თვლი მათ რეალურად მკვლელებად და არ სვამ ციხეში, მაშინ ნუ კადრულობ ამ სიტყვის თქმას ამომრჩევლის გასაგონად, რადგან სულელი არავინაა და ყველამ ყველაფერი კარგად იცის.

**ხელისუფლებას ხელს აძლევს გათიშული და დაპირისპირებული საზოგადოება, ეს დესპოტიზმია და ყველაზე საშიშია. გარეგნულად დემოკრატიაა, მაგრამ რეალურად — დესპოტიზმი. დესპოტისთვის მთავარია, ერთმანეთი არ უყვარდეთ ადამიანებს. ივანიშვილი დესპოტია, ქვეყანაში მისი წყალობით „გათიშე და იბატონეს“ პრინციპი მუშაობს. ეს ვრცელდება ხელისუფლებაზეც და ხალხზეც. ივანიშვილს საფრთხე არ ემუქრება არც ერთი მხრიდან — არც პოლიტიკოსებისგან და არც ხალხისგან.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## «მიშა იყო თავიდათავი ამ ქვეყანაში მამაკაცების გაუპატიურების, ის უყურებდა ყველა კადრს, რომლებზეც კაცების გაუპატიურება იყო ასახული. დღეს უარობს ეს ნაძირალა და ამბობს, რომ არ იცნობდა მეგის ქარდავას და «მასტერას», მაგრამ ხელისუფლებაშიც იციან და ხალხმაც ვიცით, რომ სწორედ სააკაშვილი იყო ამ ყველაფრის დამკვეთი, შემსრულებლები კი — უამრავი, მათ შორის, ქარდავა და «მასტერაც»

**მხოლოდ კახელმა გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ მოწეული პროდუქტის უდიდეს ნაწილს რუსეთი ყიდულობს და, ეს მთელმა ერმა რომ გაიგოს, კარგად არ იმოქმედებს დასავლეთის რეიტინგზე; იმ დასავლეთის, რომელმაც ჩამოწერილი „ჯაველინები“ 75 მილიონად მოგვყიდა და კაცმა არ იცის, რისთვის ვიყიდეთ... მხოლოდ მოგვიანებით წამოსცდა ამერიკის ადმინისტრაციას, — „ჯაველინები“ მოძველებულია, სამხედრო შეიარაღებიდან უნდა ამოვიღოთო. და აგერ, ამოიღეს კიდეც, ოღონდ საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებს მიჰყიდეს.**

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლება ვერ ბედავს, ხმამაღლა თქვას, რომ რუსეთთან დიალოგი ქვეყნის ეკონომიკისთვის და, რაც მთავარია, რიგითი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

**ვაშლატამისა და ატმის მოსავლის დაბინავების შემდეგ საქართველოსთვის უმთავრესი დაიწყო — რთველი. კახელი გლეხები წელს მოსავალს არ უჩივიან და ახლა მთავარია, მოწეული ყურძენი გაყიდონ. ატამსა და ვაშლატამაზე გლეხებს მხსნელად რუსეთი მოევლინათ, რადგან, ყველასთვის მოულოდნელად, რუსულმა ბაზარმა ჩვენი მოსავალი მთლიანად გადაყლაპა და თანაც ხელსაყრელ ფასად — გლეხები კილოგრამს 3-4 ლარად აბარებდნენ. ძალიან სასიამოვნო იყო ფერმერთა კმაყოფილი სახეების ხილვა, მათ არც კი სჯეროდათ, რომ რუსული ბაზრის გააქტიურების შემდეგ პროდუქტის ფასი 20 თეთრიდან 3 ლარამდე თუ ავიდოდა. უსიამოვნო იყო, ხელისუფლებამ ამაზე თვალი რომ დახუჭა და ყური დაიხშო. მთავრობის წარმომადგენლებმა ახსენეს დუბაი, იქ 120 კილოგრამი ატამი გავიტანეთ თურმე; ახსენეს გერმანია, სადაც 200 კილომდე ხილი გავიდა, ამერიკაც კი, სადაც 354 კილოგრამი წაიღო ვიღაცამ და არ ახსენეს რუსეთი, რომელმაც ათიათასობით ტონა შეისყიდა და, მეტი რომ ყოფილიყო, იმასაც აითვისებდა.**

შემოდგომის პირველ ერთ კვირაში კახელმა გლეხებმა 57 ათასი ტონა ყურძენი უკვე ჩააბარეს. მათგან 34 ათასი ტონა რქაწითელია, დანარჩენი — საფერავი. რქაწითელს ქარხნები 90 თეთრად იბარებენ, საფერავის ფასი 1,80 თეთრია. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, ნამდვილი საფერავის ფასი ჩვეულებრივ ბაზარზე 4 ლარიდან იწყება. თუმცა ცუდი ის არის, რომ ამ უნიკალური ყურძნის ჯიშის შეძენის მსურველი ბევრია, შესაძლებლობა კი ძალიან ცოტას აქვს. კახეთში 250-მდე ღვინის კომპანია და მარანია, რომლებიც ყურძნის მიღების პროცესში ეტაპობრივად ჩაერთვებიან, მანამდე კი ყურძენს გურჯაანში სპირტის ქარხანა და... „გრუზვინპრომი“ იღებს. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით მთავარი მოთამაშეა ბაზარზე და ეჭვი გვაქვს, ასეთადვე დარჩება. მიზეზი მარტივია — ქართული ღვინის ქარხნების მფლობელებს თავიანთი ვენახები აქვთ და საკუთარი ყურძნის გადამუშავებით არიან დაკავებულნი. **„გრუზვინპრომმა“ უკვე 30 მილიონი გადაუხადა ქართველ გლეხებს და ეს მხოლოდ შემოდგომის საწყის ერთ კვირაში, მაგრამ, როგორც წესი, ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ დასცდენია, რომ ყურძნის მთავარი მიმღები და ფულის მთავარი გამცემი „გრუზვინპრომია“, რადგან... ამ ყველაფერს დასავლეთი ვერ გაიგებს. დასავლელი პარტნიორები არ მოიწონებენ რუსული კომპანიის არათუ დადებით კონტექსტში ხსენებას, არამედ, უბრალოდ, იმის თქმასაც კი, რომ საქართველოში ყურძნის მთავარი მიმღები რუსული სახელის კომპანიაა.**

საღვინე ყურძნის მიღებასთან ერთად, **საზღვარგარეთ გადაუმუშავებელი ყურძენიც გადის. აბა, თუ გამოიცნობთ, რომელი ქვეყანაა ამ მიმართულებით ლიდერი და სად გავიდა ყურძნის 95%? ჰო, რუსეთში და რუსულ ბაზარზე მოთხოვნა ისე დიდია, ქართველი გლეხები მას ფიზიკურად ვერ დააკმაყოფილებენ. რუსეთის გარდა, ყურძენი კიდევ 37 ქვეყანაში გაგვაქვს, მაგრამ 36 ქვეყნის წილი 5%-ს არ აღემატება...**

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები — მინისტრები, ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირები, მიდიან ქარხნებში, რომლებიც 1-2 მანქანა ყურძენს იბარებენ და არ მიდიან „გრუზვინპრომში“, რადგან ეს ოფიციალურად აკრძალულია. აკრძალულია იმიტომ, რომ **მხოლოდ კახელმა გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ მოწეული პროდუქტის უდიდეს ნაწილს რუსეთი ყიდულობს და, ეს მთელმა ერმა რომ გაიგოს, კარგად არ იმოქმედებს დასავლეთის რეიტინგზე; იმ დასავლეთის, რომელმაც ჩამოწერილი „ჯაველინები“ 75 მილიონად მოგვყიდა და კაცმა არ იცის, რისთვის ვიყიდეთ... მხოლოდ მოგვიანებით წამოსცდა ამერიკის ადმინისტრაციას, — „ჯაველინები“ მოძველებულია, სამხედრო შეიარაღებიდან უნდა ამოვიღოთო. და აგერ, ამოიღეს კიდეც, ოღონდ საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებს მიჰყიდეს.** „ჯაველინები“ საქართველოს გარდა აფრიკის რამდენიმე ქვეყანამაც შეიძინა და ჩვენგან აღებული ფულით ამერიკელებმა ახალი, თანამედროვე იარაღი შექმნეს. „ჯაველინებზე“ ერთიც ვთქვათ და მოვრჩეთ — იმის ნაცვლად, რომ სტრატეგიული პარტნიორი ცდილობდეს, ჩვენი ქვეყანა ომში არ ჩაებას და შეიარაღებულ კონფლიქტს თავი აარიდოს, იარაღს გვაძლევს, მზად იყავითო. ე.ი., ფიქრობენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ ისევ გაისროლოს და, ვისი მიმართულებით უნდა გაისროლოს, კი ხვდებით. ვაღიაროთ, რომ დასავლეთის პოზიციები ბოლო წლები საქართველოში საგრძნობლად შესუსტდა. ყველა კვლევა თუ გამოკითხვა ნათლად აჩვენებს, **მოსახლეობას ევროპისა თუ ამერიკის დაპირებების აღარ სჯერა. გამოკითხული ადამიანების 90%-ზე მეტი აღიარებს, რომ არ სჯერა საქართველოს ნატოში მიღების, მაგრამ ამ ყველაფერს მარტივად ფუთავენ — ეკითხებიან, გინდათ, რომ მიგიღოთო, და დადებით პასუხს ასაღებენ ისე, თითქოს მოსახლეობას სჯერა და მხარს უჭერს.** ერთია სურვილი და მეორე — მოლოდინი იმისა, რა შეიძლება მოხდეს. იმავე დასავლეთმა პანდემიის პერიოდში ნათლად გვაჩვენა, რომ ჯერ საკუთარ თავზე ფიქრობენ და შემდეგ — დანარჩენ მსოფლიოზე. ეს ყველაფერი ისე ნათლად გამოჩნდა, დასავლეთი იძულებული შეიქნა, ვაქცინის დოზები სხვებისთვის ეჩუქებინა და ამით სახე შეენარჩუნებინა, მაგრამ, რაც გვაჩუქეს, საკმარისი რომ არ აღმოჩნდა, კარგად მოგეხსენებათ.

და ამ ყველაფრის მიუხედავად, და მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ მშვენივრად იციან ქართველი ხალხის განწყობა, მაინც ჯიუტად ცდილობენ, ის დადებითი შედეგები, რომელიც, მაგალითად, რუსულ ბაზარს მოაქვს, არათუ შეფუთონ და სხვანაირად მოგვაწოდონ, არამედ გააქრონ, თითქოს არც არსებობს და **გვერწმუნეთ, საკმარისია, რაიმე შეფერხება მოხდეს რუსულ ბაზარზე, მაშინვე თითს გაიშვერენ : ჩრდილოელი მეზობელი მტრულად გვექცევაო.** აღარაფრს ვამბობთ იმაზე, რომ სწორედ ხელისუფლების ასეთი პოლიტიკის გამო ზაფხულში გაგვიძვირდა მთავარი საკვები — პური და ოქტომბრის შემდეგ კვლავ გაძვირება უკვე დაანონსებულია. ამასთანავე, საერთაშორისო ბაზარზე აღირიცხა ბუნებრივი აირის რეკორდული მაჩვენებელი — 1000 კუბური მეტრი 700 დოლარად, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნებრივი აირის გაძვირების საკითხიც აუცილებლად დადგება დღის წესრიგში. ამ მოლოდინების მიუხედავად, **საქართველოს ხელისუფლება ვერ ბედავს, ხმამაღლა განაცხადოს, რომ რუსეთთან პირისპირ საუბარი ქვეყნის ეკონომიკისთვის და, რაც მთავარია, რიგითი ადამიანებისთვის, შესაძლოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.** არადა, ხომ გამოჩნდა, რომ ევროპის 75 მილიონ ევროზე უარის თქმა არ იყო მტკივნეული. გადავიტანეთ, აპოკალიფსი არ დაწყებულა და ამას დასავლეთიც მიხვდა. თურმე არ ვყოფილვართ იმ 75 მილიონზე დამოკიდებულ-ჩამოკიდებულნი. ჰო, ევროპელებმა და განსაკუთრებით ამერიკის ელჩმა კი თქვა, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება გაუგებარია, ეს ფული ძალიან გჭირდებათო, მაგრამ... რაც მთავარია, **ამ თანხას სესხად გვაძლევდნენ და ოდესმე ხომ უნდა შევწყვიტოთ სესხის აღება, ხომ უნდა ვიფიქროთ ვალებიდან ამოსვლასა და ფინანსურ დამოუკიდებლობაზე?!**




> **«გრუზვინპრომმა» უკვე 30 მილიონი გადაუხადა ქართველ გლეხებს და ეს მხოლოდ შემოდგომის საწყის ერთ კვირაში, მაგრამ, როგორც წესი, ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ დასცდენია, რომ ყურძნის მთავარი მიმღები და ფულის მთავარი გამცემი „გრუზვინპრომია“, რადგან... ამ ყველაფერს დასავლეთი ვერ გაიგებს. დასავლელი პარტნიორები არ მოიწონებენ რუსული კომპანიის არათუ დადებით კონტექსტში ხსენებას, არამედ, უბრალოდ, იმის თქმასაც კი, რომ საქართველოში ყურძნის მთავარი მიმღები რუსული სახელის კომპანიაა**



ისევ ხილის ბაზარს დავუბრუნდეთ. ჯერ **სააკაშვილი,** შემდეგ კი „ოცნების“ ხელისუფლება ეცადნენ, ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზარი მოეძებნათ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი არ გამოვიდა. **ევროპამ და ამერიკამ არ მოისურვეს, ქართული პროდუქციის მთავარი მიმღები ყოფილიყვნენ და მთავარს ვინ ჩივის, მათი წილი ქართული პროდუქციის შესყიდვაში ისე მცირეა, სათქმელადაც არ ღირს. მათ არ შეიწუხეს თავი იმისთვის, რომ დიდი კომპანიები განზე გაეწიათ, აგერ, საქართველო მზარდი სახელმწიფოა, ნატურალური პროდუქტი აქვსო, და პროდუქტები ჩვენგან ეყიდათ. მათ, უბრალოდ, თავი არ შეიწუხეს და ასე იქნება მუდამ.** როცა საქმეში დიდი ფული ერევა, მაშინ საქართველო და მისი მსგავსი ქვეყნები არავის ახსოვს. ამ ყველაფრის მიუხედავად, **ხელისუფლება არ იმჩნევს რუსულ ბაზარს. არ იმჩნევს იმას, რომ ნებისმიერი ქართული პროდუქტის უდიდესი ნაწილი სწორედ რუსეთში გადის; არ იმჩნევს იმას, რომ თუნდაც ახლა უკვე ჩაბარებული ყურძნის უდიდესი ნაწილი „გრუზვინპრომმა“ მიიღო და ათეულობით მილიონი უკვე დაურიგა ქართველ გლეხებს.** ამას დასავლეთიც შესანიშნავად ხედავს და ხვდება. ხომ შეიძლება, დასავლეთმა 20 მილიონი ევრო გამოყოს და ქართული პროდუქტი შეიძინოს, მერე სათქმელიც ექნებათ, 20 მილიონი კი მისთვის არაფერია, მაგრამ პრეცედენტის შექმნაც არ სურთ. მშვიდად ადევნებენ მიმდინარე პროცესებს თვალს და ზუსტად იციან, რომ უახლოეს მომავალში ხელისუფლება ვერ გაბედავს ამაზე ხმამაღლა საუბარს. მერე კი... მერე რაღაც აუცილებლად უნდა შეცვალონ. ახლა საინტერესო ის არის, რა იქნება ის რაღაც. ეჭვი გვაქვს, საქართველოს მოსახლეობისთვის დასავლეთის ჩანაფიქრი კარგი არ იქნება, თუმცა **როდის იყო, დასავლეთი საქართველოს მოსახლეობაზე ფიქრობდა?!** აგერ, არჩევანს გვართმევენ და ნიშნულს გვიწესებენ, რომლის შემდეგაც გადაწყვეტენ, უნდა დავარღვიოთ საქართველოს კონსტიტუცია თუ არა.

**ბესო ბარბაქაძე**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სისხლსმოწყურებული მტრები გვყავს შინ! ჩვენი ერის ღირსებას ფეხქვეშ რომ თელავს, ეროვნულ ცნობიერებას რომ გვინგრევს, ზნეობას რომ გვირყვნის, წარსულს რომ გვიგინებს, ეროვნულ გმირებს აბუჩად რომ იგდებს, რწმენასა და სარწმუნოებას რომ შეურაცხყოფს, საკუთარი ადათ-წესების, ტრადიციებისა და ხელშეუხებელი ეროვნული ღირებულებების დამცველებს „ბნელებსა“ და „მონებს“ რომ უწოდებს, მტერია, აბა, რა ჯანდაბა და ოხრობაა!**

# «ჰოი, უფალო, გვედრებ კივილით»

**ჯოჯოხეთის კუპრში საბანაო საგზური „ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს“, ჩემი ერის ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ადათ-წესების, სარწმუნოებისა და რწმენის შემგინებლებს, აბუჩად ამგდებთ, წამბილწველებს, სოდომური ცოდვის პროპაგანდისტებს!**



**ვინ ჰკითხავს უცხო ქვეყნის ელჩს, ჩემს ქვეყანაში ბოზების აღლუმს ჩავატარებინებ ვინმეს თუ სულაც იმპოტენტების მიტინგს? შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებული შეთანხმების ერთგული დავრჩები თუ ანგელა მერკელის დირექტივისა? როგორც იტყვიან ხოლმე, ყველამ თავის ... მამიდას მიხედოს, მაგრამ ვინ გვაცლის ჩვენი მამიდის მიხედვას. ესეც თურმე ჩვენი «სტრატეგიული მოკავშირის» ელჩზე ყოფილა დამოკიდებული...**

ღმერთო, ეს რა უბედურებაა! ადამიანის რა საშინელი გადაგვარების მხილველი გამხადე!

ვიცოდი მეც და ბევრმა სხვამაც, რასაც გვიქადდა ე.წ. ნეოლიბერალიზმისა და „პიროვნების სრული თავისუფლების“ სატანისტური იდეების სულგაყიდული და ტვინდამახინჯებული ადეპტების შემოტევა, რომლებსაც ჩვენი ქვეშაფსია და ფულზე დახარბებული პოლიტიკოსების სრული მხარდაჭერა აქვთ, მაგრამ... ამდენი თუ იყვნენ უკვე, როგორ ვიფიქრებდი ამას!

ღმერთმა აცხონოს **ჟან-პოლ სარტრი,** რა მართალი უთქვამს: ადამიანი თავისუფლებით არის დაწყევლილიო!

5-მა ივლისმა უკლებლივ ყველას ლუსტრაცია მოახდინა! 5 ივლისი იმ ერთგვარ აბანოდ იქცა, რომელშიც ყველასათვის საჩინოდ გამოჩნდა თეთრი და შავი.

ვაჲა, ჩქიმ ცოდა! რამდენი შავი და მახინჯი ყოფილა ჩვენს გვერდით, რამდენი ცოდვიანი ძაღლიშვილი ყოფილა ჩვენს შორის...

გახსოვთ, ალბათ, კონსტანტინე გამსახურდიამ რომ ათქმევინა მეფე გიორგის „დიდოსტატის მარჯვენაში“: „ქვეყანას, რომელსაც ამდენი მოღალატე ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“-ო. მეფე გიორგის რა უჭირდა, მოღალატეები მომრავლებია, თურმე. ჩვენ რა ვქნათ, როცა მარტო მოღალატეები კი არა, სისხლსმოწყურებული მტრები გვყავს შინ! ჩვენი ერის ღირსებას ფეხქვეშ რომ თელავს, ეროვნულ ცნობიერებას რომ გვინგრევს, ზნეობას რომ გვირყვნის, წარსულს რომ გვიგინებს, ეროვნულ გმირებს აბუჩად რომ იგდებს, რწმენასა და სარწმუნოებას რომ შეურაცხყოფს, საკუთარი ადათ-წესების, ტრადიციებისა და ხელშეუხებელი ეროვნული ღირებულებების დამცველებს „ბნელებსა“ და „მონებს“ რომ უწოდებს, მტერია, აბა, რა ჯანდაბა და ოხრობაა!

სიძულვილის ენა არ გამოიყენოთო, — წამდაუწუმ დაგვჩხავიან თავზე ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი „სტრატეგიული პარტნიორები“ და თავგადაკლული „მეგობრები“. რა ბაბასილი გინდათ, არამკითხე დამრიგებლებო: მტერს მოფერებითა და ენის მოჩლექით ველაპარაკოთ? ეს გინდათ? თქვენ თვითონ თუ მიგიციათ სიყვარულისა და შემწყნარებლობის მაგალითი სხვისთვის? იქნებ შეგახსენოთ თქვენი „შემწყნარებლობისა“ და „კეთილგანწყობის“ მაგალითები, ჰა? ამერიკელო „შემწყნარებლებო“ და ლიბერალებო, აგერ ახლახან და არა ისტორიულ წარსულში, ატომური ბომბი რომ ხეთქეთ მძინარე ჰიროსიმას თავში და მთელი ქალაქი აღგავეთ პირისგან მიწისა, ჰუმანიზმისა და შემწყნარებლობის მაგალითი იყო ეს? ან ჰიროსიმის ტრაგედიიდან მესამე დღეს მეორე ქალაქი რომ ამოუჟუჟეთ ისევ ატომური ბომბით უკვე თითქმის კაპიტულირებულ იაპონიას, იქნებ ეს იყო ჰუმანიზმის ნიმუში? არა? აბა, დემოკრატიის გაკვეთილებს რომ უტარებთ მსოფლიოს, ხომ არ დაგავიწყდათ, საუკუნე-ნახევრის წინათ 20 მილიონიან აშშ-ში 5 მილიონი შავკანიანი მონა რომ იყო? ან იქნებ არ გახსოვთ, აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლისთვის რომ მოკალით **მარტინ ლუთერ კინგი** აგერ, ამ ნახევარი საუკუნის წინათ და არც ახლაა იშვიათი რასობრივი დისკრიმინაციის მაგალითები თქვენში.

**ამნეზია თუ არ დაგმართნიათ, „ძვირფასო“ დამრიგებლებო, გაიხსენეთ, რას ამბობდით, ამბობდით კი არა, მსოფლიოს გასაგონად გაჰყვიროდით: არიქა, სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების ქიმიურ იარაღს ამზადებს და კაცობრიობის ეს დაუძინებელი მტერი უნდა მოვსპოთო. სიყვარულის ენა იყო ეს? მერე და ვინ იყენებდა ამ სიყვარულისა და მეგობრობის ენას?** ვინ და, დემოკრატიისა და თავისუფლების „ფორპოსტი“ სახელმწიფოების — აშშ-ისა და ინგლისის — ხელისუფალნი! მერე რა მოჰყვა ამას? ის მოჰყვა, რომ ამერიკელი „კეთილისმყოფელები“ შეიჭრნენ ერაყში, სასტიკად გაუსწორდნენ ერაყელ ხალხსა და მის ლიდერს — სადამ ჰუსეინს და ... ვერანაირი მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების კვალიც ვერ იპოვეს. ინგლისის პრემიერმინისტრმა **ტონი ბლერმა** „დარცხვენილმა“ განაცხადა, — დაზვერვამ შეგვიყვანა შეცდომაშიო. ანგლო-ამერიკელ „დემოკრატებს“ შეეშალათ, ერაყი, როგორც სახელმწიფო, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, მის ნავთობს კი გამოუჩნდა პატრონი; ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ!

**ის, რაც აყვავებულ ლიბიას დამართეს „სიყვარულის ენით“ მოსაუბრე დასავლელმა „დემოკრატებმა“, ამის გონივრული ახსნა, მე მგონია, თვითონ მათაც არ აქვთ. სირიასა და იუგოსლავიაზე აღარაფერს არ ვიტყვი, სერბეთისაგან კოსოვოს ჩამოგლეჯის ცოდვა ეყოფათ ნატოელ ქორებსა და მათ ბაზიერებს ჯოჯოხეთის კუპრში საბანაო საგზურისათვის. ერაყელებმა, ლიბიელებმა, სირიელებმა, სერბებმა სიყვარულითა და მადლიერებით უნდა გაიხსენონ საკუთარი დამაქცევლები? არა, თუ სურვილი აქვთ, ასეც მოიქცნენ, მაგრამ ასეთი სურვილი რატომ უნდა გაუჩნდეთ?!**

ჩემი ერის ისტორიული წარსულის გამბიაბრუებლებს, ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ადათ-წესების, სარწმუნოებისა და რწმენის შემგინებლებს, აბუჩად ამგდებთ, წამბილწველებს, სოდომური ცოდვის პროპაგანდისტებს მტრად მივიჩნევ და ასეთი მტრის შეყვარება დანაშაულად და უპატიებელ ცოდვად მიმაჩნია. მათ ვძულვართ ჩვენ, ჩვენი განადგურება-გადაგვარება უნდათ, ისინი მტრები არიან და ამიტომ მათ მიმართ ჩემი სიძულვილი მხოლოდ საპასუხოა. მტრის მიმართ მუდამ საპასუხო სიძულვილით ვილაპარაკებ იმის მიუხედავად, შეშფოთდებიან და გაბრაზდებიან თუ არა შინაური თუ გარეშე მაღალჩინოსანი ბოსები!

ჩვენი გაზეთის მკითხველს ამის შეხსენება არ სჭირდება, მაგრამ ჩვენშიც და სხვაგანაც არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მტერი და მოწინააღმდეგე ერთი და იგივე ჰგონიათ. ეს ასე არ არის. მტერი ის არის, ვინც შენს განადგურებას ცდილობს ყველა საშუალებითა და ხერხით — ძალით, ღალატით, ცილისწამებით, სიცრუით, მორალური და ფიზიკური ტერორით, მოსყიდვით, პროვოკაციით და ა. შ., ამიტომ არ არის იგი დასანდობი და მიტევების ღირსი.

მოწინააღმდეგე სხვაა! მას შენგან განსხვავებული პრინციპები, შეხედულებები, მრწამსი და იდეოლოგია აქვს, რაც, თავისთავად, შეიძლება პატივისცემას იმსახურებდეს. ამიტომ არის ისტორიაში ღირსეული მოწინააღმდეგის დაფასებისა და პატივისცემის არაერთი მაგალითი; ბოროდინოს ბრძოლაში **ბაგრატიონმა,** ფრანგი ქვეითების საოცარი წესრიგით შეტევაზე გადასვლას რომ უცქირა, ალტაცებულმა შესძახა: „ბრავო, ბრავო, ფრანცუზი!“ ან **ნიკოლოზ გოსტაბაშვილისა** და სპარსელი მეომრის შერკინების ეპიზოდი გავიხსენოთ **ილია ჭავჭავაძის** ცნობილი მოთხრობიდან, ღირსეული მოწინააღმდეგეობაა!

**უცხოური ფულით მოსყიდული რაღაც ორგანიზაციები ათას სიბინძურესა და ტყუილს რომ გაჰკივიან: ღამის სამ საათზე პარლამენტის შენობაში „მშვიდობიანად“ შეჭრის მონაწილე „მშვიდობიან შტურმავიკებს“,„სადისტმა“ პოლიციელებმა რეზინის ტყვიები დაუშინეს, თვალები დასთხარეს და, სანამ ყველა თქვენგანისათვის არ დაუთხრიათ თვალები, გამოდით და დავამხოთ ეს ხელისუფლებაო, რა ჰქვია ამ საქციელს? ეს არის არა ვინმე გახარიას ან ბომბორაშვილის საწინააღმდეგო მოწოდება, არამედ ქვეყნის მტრობა! მტერს კი მტრულად უნდა მოექცე!**

ვიღაც ნაძირალა ტელევიზიით ყველას გასაგონად რომ ჰკადრებს ქართველებს, ჩაგიფსით მაგ ღვინოშიო, ამის მერე ის თხაწვერა არაკაცი „მთავარი“ სატელევიზიო არხის დირექტორად და აქტიურ „პოლიტიკოსად“ რომ დარჩება, ვინმეს დემოკრატია და გამოხატვის თავისუფლება ჰგონია ეს? სუფთა, წყალგაურეველ ღვინოს საქართველოში ზედაშე ჰქვია და იგი ისეთივე სიწმინდეა, როგორც მირონი, და მის თუნდაც სიტყვიერ წაბილწვას რომ შეარჩენს ვინმეს ქართველი კაცი, ის ტოლერანტი და შემწყნარებელი კი არა, მთხლეა და ისეთ მოპყრობას იმსახურებს, როგორსაც მთხლე.

სწორედ ამიტომ არის, რომ, რასაც ახლა საქართველოს შინაური თუ გარეშე მტრები სჩადიან, არანაირი წესებითა თუ წესების გარეშე ბრძოლის ჩარჩოებში არ მოიაზრება, ეს არის სისხლს მოწყურებული აფთრების შემოსევა. აფთრები მსხვერპლს არ კლავენ, პირდაპირ ცოცხლად გლეჯენ. აი, ასე გვექცევიან ჩვენ!

საქართველოს მტრებს მახვილი აშკარად გაშიშვლებული აქვთ და აღარც ცდილობენ ამის შენიღბვას. „ვინცა აღიღოს მახვილი, მახვილითვე წარსწყდეს“, — გვასწავლის სახარება. ჭეშმარიტად! უნდა წარსწყდეს, გადარჩენა თუ გვინდა!

უნდა წარსწყდეს, მაგრამ...

5 ივლისს და მის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო! სად ვართ, საქართველოში ქართველებს აღარ დაგვედგომება? არანაირი პატრონი აღარ გვიცავს?

კი, ბატონო! გაუმარჯოს გულნათელ ქართველ პატრიოტებს, რომლებიც 5 ივლისს ქუჩაში გამოვიდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მთელი ნეოლიბერასტული, სოდომის ცოდვით დამძიმებული, სატანისტური „იდეოლოგიის“ „ძლიერნი ამ ქვეყნისანი“ სრულ მხრდაჭერას უცხადებენ ჩვენებურ ლგბტ-ის მახინჯი ტვინისა და ზნეობის მიმდევრებს, მაინც არ წააბილწვინეს ჩვენი დედაქალაქი! მაგრამ მერე...

**არაორგანიზებული ხალხი, თუნდაც მთელი მოსახლეობის 95%, როგორ მოახერხებს ამ კარგად დარაზმული, ცოდვილიანი ფულით ავსებული მტრის შემდგომი შემოტევების აღკვეთას? ტელევიზიები იმათია (ერთი-ორი გამონაკლისის, თანაც ღარიბი არხის გარდა), უცხო სახელმწიფოთა ელჩები (ალბათ, მათი სახელმწიფოების მთავრობებიც!) მათ აშკარად და აგრესიულად უჭერენ მხარს.**

ჩვენ მიერ არჩეული ხელისუფლება... რა ვთქვა, არ ვიცი ... არა, როგორ არ ვიცი, მაგრამ თქმა მიჭირს!

ისე იქცევიან ეს ჩვენი „რჩეულები“, რომ არავითარი პრინციპი მათ საქციელში არ ჩანს, ამიტომ ძნელია, ხალხმა არ დაგიჯეროს, თუ იტყვი, რომ ესენი ნამდვილი ვირეშმაკები არიან, რასაც თბილისურად „ჩათლახობა“ ჰქვია. არადა, მე მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკის უნარი არ მაქვს, შეფარულ და მოარებით საუბარს ვერ ვახერხებ.

პირდაპირ ვიტყვი: **ასეთი ურცხვად მატყუარა, ქვეშაფსია, უთავმოყვარეო და უღირსებო არც ხელისუფლება მინახავს აქამდე და არც ქუჩის მათხოვარი. ამდენი ტყუილით გაბრიყვებული ჩვენი უბედური ხალხის უმრავლესობა ვერც ხელისუფლების ორპირობასა და ჩათლახობას ხვდება და ვერც ოპოზიციის სრულ მარაზმსა და პიტალო სიგიჟეს. ხალხის უმრავლესობამ იმის უნარიც დაკარგვა, მცოდნე, ერთგულ და პატრიოტ თანამემამულეებს მოუსმინოს:** ჯერ ამაოდ დაშვრა **ალექსანდრე ჭაჭია,** უნიჭიერესი პოლიტოლოგი და მეცნიერი; ახლა ამაოდ ირჯება ცნობილი პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი **ვალერი კვარაცხელია;** უნიჭიერესი ქართველი პუბლიცისტები: **ბესო ბარბაქაძე, დავით მხეიძე, გია გაბრიჭიძე, ჯაბა ხუბუა, გულბაათ რცხილაძე, დიტო ჩუბინიძე, არმაზ სანებლიძე, გიორგი გიგაური** და სხვანი, მაგრამ რად გინდა: „კაცი არა ჩანს შამყრელი და წინ გამძღოლი ჯარისა“ ან ჯარი სად არის ნეტავი? ჩვენს ხელისუფლებას თავმოყვარეობის ნიშანწყალი რომ არ ატყვია, ყველა ჭკუათმყოფელი ხვდება, ალბათ, ამას. ასე რომ არ იყოს, უცხო ქვეყნის ელჩს როგორ გააბედვინებდნენ იმის თქმას, საქართ- ▶

**ქართველ ხალხზე ძალადობს ე.წ. ლგბტ „თემი", ლგბტ-თა თანამოძმე ლიბერასტები, უცხო ქვეყნის ელჩები და გადამთიელი არამკითხე ბიძია-დეიდები, ევრორაღაც ორგანიზაციის ლიდერები და აქტივისტები; აი, მათ წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველ პატრიოტებს აპატიმრებს ხელისუფლება, იმ ადამიანებს აპატიმრებს, რომლებიც თავიანთ ეროვნულ კულტურას, ტრადიციებსა და ადათ-წესებს, ანუ ქართველობასა და სამშობლოს იცავენ.**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ის, რაც აყვავებულ ლიბიას დამართეს «სიყვარულის ენით» მოსაუბრე დასავლელმა «დემოკრატებმა», ამის გონივრული ახსნა, მე მგონია, თვითონ მათაც არ აქვთ. სირიასა და იუგოსლავიაზე აღარაფერს არ ვიტყვი, სერბეთისგან კოსოვოს ჩამოგლეჯის ცოდვა ეყოფათ ნატოელ ქორებსა და მათ ბაზიერებს ჯოჯოხეთის კუპრში საბანაო საგზურისთვის. ერაყელებმა, ლიბიელებმა, სირიელებმა, სერბებმა სიყვარულითა და მადლიერებით უნდა გაიხსენონ საკუთარი დამაქცევლები?

◀ველოს ხელისუფლების მოქმედებით ძალიან გაბრაზებული ვარო. რატომ არის გაბრაზებული და იმედგაცრუებული? რა, მის ქვეყანას დაუშავეს რამე? არაფერი! **შარლ მიშელის** მიერ თავსმოხვეული ხელშეკრულება გააუქმეს, ეს არის და ეს! მისი რჩევა არ გაითვალისწინა თურმე საქართველოს მთავრობამ ახლაც და მაშინაც, როდესაც მამათმავლებისა და ლესბოსელების აღლუმის ჩატარება ვერ უზრუნველყო!

**ვინ ჰკითხავს უცხო ქვეყნის ელჩს, ჩემს ქვეყანაში ბოზების აღლუმს ჩავატარებინებ ვინმეს თუ სულაც იმპოტენტების მიტინგს? შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებული შეთანხმების ერთგული დავრჩები თუ ანგელა მერკელის დირექტივისა? როგორც იტყვიან ხოლმე, ყველამ თავის ... მამიდას მიხედოს, მაგრამ ვინ გვაცლის ჩვენი მამიდის მიხედვას. ესეც თურმე, ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირის" ელჩზე ყოფილა დამოკიდებული...** ახლა ვინმემ რომ მისაყვედუროს: ჩვენს ხელისუფლებას რას ერჩი, მან ძალიანაც პრინციპული პოზიცია დაიცვა 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებითო, ხომ უნდა განვმარტო ჩემი გვარიანად ეკლიანი შეფასება?

ჰო, და ჩვენი ხელისუფლების საქციელს რომ ვაკვირდები, ის მოსამართლე და მამასახლისი მიდგებიან თვალწინ, მიხეილ ჭიაურელის ფილმის პერსონაჟები რომ არიან. ქალაქიდან ჩასული ყარაჩოხელების შეკითხვაზე — ბატონმა რომ გოგიას საპატარძლო გაიტაცა, კანონით ჩვენ გვეკუთვნის თუ არაო, ასე პასუხობენ: „ჰოო, გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნით!"-ო. ა, ბატონო, ნახეთ, თუ ასე არ არის ჩვენშიც:

პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** და „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** თავიანთ საჯარო გამოსვლებში არაერთხელ აღნიშნეს, რომ „მთავარი არხის", „ტვ-პირველის", „ფორმულას", „რუსთავი 2"-ის ტელეარხებზე მომუშავე სუბიექტები ჟურნალისტები არ არიან, ისინი „ნაცმოძრაობის" პარტიული ზონდერების წარმომადგენლები არიანო. სრული სიმართლეა! სუბიექტს, რომელიც პოლიტიკურ განცხადებებსა და შეფასებებს აკეთებს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა თუ ჯგუფის მიზნების შესაბამისად, ჟურნალისტის პროფესიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ზემოჩამოთვლილი ტელეარხების კამერებითა და მიკროფონებით შეიარაღებული სუბიექტები ეროვნული ღირსების დასაცავად გამოსულ ხალხს რომ მისდევდნენ და დასჩხაოდნენ: „პუტინის მონებო"-ო, ჟურნალისტები არიან? მიკროფონებითა და კამერებით შეიარაღებულმა ბრბომ პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** ალყაში რომ მოაქცია, ყველა ერთხმად რომ ეყაყანებოდა (ვითომ კითხვებს რომ უსვამდნენ!) და ერთმა ეგზალტირებულმა „შემკითხველმა" მიკროფონი რომ მიარტყა თავზე და საპასუხოდ გია ვოლსკიმ ხელი რომ აუკრა თავდამსხმელს მიკროფონზე, ვინ ვისზე ძალადობდა? ჩვენ ხომ ყველამ ვიხილეთ ეს? იმ მაგრად საცემმა მიკროფონიანმა თავდამსხმელმა რომ იკივლა, როგორ ექცევი მიკროფონიან ჟურნალისტსო, მისი კივილი სამართლიან პროტესტად მიიჩნია ვინმემ? **ნამეტანავად მომთმენი კაცი ყოფილა გია ვოლსკი! მე იმ მიკროფონიან ალქაჯის ნაშიერს იმ მიკროფონს გამოვგლეჯდი ხელიდან და, სხვას თუ ვერაფერს მოვახერხებდი, იმ ცარიელ თავში ჩავათხლეშდი მაინც! ეძახათ მერე ჩემთვის მოძალადე და ბნელი ძალის წარმომადგენელი ჭკუაზე და სხვა რამეზეც მწყრალად მყოფ გრიგოლიებს, მელაძეებს, გვარამიებს, სანაიებს, ჯანგირაშვილებსა და მათ მსგავსებს ... აი დარდი...** მართალი თქვეს ღარიბაშვილმა და კობახიძემ ზემოჩამოთვლილი ტელეარხების მიკროფონ-კამერიანი ზონდერაქტივისტების შესახებ და „ბრავო" მათ ამის თქმისთვის! ჰო, მაგრამ პოლიციამ ათობით კონტრაქციის მონაწილე პატრიოტი რომ დააკავა ჟურნალისტებზე ძალადობის ბრალდებით, როგორ დავუკავშიროთ ეს იმ მაღალჩინოსნების განცხადებებს? იქნებ პოლიცია, ჩვენს ხელისუფლებას კი არა, უცხო ქვეყნის გაბრაზებულ ელჩს ემორჩილება? სწორედ ასეთ სიტუაციაში იტყვიან ხოლმე, „ვერ გაიგებ, ვისი ვიოლინო ვის როიალშიაო". ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, არც როიალი გვაქვს და არც შესანახი ვიოლინო, ამიტომ გულდაგულ ვკითხულობ: არ არის ეს ხელისუფლების „დურუშნიკობა" — სიტყვისა და საქმის ერთმანეთისგან სრული გათიშვა?

**ქართველ ხალხზე ძალადობს ე.წ. ლგბტ „თემი", ლგბტ-თა თანამოძმე ლიბერასტები, უცხო ქვეყნის ელჩები და გადამთიელი არამკითხე ბიძია-დეიდები, ევრორაღაც ორგანიზაციის ლიდერები და აქტივისტები; აი, მათ წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველ პატრიოტებს აპატიმრებს ხელისუფლება, იმ ადამიანებს აპატიმრებს, რომლებიც თავიანთ ეროვნულ კულტურას, ტრადიციებსა და ადათ-წესებს, ანუ ქართველობასა და სამშობლოს იცავენ.**

ჩვენ ჰომოფობები არ ვართ, რადგან ეჭვიც არ გვეპარება, რომ ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა მძიმე ბიოფსიქიკური დაავადებაა, ნორმიდან საბედისწერო გადახრაა და ამ ადამიანებს მკურნალობა და საზოგადოების დახმარება სჭირდებათ, მაგრამ ავადმყოფების აგრესიული შემოტევა ყოველთვის უნდა აღიკვეთოს, რათა ჯანსაღი თაობა გადარჩეს, არა მარტო ვირუსული დაავადებებია გადამდები, არამედ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაც (მაგალითად, დიდი თავშეყრის დროს — მიტინგზე, აღლუმზე და ა.შ.). ეს იცის ყველა ნორმალურმა ფსიქოლოგმა და მედიცინაში ჩახედულმა ნებისმიერმა ადამიანმა და არ იციან ეს ვითომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მესვეურებმა და მათ დაკრულზე მოცეკვავე ეროვნული სახელმწიფოების მეთაურებმა?



რაც შეეხება პედერასტთა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამკვიდრებულ ტერმინს, არასტანდარტულ სექსუალურ ორიენტაციას, რომელიც, თურმე, მამათმავლებმა და ლესბოსელებმა აირჩიეს, აზრობრივად სრული სისულელეა. სექსუალური ორიენტაციები თუ არსებობს, მაშინ, ცნობილი უფლებადამცველის **გელა ნიკოლაიშვილის** თქმისა არ იყოს, კულინარიული ორიენტაცია არ არსებობს? კანიბალს ადამიანის ხორცის ჭამა ურჩევნია ყველაფერს, ირმის მწვადსა და ხოხბის ჩახოხბილსაც. ხვალ რომ კანიბალებმა მოინდომონ აღლუმის ჩატარება, რას იტყვიან მაშინ „ჩვენი" დასავლელი ლიბერასტები? თუმცა, არ მგონია, ისინი ძალიან შორს იყვნენ კანიბალების მხარდაჭერისაგან. აგერ, შუაგულ ევროპაში, ნორვეგიაში, ვინმე **ბრეივიკმა** 77 ადამიანი მოკლა ერთ დღეს, სრულიად უმიზეზოდ, მათ შორის ქართველი გოგონაც. 77 უდანაშაულო ადამიანის მკვლელს 21 წელი პატიმრობა მიუსაჯეს, ახლა ის სატანის ნაშიერი ჩივის: სასჯელის ნახევარი ხომ მოვიხადე და რაღას უყურებთ, გამათავისუფლეთო. გაათავისუფლებენ, ალბათ! აი, ასეა ჭკუაზე გადასული ნახევარი მსოფლიო და სწორედ იქით მიათრევენ საქართველოსაც. საკაცობრიო გამოცდილებამ უდავოდ დაადასტურა, რომ წესრიგი, სამართლიანობა, განვითარება არის იქ, სადაც ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია: შავს — შავი, თეთრს — თეთრი, ავს — ავი, კარგს — კარგი. ჯერ კიდევ როდის გვითხრა ჩვენმა ბრძენკაცმა **დავით გურამიშვილმა**: „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?" ახლა კი, **რა ხდება ჩვენში? ავსა თუ ავი უწოდე, ეს სიძულვილის ენის გამოყენებაა და ამისთვის უნდა დაისაჯო. ამიტომ, თუ დაინახე, რომ კაცი კაცს მისდგომია და იმას უშვრება, ატეხილი ბუღა რომ უშვრება ხოლმე ატეხილ ძროხას, უნდა მიიჩნიო, რომ იმ ორ „კაცს" ასეთი ორიენტაცია აურჩევია და, ბედნიერებას თუ არ უსურვებ, ჩუმად მაინც უნდა აუარო გვერდი.** განა უკვე ასე არ არის ჩვენში? აბა, მითხარით, რომელ ნორმალურ ქვეყანაში ერქმეოდათ პოლიტიკოსები **ელენე ხოშტარიასა** და **თინა ბოკუჩავას, ნიკანორ მელიასა** და **კაკოია ბოზოხიძეს, ბადრი ჯაფარიძესა** და **გირჩი ჯაფარიძეს, გუბაზ სანიკიძესა** და **ირმა ნადირაშვილს,** მათ მსგავსებს საერთოდ... ანდა ჟურნალისტებად ვინ მოიხსენიებდა ბილწი ნაძირალების ტანდემს — **ნიკა გვარამიასა** და **გიორგი გაბუნიას,** მათ მსგავსებს ავად ცნობილი ტელეარხებიდან?! ჩვენთან ასეა; ადამიანს იმად კი არ მოიხსენიებენ, ვინც არის, არამედ იმად, რასაც მას „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" დააბრალებენ. ასე დააბრალეს პრეზიდენტობა ვიღაც მარგველაშვილსა და ასევე ვიღაც ზურაბიშვილს, პრემიერმინისტრობა — ვიღაც ბახტაძესა და ვიღაც კვირიკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეობა — ვიღაც თალაკვაძესა და ვიღაც კუჭავას, საგარეო საქმეთა მინისტრობა — ვიღაც ფანჯიკიძესა და ვიღაც ზალკანიანს, განათლების მინისტრობა — ვიღაც ჯეჯელავასა და სხვა ჯეჯელავებს... საშველს ვერ ვხედავ! ჩვენი ხალხი რაღაც ბნელ ძალას ჰყავს ზომბირებული და მანქურთობამდე ბევრი აღარაფერი გვაკლია. აბა, ხალხი იმას რომ დაიჯერებს, საქართველოს პრემიერმინისტრმა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შუამავლობა იკისრა, თავისი უკიდეგანო ავტორიტეტით ერთ მხარეს ტყვეები გაათავისუფლებინა, მეორე მხარეს დანაღმული ტერიტორიების სქემები გაასაჯაროებინა... ამასთან დაკავშირებით ქართველების ერთი „თავმოსაწონებელი" ამბავი მახსენდება: ხედავთ, რა ხალხი ვართ ქართველები? ერთმა ჩვენმა თანამემამულემ გერმანია ორად გაყო, მეორე ქართველმა კი გერმანია გააერთიანაო. იმ „მეორეში" **ედუარდ შევარდნაძე** იგულისხმებოდა, რომელიც თავს ახალი ევროპის არქიტექტორს უწოდებდა და ჩვენგან განმდგარი სეპარატისტული ცხინვალიც კი ვერ შემოუერთა სამშობლოს. ჩვენი საკანონმდებლო ორგანო საცირკო ბალაგანიც კი აღარ არის, რადგან იქ ისეთ სისულელეებს სჩადიან, რომ სასაცილოც აღარაა, სატირალზე რომ არაფერი ვთქვა. ა, აგერ ახლახან ოპოზიციური პარტია „გირჩი" ორ ნაწილად დაიშალა და ახლა პარლამენტში ორი „გირჩია". იმის ჭკუაც კი აღარავის აღმოაჩნდა, რომ ზოგისთვის „რკო" დაერქმიათ, ზოგისთვის — „ასკილი" ან „კუნელი"... ამათ იმედზეა ქვეყანა? ახლახან თბილისის მერობის კანდიდატთა რეიტინგი გაასაჯაროვა რომელიღაც კვლევითმა კომპანიამ და თბილისის მერობის კანდიდატის პოსტზე ნიკა მელიას არჩევას თბილისელთა 33% უჭერს მხარსო. ვავა, ნანა, ვავა ბაბა! ასე უსაშველოდ გაბრუებულ ხალხს ოდესმე საღი აზროვნება დაუბრუნდება? სასწაულის იმედად ვარ! ახლა ისეა ჩვენი საქმე, უილიამ შექსპირის ერთ სონეტში რომ არის დახატული. ამ პანდემიასთან დაკავშირებულმა სამთავრობო ღონისძიებებმა ხომ საერთოდ დამიკარგა ქვეყანაში საღი აზრის არსებობის იმედი. „კოჭლი დროება" (ჩვენთვის მთლად „ხეიბარი დროება") ვერაფერი იმედის მომცემია, მხოლოდ უფლის იმედითა და მის მიერ მოვლენილი სასწაულის იმედით ვარ!

ამ წერილის სათაური **რობერტ ბერნსის** ერთი ლექსის არასრული სტრიქონია, სრული სტრიქონი ოდნავი პერიფრაზით ასეთია: „ჰოო, უფალო, გვედრებ კივილით, გადუხადე საქართველოს მტერს სამაგიერო კბილის ტკივილით!".

**ზურაბ ცუცქირიძე,**
პედაგოგიკის დოქტორი,
ი. გოგებაშვილის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი,
ღირსების ორდენის კავალერი

**P.S. ამას წინათ, ჩვენმა ხელისუფლებამ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გადადგა ღირსეული ნაბიჯი — ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტი გააუქმა, რომელიც სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიების შეთანხმებას ითვალისწინებდა. ამ ხელშეკრულებაში იყო საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ერთი პუნქტი, რომელსაც არა მარტო საკონსტიტუციო ჩარჩოდან გაჰყავდა ხელისუფლება, არამედ მისთვის გამაოგნებლად დამამცირებელიც იყო. ხელისუფლებამ არა მარტო გააუქმა ეს აუღრესად დამამცირებელი და ქვეყნის სუვერენიტეტის შემლახავი დოკუმენტი, არამედ ირაკლი კობახიძის პირით დაიფიცა კიდეც, რომ მომავალში, შარლ მიშელის კი არა, შარლ დე გოლის მიერ შემოთავაზებულ მსგავს დოკუმენტსაც კი არასოდეს მოვაწერთ ხელსო. იმედი მომეცა, მაგრამ გულში რაღაც ხმა ჩამძახის: დიდხანს ვერ გაძლებს ამათი „უტეხი" პრინციპულობაო. ცოტა გვინახავს ამათი „პრინციპული" პოზიციის მეტამორფოზები? ამიტომ ამ წერილს მაინც გიგზავნით დანიშნულებისამებრ, თუ გავმტყუნდი (ახ, ნეტავი!), ჩემს ხორკლიან შეფასებას უკან წავიღებ და ამათი მუხლეგადატყავებული მეხოტბე გავხდები.**

**ზ. ც.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთისა და ბელარუსის ხელმძღვანელები კი არ საუბრობენ, მოქმედებენ უკვე. ამ საუბარსა და მოქმედებას სხვა რესპუბლიკებიც შეუერთდებიან, როგორც ცენტრალურ აზიაში, ასევე ამიერკავკასიაში. განა ამის დასტური არ არის რუსეთისა და ბელარუსის ერთობლივ სამხედრო წვრთნებში სომხეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის მონაწილეობა? ეს ხომ ნათელზე ნათელი ნიშანია იმისა, რომ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ახალი, აქამდე არსებული დამოკიდებულებებისგან თვისებრივად განსხვავებული დამოკიდებულებები ყალიბდება.**



# აშშ-ის პოლიტიკური იმპოტენცია და ტელეეკრანებზე მროკავ ჭინკებად გარდასახული ქართველები

## შეკითხვები... შეკითხვები... შეკითხვები...

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## ოცდამეთერთმეტე გამოშვება

„ხელოვნების მოვალეობა შეკითხვების დასმაა და არა მათზე პასუხის გაცემა".

*ანტონ ჩეხოვი*

**ვსარგებლობ რა ჩეხოვის შეგონებით, ამ სტატიაში მრავალ შეკითხვას დავსვამ... თვეზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ბელარუსის დედაქალაქ მინსკში პრეზიდენტმა ლუკაშენკომ მთელი მსოფლიოდან ჟურნალისტები მიიწვია და რვა საათზე მეტი ხნის განმავლობაში მათ შეკითხვებს პასუხობდა. „დიდი საუბარი" ასე ერქვა ამ ღონისძიებას, რომელიც 9 აგვისტოს გაიმართა.**

„საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებმა იციან, რომ მქონდა საშუალება, ამ ღონისძიებას დავსწრებოდი და პრეზიდენტ **ლუკაშენკოსთვის** შეკითხვები დამესვა. ჩემი ერთ-ერთი შეკითხვა ასეთი იყო: **ხომ არ დადგა დრო, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გაიმართოს დიდი საუბარი, რათა ისინი დასავლეთის მიერ ცალ-ცალკე ჩაყლაპვას გადაურჩნენ?** პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ჩემს შეკითხვას ვრცლად უპასუხა. მისი ამ პასუხის დასკვნითი ნაწილი ასეთი იყო: **„ჩვენ უნდა დავსხდეთ მაგიდასთან და ვიმსჯელოთ, რა იქნება შემდეგ".**

სულელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ მიხვდეს, რისთვის დაშალა დასავლეთმა საბჭოთა კავშირი. საბოლოო მიზანი რესპუბლიკების სათითაოდ დაპატრონება იყო. ახლა სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს, რომელიც ცოტა გაჭიანურდა, რადგან რუსეთი დასავლეთს ამ მიმართულებით ფრთების გაშლის საშუალებას არ აძლევს. მიუხედავად ამისა, მიზანი რჩება. ერთადერთი რესპუბლიკა, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ დასავლეთის ამ სცენარს ვერ ეგუება და მთელი არსებით ეწინააღმდეგება, ბელარუსია. ამ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ჩემს შეკითხვაზე გაცემული პასუხი არამხოლოდ სწორი, არამედ სასწრაფოდ განსახორციელებელი გეგმაა, რადგან დასავლეთი ჩქარობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დრო ცოტა რჩება... **პრეზიდენტ ლუკაშენკოს მიერ ჩემს შეკითხვაზე გაცემული ამ პასუხიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, 9 სექტემბერს, იგი მოსკოვს ეწვია, სადაც ორი სახელმწიფოს დაახლოების მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა.**

რას ნიშნავს ეს? რა სახისაა ეს კავშირი დღეს ან რა სახეს მიიღებს იგი მომავალში?

სამოკავშირეო სახელმწიფო რუსეთი-ბელარუსი დიდი ხანია არსებობს. თავდაპირველი დოკუმენტს, რომელიც 1996 წლის 2 აპრილს გაფორმდა, ეწოდებოდა „Договор о создании сообщества Беларуси и России". დოკუმენტს საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა და, როგორც ყველა ასეთი დოკუმენტი, ამორფული შინაარსის იყო. **ამ მიმართულებით პირველი ფუნდამენტური ნაბიჯი თითქმის ოთხი წლის გასვლის შემდეგ, 1999 წლის 8 დეკემბერს, გადაიდგა, როდესაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთსა და ბელარუსს შორის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რაც მათი შემდგომი პოლიტიკური და იურიდიული ინტეგრაციის საფუძვლად იქცა.** ეს დოკუმენტი ძალაში 2000 წლის 26 იანვარს შევიდა, მისი რატიფიკაციის შემდეგ. სამოკავშირეო სახელმწიფოს კოორდინაციას უწევს უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, რომელიც ორივე სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებით არის დაკომპლექტებული. **მხედველობაში თუ არ მივიღებთ ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ), ეს არის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის რეალური ინტეგრაციის პირველი მცდელობა. (რაც შეეხება დსთ-ს, ეს გაერთიანება არცაა მხედველობაში მისაღები, რადგან იგი არ იყო შექმნილი და მოწოდებული ინტეგრაციისთვის. დსთ მხოლოდ იმ მიზნით შეიქმნა, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საბოლოო დაცალკევების პროცესი შედარებით რბილი გამომდგარიყო).** რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ინტეგრაციის სხვა მცდელობებიც გვაქვს (საბაჟო კავშირი, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ხელშეკრულება, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი), მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გამოდგა სიცოცხლისუნარიანი, ვინაიდან ვერც ერთმა ვერ შექმნა მიზიდულობის ის ცენტრი, რომელიც მათ კართანაც ისევე დააყენებდა გაერთიანების მსურველ სახელმწიფოთა რიგს, როგორც, მაგალითად, ევროკავშირის კართან დგას (არადა, საამისო რესურსი ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს გააჩნიათ, დაწყებული, ენერგომატარებლებით, დამთავრებული ტურისტული პოტენციალით, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არსებობს ორი რამ, რაც ამ გაერთიანებას ქმედითუნარიანობას მიანიჭებს და ყველასთვის სასურველად გადააქცევს — პოლიტიკური ნება და შემაკავშირებელი იდეა). **რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფო ბოლო ოცი წლის განმავლობაში მუდმივად დარტყმის საფრთხის ქვეშ იდგა და დაბეჯითებით ვერავინ იტყოდა, რომ ეს უკვე შემდგარი კავშირია, რომლის გაძლიერება და გაფართოვება გარდაუვალია.** ამის მტკიცება დღესაც ძნელია, თუნდაც მას შემდეგ, რაც მოხდა 9 სექტემბრის ფაქტი, რომლითაც სამოკავშირეო სახელმწიფოს გაძლიერებისა და მისი ახალ, გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის მომსწრენი ვართ. საქმე ის არის, რომ **წინააღმდეგობა, რომელსაც დასავლეთის მხრიდან ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ინტეგრაციის ნებისმიერი მცდელობა აწყდება, კოლოსალურია (დაწყებული, ეკონომიკური სანქციებით და დამთავრებული ძირგამომთხრელი საქმიანობითა და ომის მუქარით), რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში (რუსეთის ჩათვლით) ობიექტურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სირთულეებთან ერთად ქმნის ფსიქოლოგიურ ბარიერს, შინაგან მამუხრუჭებელ ძალას, რომლის გადალახვა ჯერჯერობით ძალიან ჭირს.** მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ფაზა, რომელშიც რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფო შევიდა, დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მე ეს პროცესი იმ დიდი საუბრის დაწყებად მესახება, რომლის აუცილებლობის შესახებ ერთი თვის წინათ ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შეკითხვა დავუსვი და რომელზეც მისგან დასტური მივიღე. რა თქმა უნდა, ახსნა სჭირდება იმასაც, თუ რატომ ვფიქრობ ასე.



გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" 8 სექტემბრის ნომერში ვწერდი, რომ, რუსეთსა და ბელარუსს შორის გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულების მიუხედავად, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობა და მახვილი კუთხეები. მაგალითიც მომყავდა პრეზიდენტ ლუკაშენკოს ხმამაღალი განცხადებებიდან, რომ **ბელარუსში ბუნებრივი აირის ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე რუსეთში, რაც სამოკავშირეო სახელმწიფოს ორ სუბიექტს არათანაბარ პირობებში აყენებს. ამ საკითხის მოგვარება ერთი შეხედვით რთული არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ დღევანდელ რუსეთში აბსოლუტური კაპიტალიზმის პრინციპი მოქმედებს, ბელარუსი კი მთლიანად სოციალისტური ეკონომიკის გზით თუ არ მიდის, სოციალურ საკითხებზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ რჩება, სადაც პრეზიდენტი ლუკაშენკო საზოგადოებას არ ანებებს სიმდიდრისა და სიღარიბის ორ უკიდურესობაში გადავარდნას, რითაც სოციალური სამართლიანობის პრინციპების შენარჩუნებას ახერხებს,** ეს მისი ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია. სოციალურ მიდგომებში ეს კოლოსალური განსხვავება ამ სახელმწიფოებს შორის მაღალი დონის ინტეგრაციის გზაზე შემაფერხებელი უმთავრესი წინააღმდეგობაა.

**ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოსთან გამართული მოლაპარაკებისას პრეზიდენტი პუტინი შეეხო ბუნებრივ აირზე საერთაშორისო ფასის საკითხს და განაცხადა, რომ თავისუფალ ევროპულ ბაზარზე ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 650 დოლარს შეადგენს, ხოლო ისინი, ვისაც რუსეთთან ხანგრძლივ კონტრაქტზე აქვთ ხელი მოწერილი, აირს გაცილებით იაფად იღებენ.** „ფასწარმოქმნის ჩვენი პრინციპის შესაბამისად, „გაზპრომი" თავის პროდუქციას ასეთ ფასად არ ყიდის. ისინი, ვინც ჩვენთან უკვე მოაწერა ხელი გრძელვადიან ხელშეკრულებას, სიხარულის ყიჟინას უნდა სცემდნენ, რადგან სხვა შემთხვევაში მათ 650 დოლარის გადახდა მოუწევდათ, ახლა კი, ვთქვათ, გერმანია ბუნებრივ აირს 220 დოლარად იღებს. ფასების საერთო მატებასთან ერთად ეს ფა- ▶

**აშშ-ში ზელენსკის ვიზიტის სრული უნაყოფობა არავის ისე სხარტად არ დაუხასიათებია, როგორც «ბი-ბი-სის»: «ამ ვიზიტის ყველაზე დიდი მიღწევა იყო ის, რომ ვიზიტი შედგა». ამერიკელებმა ერთმანეთის მიყოლებით განიცადეს მარცხი «ჩრდილოეთის ნაკადი 2»-ის საკითხში, ჩაფლავდნენ ავღანეთში, კატასტროფული მარცხი იწვნიეს ბელარუსთან დაპირისპირებაში, პირწმინდად დამარცხდნენ რუსეთთან ჭიდილში. «ბი-ბი-სის» მიერ ნათქვამმა ერთმა წინადადებამ ფარდა ახადა აშშ-ის სრულ იმპოტენციას არამხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დაუფლებისა და მსოფლიოს გაუპატიურების მცდელობაში**

**ქართულ ტელეეკრანებზე ოცდაათი წელიწადის განმავლობაში მროკავი ჭინკები სხვები კი არ არიან, ჩვენ ვართ — ქართველები და საქართველო, ჩვენ, ვინაც ფორმა და შინაარსი დავკარგეთ, სახე და გონება დავკარგეთ და ცოცხზე შემომჯდარ იმ შემზარავ არსებებად გარდავისახეთ, ჩვენ თვალწინ ასე საშინელი მანჭვა-გრეხვითა და სისულელეთა გაუთავებელი როშვით ყელში რომ ამოვიდნენ. დავფიქრდეთ: საქართველოშიც ხომ არ დადგა დრო დიდი, ეროვნული და საქვეყნო საუბრის გამართვისა, რომელიც მაიმუნთა ამ ნაშიერების პარპაშისგან გვიხსნის და მოჯადოებული წრიდან გამოგვიყვანს.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სიც აიწევს, მაგრამ ეს გადასვლა რბილი იქნება", — თქვა პუტინმა.

აი, ამ ვითარებაში **ბელარუსი რუსულ ბუნებრივ აირს 128 დოლარად იღებს. დააკვირდით განსხვავებას 650-სა და 128-ს შორის ან, თუნდაც, 220-სა და 128-ს შორის. ბელარუსი თითქმის ნახევარ ფასად მიიღებს რუსულ ბუნებრივ აირს, ვიდრე ევროპის თუნდაც ის სახელმწიფოები, რომლებმაც ფასების კატასტროფულ ზრდამდე მოასწრეს რუსეთთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება ბუნებრივი აირის შესყიდვაზე** და, აქედან გამომდინარე, კომერციულ საერთაშორისო ფასთან შედარებით უაღრესად ხელსაყრელ ფასად ყიდულობენ მას. ამას ხაზს იმის დასანახად ვუსვამ, თუ რას ნიშნავს რუსეთთან მეგობრობა და რას ნიშნავს მასთან მტრობა, თუნდაც სუფთა პრაგმატული თვალსაზრისით...

ორი პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ ოცდარვა ხელშეკრულებას მოეწერა ხელი — თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ოცდარვა ფართომასშტაბიან მიმართულებას, მათ შორის, სამხედრო საკითხებში. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ განაცხადა, რომ შეთანხმებულია ბელარუსისთვის 2025 წლამდე დიდი რაოდენობით შეიარაღების მიწოდების საკითხი. **„მადლობას ვუხდი რუსეთის ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ უკვე შეათანხმეს იმ იარაღის ჩამონათვალი, რომლებიც 2025 წლამდე ბელარუსს გადმოეცემა. ეს ათეულობით თვითმფრინავია. ეს არის ვერტმფრენები და ათეულობით საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი TOP-M2. დიდ მოცულობებზეა ლაპარაკი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენც და რუსეთიც სერიოზულად აღვიქვამთ დასავლურ მიმართულებას, სადაც ჩვენ უშუალო შეხებაში ვართ ნატოს ჯარებთან“**. გეკითხებით: ბელარუსი ამით სუსტდება თუ ძლიერდება? ეს ხომ ბელარუსის სახელმწიფოს, მისი დამოუკიდებლობისა და მისი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების წინაპირობაა?! სხვა რა შეიძლება დავარქვათ თუნდაც იმ ფაქტს, რომ **პუტინისა და ლუკაშენკოს შეხვედრის პარალელურად სტარტი აიღო ერთობლივმა, ფართომასშტაბიანმა სამხედრო წვრთნებმა, რომელიც ნიჟეგოროდში, სამხედრო პოლიგონ მულინოშზე დაიწყო სახელწოდებით „დასავლეთი 2021“. ამ მასშტაბურ ღონისძიებაში რუსეთისა და ბელარუსის სამხედრო ძალებთან ერთად მონაწილეობენ სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთისა და ინდოეთის სამხედროები.** წვრთნები ბალტიის ზღვის აკვატორიაში რუსეთის ცხრა და ბელარუსის ხუთ პოლიგონზე 16 სექტემბრამდე გაგრძელდება. **წვრთნებში მონაწილეობს 200 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, 760 საბრძოლო ტექნიკა, 290 ტანკი, 80 თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 240 მძიმე დანადგარი და რეაქტიული სისტემები, 15 ხომალდი. მასშტაბის წარმოდგენა რთული არ არის.**

რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტებმა შეხვედრისას დიდი დრო დაუთმეს სამოკავშირეო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე ამ სამხედრო წვრთნების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საუბარს. მათ ხაზი გაუსვეს, რომ წვრთნები არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, თუმცა, პრეზიდენტ პუტინის აზრით, „მისი ჩატარება ლოგიკურია იმ ვითარებაში, როდესაც სხვა სამხედრო გაერთიანებები, მაგალითად, ნატო ზრდის მის დასწრებას სამოკავშირეო სახელმწიფოსა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ОДКБ) სიახლოვეს“.

**დასავლეთში რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობებში მოვლენათა ამგვარი განვითარებით შეშფოთებული არიან.** პოლონეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს სამხედრო წვრთნები და ამას რუსეთ-ბელარუსის ერთობლივ სამხედრო წვრთნებზე რეაქცია უწოდეს. ამის შესახებ პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა **მარიუშ ბლაშჩაკმა** განაცხადა. „ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ პროვოკაციულ სცენარს. ჩვენი მიზანი შეკავებაა. ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ჩვენ მუდმივ კონტაქტში ვართ ნატოსთან“, — თქვა მინისტრმა. **ეს ფაქტიც ხომ იმაზე მეტყველებს, რომ კოლექტიურ დასავლეთსა და მათ ლაქია სახელმწიფოებს აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მეტად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში იმ ინტეგრაციული პროცესების ეშინიათ, რომლებიც საბოლოოდ დაასამარებს აშშ-ის თავაწყვეტილ სრბოლას მსოფლიო ჰეგემონობისკენ და ამ გზაზე ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების იმ ფორმით ჩაყლაპვის მცდელობას, როგორითაც ბალტიის რესპუბლიკები ჩაყლაპეს.** ასე რომ არ მოხდეს, ამისთვისაა საჭირო დიდი საუბრის დაწყება და ერთიანობის იმ ფორმულის მონახვა, რომელიც ყველასთვის მისაღები და ხელსაყრელი იქნება. ყველა სხვა გზა, **რესპუბლიკების ცალ-ცალკე დარჩენა და გათიშულობა დამღუპველია, ვინაიდან ცალკე აღებულ არც ერთ რესპუბლიკას (ცხადია, რუსეთის გარდა) არ აქვს დასავლეთისგან საკუთარი თავის დაცვის რესურსი და პოტენციალი.**

შეადარეთ ყოფილი მოკავშირე ორი სლავური რესპუბლიკის — ბელარუსისა და უკრაინის — მდგომარეობა თუნდაც **ენერგომატარებლებთან წვდომის თვალსაზრისით. უკრაინის ხელისუფლების მტრულმა დამოკიდებულებამ რუსეთის მიმართ ის შედეგი გამოიღო, რომ რუსული გაზის ტრანზიტი ევროპაში, შესაძლებელია, მთლიანად უკრაინის გვერდის ავლით განხორციელდეს, ეს კი უკრაინელი ხალხისა და უკრაინის ეკონომიკისთვის კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება. ეს უკრაინის ნგრევას ნიშნავს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.** ბელარუსი კი თავის ეკონომიკას კიდევ უფრო განავითარებს და იგი გაცილებით წარმატებულ და აყვავებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, ვიდრე დღეს არის. **ბელარუსის პრეზიდენტის რაციონალური და, თუ გნებავთ, ადამიანური მიდგომების შედეგად ბელარუსი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტაბილურად ვითარდება, უკრაინის პრეზიდენტის (პრეზიდენტების) სრულიად არარაციონალური მიდგომებისა და უგუნური განცხადებების შედეგად უკრაინა, როგორც სახელმწიფო, შესაძლებელია, რუკიდან წაიშალოს და ისე აღიგავოს პირისაგან მიწისა, თითქოს არასოდეს ეარსებოს.** უკრაინული ოცნების კოშკების მშენებლობა, რომ აშშ ამ სახელმწიფოსგან რაღაც სანიმუშოსა და სამაგალითოს შექმნის, ფუჭი გამოდგა, ეს რამდენიმე დღის წინათ, უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ვაშინგტონში ვიზიტმა დაადასტურა. **ზელენსკი** იქადნებოდა, რომ პრეზიდენტ **ბაიდენს** ჯიქურ დაუსვამდა შეკითხვას, აქამდე რატომ არ არის უკრაინა ნატოს შემადგენლობაშიო. დღემდე არ არის ცნობილი, მოახერხა თუ არა ბატონმა ზელენსკიმ ამ დანაქადის შესრულება. **ზელენსკი იმასაც იმუქრებოდა, რომ აშშ-ში მისი ვიზიტის შემდეგ აუცილებლად ჩაიშლებოდა „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ მშენებლობა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს საუკუნის პროექტი, აგერ, ოქტომბერში უკვე მწყობრში ჩადგება. აშშ-ში ზელენსკის ვიზიტის სრული უნაყოფობა არავის ისე სხარტად არ დაუხასიათებია, როგორც „ბი-ბი-სის“:**

**„ამ ვიზიტის ყველაზე დიდი მიღწევა იყო ის, რომ ვიზიტი შედგა“.** ყველაფერი ნათქვამია, ეს იყო ვიზიტი ვიზიტისთვის; ამ ვიზიტს შედეგი არ მოჰყოლია; ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაანახვა მსოფლიოს, რომ ამერიკელებს ე.წ. მოკავშირეებისთვის არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ამერიკელებმა ერთმანეთის მიყოლებით განიცადეს მარცხი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ზე, ჩაფლავდნენ ავღანეთში, კატასტროფული მარცხი იწვნიეს ბელარუსთან დაპირისპირებაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირწმინდად დამარცხდნენ რუსეთთან ჭიდილში. **„ბი-ბი-სის“ მიერ ნათქვამმა ერთმა წინადადებამ ფარდა ახადა აშშ-ის სრულ იმპოტენციას არამხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დაუფლებისა და მსოფლიოს გაუპატიურების მცდელობაში.**

პოსტსაბჭოთა სივრცეში აშკარაა რუსეთთან დამოკიდებულების ორი მოდელი — ბელარუსული და უკრაინული. პირველი რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ნიმუშია, მეორე — რუსეთთან მტრობისა და დაპირისპირებისა. რა დაკარგა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობით ბელარუსმა ან რა შეიძინა რუსეთთან მტრობითა და დაპირისპირებით უკრაინამ ისეთი, რომ ამისთვის ქვეყნის განირვა ღირდა?! რაზეა საუბარი, დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე? **ვინ თქვა, რომ ბელარუსმა, რომელიც ყოველმხრივ წარმატებული სახელმწიფოა, დამოუკიდებლობა დაკარგა? სად და რაში გამოვლინდა ბელარუსის მიერ თავისუფლების დაკარგვა — ეკონომიკის განუხრელ აღორძინებაში? დასავლური უსინდისო სანქციების პასუხად რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაციის ისეთი ფაზის მიღწევაში, რომელიც არამხოლოდ ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური, არამედ სამხედრო სტაბილურობის სრულ გარანტიას აძლევს?** ეს დამოუკიდებლობის დაკარგვაა, ხოლო **უკრაინის დატოვება ენერგეტიკული ბაზის გარეშე, მისი ეკონომიკისათვის საფუძვლის გამოცლა, პოლიტიკურ ქაოსში გადაჩეხვა და პრეზიდენტის მიერ რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის პროგნოზირება ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ზრუნვაა? გასაგებია, რომ ამერიკულ პროპაგანდასა და დემაგოგიას ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეუძლია, მაგრამ ასე და ამ დონეზე?** გონება ხომ იმისთვის გვიბოძა ღმერთმა, რომ ჭეშმარიტების მარცვალი არც იმ შემთხვევაში დავკარგოთ, როდესაც სიცრუე გაბატონდება და სულში სინათლის სხივმა მაშინაც შემოაღწიოს, როდესაც წყვდიადში იძირება ყოველი...




## ამერიკელები ავღანეთიდან და ერაყიდან კუდამოძუებულნი გარბიან, ბელარუსთან დაპირისპირებაში მარცხდებიან, რუსეთთან გამოუცხადებელ ომში იჩოქებენ, საქართველო კი კვლავ იმის ფიქრშია, ჩამოიყვანენ თუ არა ისინი სააკაშვილს კიევიდან საქართველოში. ჯერ იმ ადამიანებს დააკვირდით, რომლებიც სააკაშვილის დასახვედრად ემზადებიან, დააკვირდით მათ სახეებს, მათ გამომეტყველებას, მათ ლაპარაკს, მიმიკას, ჟესტიკულაციას...

**P.S. ბელარუსისა და უკრაინის მდგომარეობის შედარებითი ანალიზი იმისთვის შემოგთავაზეთ, რომ ამ ფონზე საქართველოსკენ გამოგვეხედა. ჩვენ რა მდგომარეობაში ვართ? უფრო სწორად, ჩვენ, საერთოდ, სად ვართ? სადღაც ხომ არ ჩავრჩით? პირველ რიგში, აზროვნება მაქვს მხედველობაში. იმ გონებასუსტ, უფრო სწორად, ჩლუნგ ადამიანს ხომ არ დავემსგავსეთ, რომელიც ან ყველაზე გვიან ხვდება იმას, რაც მის ირგვლივ და მის თავს ტრიალებს, ან საერთოდ ვერ ხვდება, რა საით მიდის და უთავბოლოდ დაბორიალობს? რესპუბლიკებს შორის დიდი საუბრის აუცილებლობის საკითხის წამოწევით დავიწყე ეს სტატია, რომელიც პრეზიდენტ ლუკაშენკოსთვის დასმულ შეკითხვაშიც წამოვჭერი. ის, რაც რუსეთსა და ბელარუსს შორის დღეს ხდება, განა იმ დიდი საუბრის დაწყება არ არის, რომელიც ასე აუცილებელი გამხდარა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისთვის? რუსეთისა და ბელარუსის ხელმძღვანელები კი არ საუბრობენ, მოქმედებენ უკვე. ამ საუბარსა და ამ მოქმედებას სხვა რესპუბლიკებიც შეუერთდებიან, როგორც ცენტრალურ აზიაში, ასევე ამიერკავკასიაშიც. განა ამის დასტური არ არის რუსეთისა და ბელარუსის ერთობლივ სამხედრო წვრთნებში სომხეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის მონაწილეობა? ეს ხომ ნათელზე ნათელი ნიშანია იმისა, რომ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ახალი, აქამდე არსებული დამოკიდებულებებისგან თვისებრივად განსხვავებული დამოკიდებულებები ყალიბდება? ასეთ შემთხვევაში, ჩვენ რა გეზი გვიჭირავს და საით მივდივართ — კვლავ დასავლეთისკენ, ევროკავშირისა და ნატოსკენ? ამ სრულიად ახალ რეალობასა და პოლიტიკურ-სამხედრო კონფიგურაციებში როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა? აფხაზებისა და ოსების ადგილს სად უფრო ხედავთ — ახალი იდეით ანთებული და გაერთიანებული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების გვერდით თუ ჩვენთან, ვინც, ამ პროცესებისგან განზე გადგომის შემთხვევაში, ყველასგან საერთო მტრად ვიქნებით აღქმული? საოცარია. მსოფლიოში ახალი პროცესები მიდის, ახალი რეალობები ჩნდება, ჩვენთან კი ხალხი იმაზე ფიქრობს, ამერიკელები კიდევ ერთხელ დაგვასვამენ თუ არა თავზე ვიღაც საერთაშორისო მასხარას, რომელიც თვრამეტი წლის წინათ ერთხელ უკვე დაგვასვეს თავზე და უდიდესი „სიამოვნებაც“ მოგვანიჭეს. ამერიკელები ავღანეთიდან და ერაყიდან კუდამოძუებულნი გარბიან, ბელარუსთან დაპირისპირებაში მარცხდებიან, რუსეთთან გამოუცხადებელ ომში იჩოქებენ, საქართველო კი კვლავ იმის ფიქრშია, ჩამოიყვანენ თუ არა ისინი სააკაშვილს კიევიდან საქართველოში. ჯერ იმ ადამიანებს დააკვირდით, რომლებიც სააკაშვილის დასახვედრად ემზადებიან, დააკვირდით მათ სახეებს, მათ გამომეტყველებას, მათ ლაპარაკს, მიმიკას, ჟესტიკულაციას... მერე ისიც გაიაზრეთ, რომ ეს ჩვენ ვართ, თითოეული ჩვენგანი, რომლებიც დეფორმირებულ სარკეში ვიყურებით. ქართულ ტელეეკრანებზე ოცდაათი წელიწადის განმავლობაში მროკავი ჭინკები სხვები კი არ არიან, ჩვენ ვართ — ქართველები და საქართველო, ჩვენ, რომლებმაც ფორმა და შინაარსი დავკარგეთ, სახე და გონება დავკარგეთ და ცოცხზე შემომჯდარ იმ შემზარავ არსებებად გარდავისახეთ, ჩვენ თვალწინ ასე საშინელი მანჭვა-გრეხვითა და სისულელეთა გაუთავებელი როშვით ყელში რომ ამოვიდნენ. დავფიქრდეთ: საქართველოშიც ხომ არ დადგა დრო დიდი, ეროვნული და საქვეყნო საუბრის გამართვისა, რომელიც მაიმუნთა ამ ნაშიერების პარპაშისგან გვიხსნის და მოჯადოებული წრიდან გამოგვიყვანს.**

მიშას მოლოდინში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინგა გრიგოლიას აზრით, 5 ივლისს უფრო დიდი უბედურება მოხდა და მერე რა, რომ ამ დღეს არც სადარბაზოებში დასდევდნენ ადამიანებს, არც უმოწყალოდ ჩეხავდნენ, არც მაღაზიებში და აფთიაქებში უვარდებოდნენ, არც ზონდერები ყოფილან საქმეში... სააკაშვილის განცხადებით გათამამებულმა არაერთმა ნაციონალმა უკვე დაიწყო ბოლმის ნთხევა და მუქარა. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ანგარიშსწორებაზე გადავლენ და ციხეში ამოალპობენ ყველა მოწინააღმდეგეს.**

# სააკაშვილი — დასავლეთის პროვოკაციის ინსტრუმენტი საქართველოს წინააღმდეგ

**რა გასაკვირია, რომ მორიგი არჩევნების მოახლოებასთან ერთად კვლავ გააქტიურდა მიხეილ სააკაშვილი და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოში ჩამოსვლას აპირებს. ერთი შეხედვით, ეს მორიგი ტყუილია და თითქმის აღარავინ „ჭამს“, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. დაგვეთანხმებით, რომ სააკაშვილის ბოლო განცხადება წინა განცხადებებისგან განსხვავებულია. ის უფრო თავდაჯერებულია და, რაც მთავარია, მისი თანაგუნდელები, რომლებიც წინა განცხადებებისას დუმილს ამჯობინებდნენ, ახლა ჯიუტად იმეორებენ, რომ სააკაშვილი აუცილებლად ჩამოვა. მმართველი გუნდის ლიდერები აღნიშნულ განცხადებებს თითქოს იუმორით ეკიდებიან, მაგრამ მათ ყველაზე კარგად იციან, რომ საქართველოში მიშას ჩამოსვლის შემთხვევაში სერიოზული ხმაური არ აგვცდება.**

საქმე ის არის, რომ დასავლეთი სააკაშვილს არც პატიმრად აღიარებს და არც დამნაშავედ. მას ფართოდ ულებენ კარს ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში, მასთან სტუმრად დადიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩები და ამიტომ მის დაპატიმრებას აუცილებლად გააპროტესტებენ ევროპარლამენტარები და ამერიკელი სენატორები თუ კონგრესმენები. არადა, **ქართულ სასამართლოს სააკაშვილისთვის რამდენიმე საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი აქვს გამოტანილი და პატიმრობაც მისჯილი, მაგრამ, დასავლეთი ქართულ სამართალსა და კანონებს რომ არ აღიარებს, ბოლოს ნიკა მელიას მაგალითზე გამოჩნდა.**

**სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება გამორიცხულია რუსეთის მხრიდან, ანუ ის შეიძლება ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან შემოვიდეს ჩვენთან, ოღონდ არა რუსეთიდან, რადგან რუსეთში ჩასვლის შემთხვევაში დააპატიმრებენ და საქართველოს ხელისუფლებას გადმოსცემენ.** რა გამოდის? მტრად გამოცხადებული ქვეყანა კანონიერი განაჩენით ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ითვალისწინებს, სხვა ქვეყნები კი, საეჭვოა, ასე მოიქცნენ. არადა, რუსეთი თურმე მტერია, სხვა მეზობლები კი — სტრატეგიული პარტნიორები. **გავრცელებული ინფორმაციით, ცოტა ხნის წინათ საქართველოში ვიზიტად მყოფი ნიკოლ ფაშინიანისგანაც ვერ მიიღეს გარანტიები, რომ, თუ სააკაშვილი სომხეთში ჩაფრინდება და იქიდან შეეცდება შემოსვლას, სომეხი სამართალდამცველები დააპატიმრებენ და ჩვენს ქვეყანას გადმოსცემენ. პარალელურად, საქართველოში დაფუძნდა მოძრაობა, რომელმაც სააკაშვილი მართლმსაჯულების „კლანჭებისგან“ უნდა იხსნას და ძალოვნებს უფლება არ მისცეს, სისხლის სამართლის დამნაშავე დააპატიმრონ.**

ის, რომ სააკაშვილის ჩამოსვლა ახლა ყველაზე მეტად დასავლეთს აძლევს ხელს, ცხადია. **ექსპრეზიდენტს საქართველოში, დიდი ალბათობით, ევროპარლამენტარები ჩამოჰყვებიან — ანდრიუს კუბილიუსი და ვიოლა ფონ კრამონი. ისინი იქნებიან ერთგვარი ფარი, რათა სამართალდამცველებმა სააკაშვილის დაკავება ვერ მოახერხონ. მერე რა, რომ ეს ყველაფერი საქართველოს კონტიტუციასაც ეწინააღმდეგება და ქართული მართლმსაჯულების ფეხქვეშ გათელვას ნიშნავს. ისინი არასდროს ცნობდნენ აქაურ კანონებს და მოქმედებდნენ ისე, როგორც თვითონ მიაჩნდათ სწორად. ეს არის შედეგი იმისა, რომ კონსტიტუცია თუ არაერთი კანონი სწორედ იმ თარგზე მოვჭერით, რომელიც დასავლეთმა მოგვაჩეჩა, და ამის მწარე შედეგებს ვიმკით.** ახლა პარლამენტარები ცდილობენ, ადრე მიღებული კანონები გადააკეთონ, ქართულ რეალობას მოარგონ, გააკეთილშობილონ და დასავლური კრიტიკაც არ აყოვნებს. ამ ყველაფერს გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა ხელისუფლება და დასავლური მარწუხებიდან გათავისუფლებას ცდილობს.

**შარლ მიშელის** დოკუმენტიდან გასვლამ და არაოფიციალურად დადასტურებულმა პირობამ, 43%-იან ბარიერს თუ ვერ გადავლახავთ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს დავნიშნავთო, დასავლეთი ვერ დაამშვიდა. **დასავლეთს ხელისუფლების დასჯა სურს და საამისოდ სააკაშვილის ჩამოსვლა ყველაზე კარგი ვარიანტია. ეს არის პროვოკაცია, რომელსაც აუცილებლად ექნება ისეთი შედეგი, როგორიც დასავლეთს სურს — ვითარების არევა, აქციები და, თუ შემთხვევით ვინმე გაისვრის, ხომ საერთოდ იდეალური იქნება.** ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები მიხვდნენ, რომ მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ოპოზიციას ხალხი არ აჰყვა, აღარავის არ უნდა მათი უკან დაბრუნება, ამიტომ უნდა მოხდეს რაღაც ისეთი, რაც სიტუაციას ხალხის გარეშე შეცვლის და ეს რაღაც სწორედ კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი პროვოკაციაა.



**დასავლეთს ხელისუფლების დასჯა სურს და საამისოდ სააკაშვილის ჩამოსვლა ყველაზე კარგი ვარიანტია. ეს არის პროვოკაცია, რომელსაც აუცილებლად ექნება ისეთი შედეგი, როგორიც დასავლეთს სურს — ვითარების არევა, აქციები და, თუ შემთხვევით ვინმე გაისვრის, ხომ საერთოდ იდეალური იქნება**

**არის კი შესაძლებელი, რომ სომხეთის, აზერბაიჯანის ან თურქეთის ხელისუფლებამ მათ ქვეყანაში ჩასული სააკაშვილი დააპატიმროს და საქართველოს გადმოსცეს? ამ გადმოსახედიდან, ეს გამორიცხულია, მით უმეტეს, თუ მიშას გვერდით ევროპარლამენტარები ეყოლება. საზღვართან მისი მოახლოება კი ავტომატურად გამოიწვევს ხალხის არცთუ მცირე მასის დაძვრას სწორედ იქითკენ, სადაც სააკაშვილი იქნება. ოპოზიცია უამრავ ფულს დახარჯავს ხალხის მობილიზებისთვის და შექმნის ფონს, რომ მიშას დაბრუნება მთელ ერს სურს. ოპოზიციური ტელევიზიები ამ ყველაფერს ისე შეფუთავენ, წუნს ვერავინ დაუდებს და ნეიტრალური დიპლომატებიც კი (თუ ასეთები არსებობენ) სააკაშვილის მხარეს გადავლენ.**

და რას აკეთებს ხელისუფლება? ისეთს არაფერს, რამაც შეიძლება ეს სკანდალი თავიდან აგვაცილოს. ხელისუფლება იმის იმედად არის, რომ სააკაშვილი „კურდღელია“ და ვერ გაბედავს საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ, თუ მას „საერთაშორისო პარტნიორები“ დაარწმუნებენ, რომ ხელშეუხებელი იქნება და არ დააკავებენ, ჩამოვა და იმავეს გააკეთებს, რაც თავის დროზე უკრაინაში ქნა. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი საკუთარი ნებითაც გავა მიშას მხარდასაჭერად, დანარჩენებს ფულით გარეკავენ (ზოგადად, ვინც ფულით გამოჰყავთ გარეთ, არ აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლების თუ ოპოზიციის მხარდასაჭერად, სწორედ ეს სიტყვა უხდება — გარეკავენ) და შეიქმნება ისეთი ფონი, რომ მიშა ტანჯული და დევნილი პოლიტიკოსია. აკი თქვა კიდეც: მე რეგიონული ლიდერი ვარ, ცოტა უფრო მასშტაბურად შემომხედეთო. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ, **თითქოს კეთილმეზობლური ურთიერთობების მიუხედავად, თითქოს სტრატეგიული პარტნიორობის პირობებში, არ გვაქვს არანაირი გარანტია, რომ რუსეთის გარდა, რომელიმე მეზობელი სახელმწიფო ქართულ სასამართლოს პატივს სცემს და მისჯილ სააკაშვილს თავის ტერიტორიაზე არ შეუშვებს. თურქეთში სააკაშვილი ნამყოფიც არის და არ დაუკავებიათ, ანუ თურქეთი გამოირიცხა. დარჩა სომხეთი და აზერბაიჯანი. ორივე შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უფრო ხელს შეუწყობენ მიშას გადაადგილებას, ვიდრე შეუშლიან,** რადგან დასუსტებული მეზობელი მათ სიძლიერეს ნიშნავს და, თუ ვინმეს იმის ილუზია აქვს, რომ სუსტი საქართველოს ნახვა რეგიონში არავის სურს, ძალიან ცდება.

ხელისუფლების ერთ-ერთ საინტერესო ნაბიჯად **მეგის ქარდავას** საქმის გაცოცხლება შეგვიძლია მივიჩნიოთ. უკრაინაში დაკავებული ქარდავა მშვიდად იყო, მაგრამ მოულოდნელად საქართველომ მისი ექსტრადიცია მოითხოვა და ეს პირდაპირი მინიშნება იყო იმაზე, რომ თავზე ხელის გადასმას არც სააკაშვილი უნდა ელოდოს. მოხდა ერთი საინტერესო რამ — კიევში გარდაცვლილი იპოვეს მოსამართლე, რომელმაც ქარდავას ექსტრადიციის საქმე განიხილა და საექსტრადიციო პატიმრობა მიუსაჯა. უკრაინული მედიის ცნობით, **მოსამართლე ვიტალი პისანეცის ცხედარი საცხოვრებელ სახლში იპოვეს, სადაც ის გარდაცვალების დღეს სტუმრობდა. ჯერჯერობით გარდაცვალების ზუსტი მიზეზი უცნობია. უკრაინული პრესა არ გამორიცხავს, რომ ფაქტი მოსამართლის საქმიანობას უკავშირდებოდეს. არ ვართ შეთქმულების თეორიის მომხრე, მაგრამ მოსამართლის გარდაცვალება საეჭვოდ ემთხვევა „რაღაცებს“.**

ნაციონალების ნამდვილი სახე ბევრს დაავიწყდა. ეგ კი არა და, აგერ, **ინგა გრიგოლიამ** ურცხვად (არანაირი კოლეგიალობა ასეთ დროს) განაცხადა, რომ 5 ივლისს მომხდარს ვერც კი შეადარებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2007 წლის 7 ნოემბერს განხორციელებულ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევას. **ინგა გრიგოლიას აზრით, 5 ივლისს უფრო დიდი უბედურება მოხდა და მერე რა, რომ ამ დღეს არც სადარბაზოებში დასდევდნენ ადამიანებს, არც უმოწყალოდ ჩეხავდნენ, არც მაღაზიებში და აფთიაქებში უვარდებოდნენ, არც ზონდერები ყოფილან საქმეში... სააკაშვილის განცხადებით გათამამებულმა არაერთმა ნაციონალმა უკვე დაიწყო ბოლმის ნთხევა და მუქარა. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ანგარიშსწორებაზე გადავლენ და ციხეში ამოალპობენ ყველა მოწინააღმდეგეს.** სააკაშვილის დროინდელი ციხე რაც იყო, კარგად გემახსოვრებათ და უკეთესი არც შემდგომში იქნება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გამორიცხავენ წამების კადრების მოპოვებას და სისტემას მთლიანად დახურავენ. სახალხო დამცველი კი.... ადრეც ნაციონალების მომხრე იყო და ახლაც ასეა.

ვერ გეტყვით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები და გაბედავს თუ არა სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ ევროპარლამენტარები კი არა, სააკაშვილს ერთ მხარეს ბაიდენი რომ დაუდგეს, მეორე მხარეს — შარლ მიშელი, ხელისუფლებამ კანონი უნდა აღასრულოს. სხვა შემთხვევაში არც სახელმწიფო გვექნება, არც ქვეყანა და მხოლოდ ფორმალურად ვიარსებებთ.

**ბესო ბარბაქაძე**

**და რას აკეთებს ხელისუფლება? ისეთს არაფერს, რამაც შეიძლება ეს სკანდალი თავიდან აგვაცილოს. ხელისუფლება იმის იმედად არის, რომ სააკაშვილი «კურდღელია» და ვერ გაბედავს საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ, თუ მას «საერთაშორისო პარტნიორები» დაარწმუნებენ, რომ ხელშეუხებელი იქნება და არ დააკავებენ, ჩამოვა და იმავეს გააკეთებს, რაც თავის დროზე უკრაინაში ქნა**

სხვა ქვეყნებში სამხედრო ძალით ამერიკული დემოკრატიის ექსპორტზე ანგლოსაქსებმა შეიძლება მართლა თქვან უარი, რადგან, ჩვენგან განსხვავებით, ამერიკაში ხელისუფლებამ საზოგადოებრივი აზრი ძნელად შეიძლება უგულებელყოს. ამიტომაც უჭირს ჯო ბაიდენს, საზოგადოებას აუხსნას, რისთვის დაიღუპა ავღანეთში 20 წლის განმავლობაში 2 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი - ბოლოს დანარჩენ სამხედროებს კურდღლებივით რომ მოეცოცხათ იქიდან, იმისთვის?



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული

**წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში აღვნიშნე, რომ აშშ-ის ჯარების ავღანეთიდან სამარცხვინო გაქცევას აშშ-ის „მარაზმატიკმა“ პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ურცხვად უწოდა ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ბრწყინვალედ ჩატარებული სამხედრო ოპერაცია, მაგრამ არაფერი მითქვამს იმაზე, რომ ბაიდენის განცხადება, აშშ აღარასოდეს ეცდება ძალისმიერი სამხედრო ქმედებებით სხვა ქვეყნებში ამერიკული ღირებულება-ფასეულობის დამკვიდრებასო, როგორც ჩვენში იტყვიან, „ყინულზე დაწერილი პირობა“, ანუ მტკნარი სიცრუეა და სხვა არაფერი.**



სხვა ქვეყნებში სამხედრო ძალით ამერიკული დემოკრატიის ექსპორტზე ანგლოსაქსებმა შეიძლება მართლა თქვან უარი, რადგან, ჩვენგან განსხვავებით, ამერიკაში ხელისუფლებამ საზოგადოებრივი აზრი ძნელად შეიძლება უგულებელყოს. ამიტომაც **უჭირს ჯო ბაიდენს, საზოგადოებას აუხსნას, რისთვის დაიღუპა ავღანეთში 20 წლის განმავლობაში 2 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი — ბოლოს დანარჩენ სამხედროებს კურდღლებივით რომ მოეცოცხათ იქიდან, იმისთვის?**

ჯერ ერთი, რბილად რომ ვთქვათ, სოლიდური ასაკის გამო პრაქტიკულად გამორიცხული იყო, როგორც **დონალდ ტრამპმა** უწოდა, „მძინარა ჯოს“ მეორე ვადით არჩევა. ახლა კი, ავღანეთში განცდილი კრახის შემდეგ, ისე დაეცა მისი რეიტინგი, რომ თეორიულადაც კი გამორიცხულია ოვალურ კაბინეტში მისი მეორე ვადით ძილი. ანალოგიური რეპუტაციული ზიანი (ახლო პერსპექტივის გათვალისწინებით, იქნებ უფრო მნიშვნელოვანიც კი) მიადგა ბაიდენის „მშობლიურ“ დემოკრატიულ პარტიას, რომელიც, დიდი ალბათობით, შუალედური არჩევნების შედეგად, კონგრესსა და სენატში უმცირესობაში შეიძლება აღმოჩნდეს, რაც ლიბერალური დემოკრატიის აპოლოგეტებისთვის გადამწყვეტი დარტყმა იქნება.

**ვლადიმერ ზელენსკის** თეთრ სახლში ვიზიტის მრავალგზის გადატანა-გადმოტანის შემდეგ, როგორც იქნა, აღსრულდა მისი ნატვრა და ავღანეთის შოკიდან ჯერ კიდევ ვერგამოსულმა ჯომ ოვალურ კაბინეტში მიიღო უკრაინის აბეზარი პრეზიდენტი. აბეზარი იმიტომ, რომ თვეების განმავლობაში მართლაც თავი მოაბეზრა ბაიდენის ადმინისტრაციას, აუდიენციის თხოვნა-მუდარით, რომელიც, როგორც იქნა, გაიმართა და თანაც თეთრი სახლისთვის ყველაზე უხერხულ მომენტში — ჯო ბაიდენი ჯერ კიდევ არ იყო ავღანეთის შოკიდან გამოსული და ამიტომ თეთრ სახლში ზელენსკისთვის არავის სცხელოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონში ვიზიტამდე უკრაინის კლოუნი პრეზიდენტი ბევრს ბაქიბუქობდა, ჯო ბაიდენს ყირიმზე, დონბას-ლუგანსკზე, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ზე კატეგორიული ტონით დაველაპარაკები და უფრო მეტიც, ულტიმატუმის სახით მოვთხოვ, ნატოში უკრაინის გაწევრების კონკრეტული თარიღი დამისახელოსო, რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა — ზემოთ დასახელებულ თემებზე აშშ-ის პრეზიდენტს „სიტყვაც არ დაუსველებია“.

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზელენსკიმ უკრაინის მთავარი საექსპორტო საქონელი „რუსოფობია“ სასურველ ფასად ვერ გაყიდა (თუ საერთოდ გაყიდა), არადა, რამდენიმე მილიარდის მიღება სურდა — ანუ, ყოველივე ეს ზელენსკისთვის შეხვედრა შეხვედრისთვის იყო და სხვა არაფერი. რაც შეეხება „მძინარე ჯოს“, წამიერად გაღვიძებულმა, უკრაინის პრეზიდენტს უსაყვედურა, — შენს ქვეყანაში ლგბტ პირების უფლებები ჯეროვნად არ არის დაცულიო. პასუხად უკრაინის პრეზიდენტი პატრონს შეჰპირდა, რომ ამიერიდან პირადად გააკონტროლებდა ლგბტ თემის პარადის უფლებას.** არ ყოფილა ერთობლივი პრესკონფერენციაც, მხოლოდ გამოქვეყნდა 5-პუნქტიანი კომუნიკე, რომლის პირველი 4 პუნქტი ქართველებისთვისაც ნაცნობ „უმნიშვნელოვანეს“ თემებს ეხებოდა — უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერით დაწყებული და სხვა არაფრისმთქმელი სიტყვებით დამთავრებული. რაც შეეხება მე-5 პუნქტს, კომუნიკეს მართლაც გვირგვინად ადგა ლგბტ პირების უფლებათა დაცვა-პროპაგანდის გარანტირება. აი, ასეთი „ხელდამშვენებული“ დაბრუნდა კიევში უკრაინის კლოუნი პრეზიდენტი, რომელმაც არ დაახანა და ბაიდენისთვის მიცემული პირობის ერთგულების საილუსტრაციოდ 19 სექტემბერს ლგბტ-თა გრანდიოზული აღლუმი დანიშნა კიევის მთავარ გამზირ ხრეშატიკზე.

წინამდებარე წერილის ეს პასაჟი ასე ხაზგასმით იმის საილუსტრაციოდ გავშალე, რომ საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა: ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის უმთავრესი „ღირებულება“ თუ „ფასეულობა“ ე.წ. ადამიანის უფლებათა დაცვის ნიღბით ლგბტ გარყვნილების აგიტაცია-პროპაგანდა, ანუ მსოფლიოს ლგბტიზაცია.

სწორედ ამ „ღირებულება-ფასეულობათა“ (რომლებითაც უკვე მოწამლულია ე.წ. კოლექტიური დასავლეთი) მიღება-აღიარებას უშლის ხელს მართლმადიდებელი ქრისტიანობა და მართლმადიდებლობის დამცველი რუსეთი. მესამე რომად წოდებული რუსეთი რომ არა, დღეს მართლმადიდებელი ეკლესია არ იარსებებდა.

**9 სექტემბერს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის კიდევ ერთი რამ მოხდა — მოსკოვს, ეს უკვე მერამდენედ, ბელარუსის პრეზიდენტი, ლიბერასტული კოლექტიური დასავლეთის მიერ ევროპის უკანასკნელ დიქტატორად შერაცხილი ალექსანდრე ლუკაშენკო ეწვია. ვისურვებდი, „ბატკასავით“ საკუთარ ქვეყანაზე მზრუნველი პრეზიდენტი, თუნდაც დიქტატორი, ჩვენც გვყავდეს, ქართველებს. ორი ქვეყნის ლიდერთა მოლაპარაკება ღამის 2 საათამდე გაგრძელდა, რომლის შემდეგაც ლოდინით გათანგული ჟურნალისტების წინაშე პრეზიდენტები ერთობლივი პრესკონფერენციით წარდგნენ. გაირკვა, რომ ლუკაშენკომ და პუტინმა რუსეთ-ბელარუსის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციისთვის საჭირო 28 თემაზე სრულ კონსენსუსს მიაღწიეს.** თემებზე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგიყვანს, ხოლო კოლექტიურ დასავლეთს „გულს გაუხეთავს“, რადგან **ზემოხსენებული შეთანხმებები ერთობლივი ისტორიული წარსულისა და კულტურის მქონე ერთი ეთნოსის კვლავ ერთ სახელმწიფოში — რუსეთის იმპერიაში — გაერთიანებას ნიშნავს, თორემ ბელარუსებს (თეთრ რუსებს) სახელმწიფო არასოდეს ჰქონიათ, ისევე, როგორც უკრაინელებს...**

**9 სექტემბერს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის კიდევ ერთი რამ მოხდა — მოსკოვს, ეს უკვე მერამდენედ, ბელარუსის პრეზიდენტი, ლიბერასტული კოლექტიური დასავლეთის მიერ ევროპის უკანასკნელ დიქტატორად შერაცხილი ალექსანდრე ლუკაშენკო ეწვია. ორი ქვეყნის ლიდერთა მოლაპარაკება ღამის 2 საათამდე გაგრძელდა, რომლის შემდეგაც პრეზიდენტები ლოდინით გათანგული ჟურნალისტების წინაშე ერთობლივი პრესკონფერენციით წარდგნენ. გაირკვა, რომ ლუკაშენკომ და პუტინმა რუსეთ-ბელარუსის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციისთვის საჭირო 28 თემაზე სრულ კონსენსუსს მიაღწიეს**

ზემოთქმულმა ორი ნიშანდობლივი რამ გამახსენა:

**პირველი** — სიმღერადქცეული ლექსი, რომლის ლაიტმოტივი ასეთია: „Россия, Украина, Белоруссия. Племён славянских три богатыря“. სამ გოლიათში იგულისხმება — რუსი **ილია მურომეცი,** უკრაინელი **დობრინია ნიკიტიჩი** და ბელარუსი **ალიოშა პოპოვიჩი...** ასე რომ, მოსკოვის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულისა და დონბასის ოლქის „ანექსია“ ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა. **მეორე** — პირველიდან გამომდინარე, სიმღერა და ლექსი არა, მაგრამ **ზბიგნევ ბჟეზინსკის** „პროზა“ გამახსენდა: **„უკრაინის გარეშე რუსეთი რეგიონული „დერჟავაა“, ხოლო უკრაინასთან ერთად — მსოფლიო იმპერია“...**

**დავით მხეიძე**

**P.S.** ბოლო საუკუნეების განმავლობაში ავღანეთს ერთი დღეც არ უცხოვრია ომის გარეშე და ამიტომაც ისტორიკოსები ამ ქვეყანას იმპერიების სასაფლაოს უწოდებენ. ვინ აღარ სცადა ამ ვაჟკაცი ერის დამონება — „ველური“ იმპერიებით დაწყებული, ბრიტანეთითა და აშშ-ით დამთავრებული, მაგრამ ყველამ „ცხვირი წაიტეხა“...

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყველაზე თავისუფალი მედია "ავტორიტარული მმართველობის" რუსეთშია, რადგან პოლიტიკურ ტოქშოუებში ამერიკელ, უკრაინელ თუ, ვინც გნებავთ, რუსეთისადმი აშკარად მტრულად განწყობილ ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში საშუალება აქვთ, აკრიტიკონ პუტინის „დიქტატორობა“, განსხვავებით „თავისუფალი სიტყვის ციტადელ“ აშშ-ის ტელევიზიებისა, ამერიკის პრეზიდენტს მიკროფონს რომ უთიშავენ.

რუსეთის მთავარი მოკავშირე სიმართლეა, ამიტომაც მსგავსი ტელედებატები თუ ტოქშოუები ყოველთვის რუსეთის პოზიციის გამარჯვებით მთავრდება. ამას წინათ ავღანეთის საკითხზე კუთხეში მიმწყვდეულმა ერთმა რუსოფობმა პოლონელმა ჟურნალისტმა აშშ-ის ავღანეთიდან გაქცევის გასამართლებლად „დაახეთქა“: რას ერჩით ამერიკელებს, მათ ავღანელებს სამშობლო დაუტოვეს და რა ანგლოსაქსების ბრალია, თუ თალიბებმა ქვეყნის მართვა ვერ შეძლეს? სამწუხაროდ, სტუდიაში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ამ ამაზრზენ დემაგოგიას საკადრის პასუხს გასცემდა... რატომ არ დაანებეს საკუთარი ქვეყნების მართვა ანგლოსაქსებმა ერაყს, ეგვიპტეს, ტუნისს, ლიბიას, იუგოსლავიას, რომლის დედაქალაქი ბელგრადი საავიაციო დაბომბვებით მიწასთან გაასწორეს, ქვეყანა კი დაშალეს. სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, რომ არა გაძლიერებული რუსეთი, სადამ ჰუსეინის ან მუამარ კადაფის ბედი ელოდა; ხოლო სირია, როგორც სახელმწიფო, დღეს პოლიტიკურ რუკაზე აღარ იარსებებდა.

ცივი ომი აშშ-მა კი არ მოიგო, არამედ მოღალატე გორბაჩოვ-შევარდნაძე-იაკოვლევის მეცადინეობით სსრკ-მა წააგო და, რაც მათ დააკლეს საბჭოეთს, ბორის ელცინმა აუსრულა უკვე კაპიტალისტურ რუსეთს; იქამდეც კი, რომ ე.წ. ბუშის ქათმების ბარკლების სანაცვლოდ უზარმაზარი ბირთვული სახელმწიფო აშშ-ის სატელიტად იქცეოდა; მეტიც, რუსეთის კონსტიტუცია ელცინის კაბინეტში აშშ-ის ელჩის ზედამხედველობით იწერებოდა. აი, სწორედ მაშინ, 1990-იან წლებში იყო ელცინის რუსეთი ამერიკელებისთვის კარგი, სანამ ხელისუფლებაში მოულოდნელად არ მოვიდა ლენინგრადში ქუჩის დაუწერელი კანონებით აღზრდილი ვლადიმერ პუტინი, რომელმაც სასწაულებრივად ფეხზე დააყენა, ანგლოსაქსების აზრით, სამუდამოდ დაჩოქებული რუსეთი, შემდეგ კი ისე გააძლიერა სამხედრო თვალსაზრისით, რომ მისი შიშით მთელი „ცივილიზებული“ კოლექტიური დასავლეთი ძრწის. ამას წინათ პუტინმა კონსტიტუციაში ისეთი ეროვნული ცვლილებები შეიტანა, რომ ვერც ერთი დასავლელი ლიბერასტი რუსეთის საშინაო საქმეებში ვეღარ ჩაერევა...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთი ერთპოლუსიანი მსოფლიოს მესაფლავე გამოდგა...

ზემოთ აშშ-ის მიმართ ტერმინი „ყინულზე დაწერილი“ გამოვიყენე და, სამწუხაროდ, რუსეთის პრეზიდენტის მიმართაც უნდა გავიმეორო — სად არის, რატომ არ სრულდება რუსეთის სახელმწიფო მეთაურის დაპირება, რომ, ვინც სსრკ-ში დაიბადა და საბჭოეთში ცხოვრობდა, შეუძლია, რუსეთის მოქალაქეობა მიიღოს? ესეც ყინულზე დაწერილი პირობა ხომ არ არის?

**ვაქცინაციის დილემა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სხვა სახელმწიფოებშიცაა „ჩვენი ტრიოს“ ანალოგები, რომლებიც სოლიდურ გასამრჯელოს იღებენ ვაქცინაციის პოლიტიკის გატარების სანაცვლოდ და, ჩვენთანაც იგივე რომ მოხდებოდა, ეჭვიც არ მეპარებოდა, მაგრამ მხოლოდ ახლახან შევიტყვე ერთ-ერთი ტელეარხიდან, რომ ბატონი ამირან გამყრელიძე, თურმე, 8 760 ევროს იღებს ყოველთვიურად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან (სხვებზე ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც სხვები იქნებიან „უყურადღებოდ“ დატოვებულნი).**

დასასრული. დასაწყისი იხ. №31, 2021 წ.

# ვინც ინფორმირებულია, ის შეიარაღებულია!

**თენგიზ ცერცვაძისა და პაატა იმნაძის გამონათქვამების გვერდით სამეულის პირველი ვიოლინოს, ამირან გამყრელიძის, ციტირება ამჯერად ზედმეტად ჩავთვალე, რადგან მათი გამონათქვამები იდენტურია და არც საგაზეთო წერილის ფორმატი იძლევა მათი გამეორების საშუალებას, თუმცა ჩემი კრიტიკული შენიშვნები, პირველ რიგში, სწორედ მას ეკუთვნის და პასუხისმგებლობაც, უპირველესად, მას დაეკისრება.**

დავუბრუნდეთ ივერმექტინს.

თავდაპირველად, როგორც მიღებულია მედიცინაში, ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები ინ ვიტრო უჯრედოვან კულტურებზე. მელბურნის (ავსტრალია) მონაშის უნივერსიტეტის ბიომედიცინის ინსტიტუტში შეისწავლეს ივერმექტინის გავლენა ვირუსულ რიბონუკლეინის მჟავაზე (რნმ). კვლევის შედეგები 2020 წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა ცნობილ საერთაშორისო ჟურნალ Antiviral Research-ში. კვლევის შედეგები განსაცვიფრებლად შთამბეჭდავი იყო, დასკვნაც შესაბამისი: **ივერმექტინი ფართოდ შეიძლება იქნას გამოყენებული კოვიდ-19-ით დაინფიცირებული ავადმყოფების სამკურნალოდ.**

მალევე ჩატარდა კლინიკური კვლევაც. პირველი წერილი სათაურით „ივერმექტინისგან მიღებული სარგებლობა კოვიდ-19-ის დროს“ ზემოხსენებული ჟურნალის ვებგვერდზე გამოქვეყნდა 19 აპრილს. **კვლევა ჩატარდა მსოფლიოს მასშტაბით — ხუთივე კონტინენტის 169 ჰოსპიტალში 704 პაციენტი იღებდა ამ პრეპარატს, 68 230 პაციენტი კი საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა. იმ პაციენტებს შორის, რომლებსაც ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე გადაყვანა დასჭირდათ, ლეტალობა 3-ჯერ ნაკლები იყო ივერმექტინის ჯგუფში, საერთო ლეტალობა კი — 6-ჯერ ნაკლები. ანალოგიური შედეგები მიიღეს ცალკე ჩატარებული სხვა კვლევებითაც არგენტინასა და პერუში — არც ერთ პაციენტს ივერმექტინით დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში გართულება არ ჰქონია, გარდაცვალების მაჩვენებელი კი იყო 0%.**

რაც ძალზე მნიშვნელოვანია: ივერმექტინზე 40-წლიანი დაკვირვება — ჯერ როგორც ანტიპარაზიტულ, 2020 წლიდან კი, — როგორც კოვიდ 19–ის სამკურნალო პრეპარატზე, აბსოლუტურად უსაფრთხოს ხდის მის გამოყენებას, რადგანაც ერთი შემთხვევაც კი არ არის აღწერილი მისგან გამოწვეული რაიმე სერიოზული გართულებისა.

ახლა, **რა მოხდა ინდოეთში, რისი დანახვაც ცოცხალი თავით არ უნდათ ჩვენს „საპატიო თბილისელებს“...**

**FLCCC (Front Line Covid-19 Critical Care Alliance) ჯგუფმა (10 წევრი) და RIRD-მა (65 წევრისგან შემდგარმა ივერმექტინის რეკომენდაციების შემმუშავებელი ბრიტანული ჯგუფი) 3 მაისს გამოუშვეს პრესრელიზი, რომელშიც ყველას მოუწოდებდნენ, დაუყოვნებლივ დაეწყოთ ივერმექტინის გამოყენება კოვიდ-19-ის სამკურნალოდ. დოქტორმა პოლ მარიკმა, FLCCC ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ინტენსიური თერაპიის სპეციალისტმა, 7 მაისს განაცხადა: „ჩვენ აღარ შეგვიძლია ვენდოთ ჯანდაცვის დიდ ორგანიზაციებს, რომლებიც სამედიცინო და სამეცნიერო მონაცემების შემოწმებას ატარებენ“.**

ჰარვარდისა და იელის უნივერსიტეტების პროფესორები პირველები იყვნენ, რომლებმაც კოვიდ-19-ის ადრეული ამბულატორიული მკურნალობის პროტოკოლი გამოაქვეყნეს 2020 წლის 6 აგვისტოს. **ინდოეთის სამედიცინო მეცნიერებათა ინსტიტუტმა (AIIMS) და ინდოეთის სამედიცინო კვლევების საბჭომ (ICMR) გაბედეს და შეისმინეს ზემოხსენებული სპეციალისტების რჩევები, ყურადღებით მოეკიდნენ 56 კვლევას 18 447 პაციენტის მონაწილეობით, საიდანაც თვალნათლივ იკვეთებოდა ივერმექტინის აშკარა დადებითი ეფექტი — გარდაცვალების შემთხვევების კლება 91%-ით. ამის შემდეგ ინდოეთის რამდენიმე შტატში დაიწყეს ივერმექტინით მკურნალობა, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: 5 კვირაში კოვიდით დაავადების საშუალო დღიურმა მაჩვენებელმა 60-97%-ით იკლო, იმ შტატებში კი, რომლებშიც ივერმექტინს არ იყენებდნენ, მკვეთრად მოიმატა — 50, 200 და 800%-ით. ახალი მონაცემებით, 1 ივლისიდან 5 აგვისტომდე გარდაცვალების მაჩვენებელი იყო: ლონდონში + 400% (5-ჯერადი მატება!), დელიში კი — -72% (3.6-ჯერადი კლება).**

დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად დააეჭვებს ახალი შემთხვევების საშუალო დღიური მაჩვენებლების ასეთი მკვეთრი დაცემა, სულ რაღაც, ერთ თვეში, რადგან სავსებით დასაჯერებელია ივერმექტინის სამკურნალო ეფექტი, დასაჯერებელია გარდაცვალების შემთხვევათა კლებაც, მაგრამ ვირუსის, კოვიდის გავრცელებასა და ახალი შემთხვევების ჯერადობით შემცირებასთან ივერმექტინი რა კავშირშიაო, — გაკვირვებული იკითხავს იგი. საქმე ის არის, რომ **ინდოეთში, ჩვენთან ჩამორჩენილი ქვეყანა რომ ჰგონია ბევრს, ძალიან კარგად მუშაობს ეპიდემიოლოგიური სამსახური, ხდება ავადმყოფის ყველა კონტაქტის გამოვლენა და, რაც მთავარია, ოჯახის წევრებსა და კონტაქტში მყოფ სრულიად ჯანმრთელ ადამიანებს უტარდებათ პრევენციული მკურნალობა ივერმექტინით. აი, ასეთი პრეპარატის დანიშვნას ვერ ბედავენ ჩვენი ბედოვლათები უმძიმესი ავადმყოფებისთვისაც კი. ეს დანაშაულია!**

**საინტერესო ამბავი მოხდა თამილ ნადუს შტატში: ინდოეთის ადვოკატთა ასოციაციამ (IBA) 2021 წლის 15 მაისს საქმე აღძრა ჯანმოს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, ინდოელი ქალბატონის, დოქტორ სუმიუ სვამინატანის წინააღმდეგ, რომლის ტვიტმაც (ივერმექტინის ეფექტიანობაზე) შეცდომაში შეიყვანა შტატის ხელმძღვანელობა (შტატის მთავარი მინისტრი — საინტერესო გვარის მქონე ინდოელი, M.K.STALIN), რომელმაც კოვიდპაციენტების მკურნალობის პროტოკოლიდან ივერმექტინი ამოიღო. ადვოკატთა ასოციაციამ ბრალი დასდო ამ ქალბატონს, რომ მისი მიკერძოებული ტვიტის მიზეზით დაიღუპნენ ივერმექტინის გარეშე დარჩენილი ინდოეთის მოქალაქეები.** ინდოეთის ადვოკატთა კოლეგიის წამყვანმა რწმუნებულმა ადვოკატმა, ქალბატონმა **დიპალი ოჯამ** დოქტორი სუმიუ სვამინატანი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში — ვაქცინების ინდუსტრიის პროგრამის ლობირებაში დაადანაშაულა და სისხლის სამართლის დევნით დაემუქრა მისი მოქმედებით თუ უმოქმედობით გამოწვეული „თითოეული სიკვდილისთვის“. **ინდოეთის ადვოკატთა ასოციაციამ გაბედა და ისტორიული სარჩელი აღძრა ინდოეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამმართველოს (PHA) წინააღმდეგ, ეს იმის სიგნალია, რომ ბოროტმოქმედების ტოლფასი დეზინფორმაციის კამპანიები, რომლებსაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ, დაუსჯელი არსად არ დარჩება. ჩვენთანაც უნდა გაჩაღდეს მოძრაობა ჯანდაცვის სამინისტროს, სამეულისა და კიდევ სხვა მოხელეების წინააღმდეგ.**

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მომაკვდავი ავადმყოფის საწოლთან მყოფ სასოწარკვეთილ პატრონს, რომელიც ხედავს, რომ ავადმყოფზე გადაყოლილი ექიმების ბრიგადა უძლურია, ვინმე ღვთისნიერმა კაცმა გააგებინოს, რომ არსებობს წამალი, სახელად ივერმექტინი, რომელმაც, შესაძლოა, უშველოს კიდეც თქვენს ავადმყოფსო. დაიმედებულ პატრონს კი „სამ მუშკეტერად“ წოდებულმა სამეულმა „ცივი წყალი გადაასხას“: კი, ჩვენც გაგვიგია, ივერმექტინი არ უნდა იყოს ცუდი წამალი, მაგრამ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ნებართვის გარეშე თქვენს ავადმყოფს მაინც ვერ დავუნიშნავთო. როგორ გგონიათ, რომელიმე გაასწრებს იქიდან ცოცხალი?

რაც შეეხება ვაქცინაციას — **ნებისმიერი ინფორმაცია, ტელევიზიით მოწოდებული იქნება თუ ინტერნეტში მოძიებული, რა თქმა უნდა, არ უნდა დავიჯეროთ და ის მაინც შევძლოთ, რომ არაარგუმენტირებული, მტკიცებით ფორმაში გაკეთებული მოწოდებები, თანაც შესასრულებლად სავალდებულო, საპირისპირო მოსაზრებებს შევადაროთ და დასკვნაც შემდგომ გამოვიტანოთ, ამის გარეშე სწორი პოზიციის არჩევა ძალიან გაჭირდება. სულ ცოტა, ერთი კითხვა მაინც ხომ უნდა დაუსვას კაცმა საკუთარ თავს: რის შეშხაპუნებასაც მიპირებენ სისხლში – ეს, ვაქცინას რომ ეძახიან, რა ნივთიერებებისგან შედგება? და, როცა გაიგებ, რომ იგი ლამის მხოლოდ შხამებით, კიბოს უჯრედებითა და კიდევ ბევრი უცნობი ქიმიური ნივთიერებითაა გაჯერებული და, რომ მან, შესაძლოა, გენურ დონეზე გამრავლების ფუნქციაზეც უარყოფითად იმოქმედოს (სხვა გართულებებს თავი რომ დავანებოთ!), კარგად დაფიქრდები, კიდევ შეძვრები ინტერნეტში და ახალ-ახალი ინფორმაციის მოპოვებას შეეცდები.** და ბოლოს, როცა დაგიგროვდება შესაბამისი ცოდნა, დადგება მომენტი, როცა იყვირებ: **„არა, ამის დაშვება არ შეიძლება, ყველას უნდა გავაგებინო, რასაც გვიპირებენ და რატომაც ცდილობენ ასე თავგამეტებით ვაქცინაციაზე ჩვენ დაყოლიებას“.** იყვირებ, რადგან, როგორც **მარტინ ლუთერ კინგი** ამბობს: „ჩვენ კვდომას ვიწყებთ იმ დღეს, როდესაც სიმართლეს ვიგებთ და ამის შესახებ ხმას არ ამოვიღებთ“. ახალი ეჭვიც გაგიჩნდება: **კი მაგრამ, რაც მე მოვიძიე, თუ ტყუილია და სიმართლეს არ შეესაბამება, მაშინ ამის შესახებ ხმამაღლა რატომ არ ლაპარაკობენ ჯანდაცვის მესვეურები, ანუ ისინი, ვისაც ეს სამსახურეობრივად ევალებათ?! რატომ არ იმართება ტელედისკუსიები (პირდაპირი გადაცემით) და სამეცნიერო კონფერენციები?! და, თუკი ჩვენი და ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობის (და მათი შთამომავლობის) ასეთი მტკივნეული თემების განხილვას გაურბის საჯარო მოხელე, მაშინ რა უფლება აქვს მას, ცალმხრივად ამტკიცოს ვაქცინად წოდებული რაღაცის უპირატესობა და სისხლში შემიყვანოს ისეთი „აჯაფსანდალი“, რომლის შემადგენლობა და უსაფრთხოება, პრაქტიკულად, შეუსწავლელია?!**

სხვა სახელმწიფოებშიც არიან „ჩვენი ტრიოს“ ანალოგები, რომლებიც სოლიდურ გასამრჯელოს იღებენ ვაქცინაციის პოლიტიკის გატარების სანაცვლოდ და, ჩვენთანაც იგივე რომ მოხდებოდა, ეჭვიც არ მეპარებოდა, მაგრამ მხოლოდ ახლახან შევიტყვე ერთ-ერთი ტელეარხიდან, რომ ბატონი ამირან გამყრელიძე, თურმე, 8 760 ევროს იღებს ყოველთვიურად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან (სხვებზე ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც სხვები იქნებიან „უყურადღებოდ“ დატოვებულნი).

დამჯერ, ჭურში მჯდომ ხალხს რა გამოლევს, გამოლევს კი არა, ისე შეიძლება გადაუბრუნონ მათ ტვინი, რომ აქეთ შეიძლება შემოგვიტიონ და იძულებით აცრის შემომღებ ხელისუფლებას დაეხმარონ კიდეც ჩვენს გაკოჭვაში და ძალით აცრაში. მერწმუნეთ, ეს არ არის უსაფუძვლო შიში — ჯერ ახლა, ცხვირზედაც თუ არ გაქვს აფარებული ▶



**კვლევა ჩატარდა მსოფლიოს მასშტაბით — ხუთივე კონტინენტის 169 ჰოსპიტალში 704 პაციენტი იღებდა ამ პრეპარატს, 68 230 პაციენტი კი საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა. იმ პაციენტებს შორის, რომლებსაც ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე გადაყვანა დასჭირდათ, ლეტალობა 3-ჯერ ნაკლები იყო ივერმექტინის ჯგუფში, საერთო ლეტალობა კი — 6-ჯერ ნაკლები. ანალოგიური შედეგები მიიღეს ცალკე ჩატარებული სხვა კვლევებითაც არგენტინასა და პერუში — არც ერთ პაციენტს ივერმექტინით დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში გართულება არ ჰქონია, გარდაცვალების მაჩვენებელი კი იყო 0%**

**FLCCC (FRONT LINE COVID-19 CRITICAL CARE ALLIANCE) ჯგუფმა (10 წევრი) და RIRD-მა (65 წევრისგან შემდგარმა ივერმექტინის რეკომენდაციების შემმუშავებელი ბრიტანული ჯგუფი) 3 მაისს გამოუშვეს პრესრელიზი, რომელშიც ყველას მოუწოდებდნენ, დაუყოვნებლივ დაეწყოთ ივერმექტინის გამოყენება კოვიდ-19-ის სამკურნალოდ. დოქტორმა პოლ მარიკმა, FLCCC ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ინტენსიური თერაპიის სპეციალისტმა, 7 მაისს განაცხადა: „ჩვენ აღარ შეგვიძლია ვენდოთ ჯანდაცვის დიდ ორგანიზაციებს, რომლებიც სამედიცინო და სამეცნიერო მონაცემების შემოწმებას ატარებენ“.**

ვაქცინაციის დილემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინდოეთში, ჩვენთან ჩამორჩენილი ქვეყანა რომ ჰგონია ბევრს, ძალიან კარგად მუშაობს ეპიდემიოლოგიური სამსახური, ხდება ავადმყოფის ყველა კონტაქტის გამოვლენა და, რაც მთავარია, ოჯახის წევრებსა და კონტაქტში მყოფ სრულიად ჯანმრთელ ადამიანებს უტარდებათ პრევენციული მკურნალობა ივერმექტინით. აი, ასეთი პრეპარატის დანიშვნას ვერ ბედავენ ჩვენი ბედოვლათები უმძიმესი ავადმყოფებისთვისაც კი. ეს დანაშაულია**

◀ პირბადე, ისეთი ზიზღითა და მბრძანებლური ტონით მოგცემს ვილაც ხეპრე შენიშვნას, რომ ცოტაც და, ხელით შეგეხება. ასეთ ხალხს ისე გადაუბრუნეს ტვინი, რომ გამყრელიძის გარდა მათ არავის აღარ სჯერათ. **როგორ გადაუბრუნეს?**

ეს არც ისე ძნელია ხელისუფლებისთვის, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, იმდენი ტყუილი მიაწოდოს ხალხს და იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლის. ნათქვამია: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“-ო, ანდა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“-ო. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ, თუ ამ „მოკლე ფეხების“ და „ბოლოს“ გამომზეურება, მასზე ლაპარაკიც კი პრაქტიკულად აკრძალული გაქვს, როგორ გინდა, აჯობო იმ ხალხს, იმ ძალას, რომლებმაც კარგად გაითავისეს გებელსის პროპაგანდისტული შეგონება და ცხოვრებაშიც წარმატებით ახორციელებენ: „ათასჯერ ნათქვამი სიცრუე სინამდვილედ იქცევა“. ამ ძალამ ისიც კარგად იცის, რომ, თუკი არსებობს მეორე ძალა, რომელიც მას ტყუილებში გამოიჭერს და გააშიშვლებს, სიცრუის მხოლოდ მექანიკური განმეორება ვერ უშველის, მიზანს ვერ მიაღწევს, იცის, რომ წარმატების მისაღწევად აუცილებელია ამ „გამშიფრავი“ მეორე ძალის განეიტრალება – ფიზიკური განადგურება თუ არა, მისი დისკრედიტაცია, მისთვის სახელის გატეხვა ცილისწამების გზით. ამიტომაც არის, რომ **კოვიდვაქცინაციის მოწინააღმდეგეებს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ისინი ნებისმიერი ვაქცინაციის წინააღმდეგნი იყვნენ და, მაშასადამე, ბნელები და ჩამორჩენილები. იმ სიმართლეს კი აღარ ამბობენ, რომ ანტივაქსერები კანონის, ნიურნბერგის კონვენციის („არ შეიძლება ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარება“) და სამედიცინო ეთიკის უმთავრესი პრინციპის — PRIMUM NON NOCERE — „უპირველესად, არ ავნო“-ს, დამცველებად გამოდიან.**

ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ეცოდინება, რომ 2020 წლის აპრილის ბოლოს ამერიკის სასამართლო პროცესების ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოხდა — ნიუ-იორკის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეერთებული შტატების მთავრობამ სასამართლო პროცესი წააგო გახმაურებული დოკუმენტური ფილმის (Vaxxed-ვაქცინირებულები, რეჟისორი — დოქტორი **ენდრიუ უეიკფილდი**) პროდუსერ **დელ ბიგტრის** მიერ 2016 წელს დაფუძნებულ კომპანია **ICAN (Informed Consent Action Network)**-თან. კომპანიის ადვოკატი იყო **რობერტ კენედი-უმცროსი** (მოკლული პრეზიდენტ ჯონ კენედის ძმის, ასევე მოკლული სენატორ **რობერტ კენედის** შვილი) — იურისტი, მწერალი და ეკოაქტივისტი, რომელიც პრეზიდენტმა ტრამპმა ვაქცინების უსაფრთხოების მიზნობრივი ჯგუფის თავმჯდომარედ დანიშნა ინაუგურაციიდან მეხუთე დღეს, 2017 წლის 25 იანვარს. მოხდა ყოვლად დაუჯერებელი რამ: ამერიკის მთავრობამ ერთი დოკუმენტიც ვერ წარმოადგინა, რომლითაც დადასტურდებოდა, ბოლო 32 წლის განმავლობაში (დაწყებული 1986 წლიდან, როცა კონგრესმა ვაქცინების მწარმოებელი ტრანსნაციონალური ფარმკომპანიები ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა) გამოშვებული ვაქცინებიდან თუნდაც ერთმა მაინც რომ გაიარა ხარისხზე შემოწმება. არადა, ადამიანის ჯანმრთელობის დეპარტამენტი (DHHS) იმავე 1986 წლის აქტით (ვაქცინაციის შედეგად უამრავი ბავშვის დაღუპვისა და დაინვალიდების გამო მიღებული) ვალდებული იყო, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ კონგრესისთვის წარედგინა ანგარიში იმ ზომებზე, რომლებიც გატარდებოდა ვაქცინების ხარისხის გასაუმჯობესებლად. გაუმჯობესებას ვინ დაეძებს, 32 წლის განმავლობაში, თურმე, არც ერთი ვაქცინის ხარისხი არ შემოწმებულა. **რობერტ კენედი-უმცროსსა და მის თანამოაზრეებს წლების შეუპოვარი შრომა დასჭირდათ, რათა გამარჯვებისთვის მიეღწიათ. ამ გამარჯვებაში პრეზიდენტ ტრამპის პოზიციასაც რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, უდავოა.** თუ გავითვალისწინებთ ვაქცინაციით გამოწვეულ ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევებზე მის მიერ პირველ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებასაც (ინაუგურაციიდან მეცხრე დღეს): „ეს მკვლელობები ფარმაცევტული ინდუსტრიის კისერზეა“, კიდევ უფრო გასაგები გახდება, რატომ არ გაამარჯვებინეს მას 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომლის შედეგების მსგავსი გაყალბება კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.



**ინდოეთის ადვოკატთა ასოციაციამ გაბედა და ისტორიული სარჩელი აღძრა ინდოეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამმართველოს (PHA) წინააღმდეგ, რაც იმის სიგნალია, რომ ბოროტმოქმედების ტოლფასი დეზინფორმაციის კამპანიები, რომლებსაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ, დაუსჯელი არსად არ დარჩება. ჩვენთანაც უნდა გაჩაღდეს მოძრაობა ჯანდაცვის სამინისტროს, სამეულისა და კიდევ სხვა მოხელეების წინააღმდეგ**

**„ეს ნიშნავს, — აღნიშნავდა ერთ-ერთი ამერიკელი მიმომხილველი, — რომ ადამიანის ჯანმრთელობის დეპარტამენტი და ვაქცინების მწარმოებელი კომპანიები 30-ზე მეტი წლის განმავლობაში ატყუებდნენ ამერიკელებს დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, როდესაც მათ ვაქცინების ეფექტიანობასა და უსაფრთხოების შესახებ ესაუბრებოდნენ“!**

შეუძლებელია ამ შემაძრწუნებელი ფაქტისთვის შესაფერისი სიტყვებით კომენტარის გაკეთება. დამნაშავე პირებისთვის შესაფერისი პასუხის გაცემა კი პრეზიდენტ ტრამპს, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

„ბნელებისა“ და „ჩამორჩენილების“ სახელით „განათლებულებისა“ და „მოწინავეების“ გასაგონად ვიტყვი:

ამერიკელებს აქვთ ასეთი გამოთქმა: „ერთხელ მომატყუე, — შენი სირცხვილი, ორჯერ? — უკვე ჩემი სირცხვილი“ (ასე რომ გავბრიყვდიო)!

ჰოდა, ორჯერ კი არა, **სახელმწიფო, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გუშინდლამდე გამუდმებით იტყუებოდა და შეუსწავლელი ვაქცინებით ამარაგებდა მსოფლიოს, სახელმწიფო, რომელსაც ამ უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირებიდან არავინ დაუსჯია, დღეს უცებ ანგელოზი გახდა და მის გამოშვებულ ვაქცინებს, რომლებსაც სათანადო გამოცდაც არ გაუვლია უსაფრთხოებასა და ეფექტიანობაზე, უკვე თვალდახუჭული ენდობით?! განათლებულო წინმავალნო, ინფორმაციის დეფიციტი გაქვთ, მეხსიერება გღალატობთ თუ ლოგიკურ აზროვნებასთან ხართ მწყრალად?!**

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ახალ-ახალი ინფორმაცია მივაწოდოთ ხალხს იმის იმედით, რომ იგი მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს, ბრმად არ დაჰყვება არავის ზეწოლას და კრიტიკულად მიუდგება ვაქცინაციასთან დაკავშირებულ შემოთავაზებებს.

ინფორმაციით აღჭურვილი ადამიანი ძნელი დასამონებელია! ვინც ინფორმაციას არ ეძებს, „იგი თავისა მტერია“! სახელმწიფოს მხრიდან ბუნებით მონიჭებული და კონსტიტუციით გამყარებული ჩვენი უფლებების შეზღუდვას სახელმწიფო მოხელეების უფლებების შეზღუდვითვე უნდა ვუპასუხოთ, სახელმწიფოს მხრიდან ძალადობას კი ადეკვატური ძალადობა უნდა შევაგებოთ, ამის სრული მორალური და კონსტიტუციური უფლება გვაქვს!

**იაკობ ლეჟავა**

**სახელმწიფო, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გუშინდლამდე გამუდმებით იტყუებოდა და შეუსწავლელი ვაქცინებით ამარაგებდა მსოფლიოს, სახელმწიფო, რომელსაც ამ უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირებიდან არავინ დაუსჯია, დღეს უცებ ანგელოზი გახდა და მის გამოშვებულ ვაქცინებს, რომლებსაც სათანადო გამოცდაც არ გაუვლია უსაფრთხოებასა და ეფექტიანობაზე, უკვე თვალდახუჭული ენდობით?! განათლებულო წინმავალნო, ინფორმაციის დეფიციტი გაქვთ, მეხსიერება გღალატობთ თუ ლოგიკურ აზროვნებასთან ხართ მწყრალად?!**

**P.S.** **სამეულისთვის განკუთვნილი: თქვენი, პირადად და თქვენი პატრონებისაც, ყველაზე დიდი დანაშაული არა იმდენად ადამიანის უფლებების ხელყოფა და ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების შემოღებაა (თქვენი რეკომენდაციების საფუძველზე), არა უჭკუობა-უცოდინარობა და კორუფციაში ჩართულობა, არა უნამუსობა და ხელისბიჭობა, არა იდიოტური რეგულაციების შემოღება და კუბოებით ხალხის გამუდმებული დაშინება, არა ექიმისთვის ყოვლად შეუფერებელი პოლიტიკური განცხადებების კეთება და ჰიპოკრატეს ფიცის დავიწყება, არა საკუთარი აცრებით კამერების წინ პოზირება და იძულებითი ვაქცინაციისკენ მოწოდება, არა წამახალისებელ-სადამსჯელო ზომებისა და კოვიდპასპორტების შემოღება, არა ყალბი და დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელება, არა ვაქცინაციის გართულებების მიჩქმალვა და არარსებული უპირატესობების გაბუქვა, არა დასმული კითხვებისთვის თავის არიდება და კოლეგების შეურაცხყოფა, არა საჯარო დისკუსიებზე უარის თქმა და კრიტიკული აზრის დაბლოკვა, არა თუნდაც ავადმყოფების არასათანადო მკურნალობაა, არამედ ყველაზე დიდი და მიუტევებელი დანაშაული აუცრელებით აცრილების დაშინებით ადამიანებს შორის შუღლის ჩამოგდება და ოჯახის წევრების ერთმანეთზე წაკიდებაა, რაც, დადგება დრო, ძალიან ცუდად შემოგიტრიალდებათ!**

**ი.ლ.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინს კარგად ესმოდა რა, რომ პატრიოტული სულისკვეთება მთავარი იყო ქვეყნისთვის, 1930-იან წლებში საბჭოთა იდეოლოგია და პატრიოტიზმი გამოაცხადა მთავარ ღირებულებებად. ამისთვის მან დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია.**

**ავსტრია-პრუსიის ცნობილი შეტაკება, რომელიც 1866 წლის 3 ივლისს მოხდა ჩეხეთის სოველ სადოვასთან და რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ორ ქვეყანას შორის ომზე, პრუსიელთა გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებულთა არნახულმა თავგანწირვამ სამშობლოსათვის დიდი რეზონანსი გამოიწვია იმჟამინდელ მსოფლიოში. ლაიფციგელმა პროფესორმა ოსკარ პეშელმა ემოციურად წამოიძახა: „პრუსიელებმა გაიმარჯვეს ავსტრიელებზე, ანუ პრუსიელმა მასწავლებელმა გაიმარჯვა ავსტრიელ მასწავლებელზე“. გამონათქვამმა ისეთი პოპულარობა და განზოგადოება ჰპოვა, რომ ფრთიანი ფრაზა შეცდომით ბისმარკს მიაწერეს...**

# სტალინი და საქართველოს ისტორია

რუსი იმპერატორები არასოდეს ყოფილან დაინტერესებულნი, გიმნაზიებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ისტორიული წარსული ესწავლებინათ ახალგაზრდებისთვის და არასოდეს შეუქმნიათ ისტორიის სახელმძღვანელო. რუსეთის იმპერიაში უამრავი ადამიანის სახელი შორს იყო გაცდენილი იმპერიის ფარგლებს და მსოფლიო კლასიკოსებად ითვლებოდნენ, მაგრამ ისინიც კი ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ რუსეთის იმპერიული წარსული სამარცხვინო ლაქაა ქვეყნის ისტორიისათვის. რუსეთის ისტორიის შესაქმნელად არც **ლენინსა** და **ტროცკის** შეუწუხებიათ თავი, რადგან რუს ხალხს, მისი წარსულით, მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის კოცონზე დასაწვავად ამზადებდნენ და „თეთრი ზანგების“ ქვეყნად განიხილავდნენ. **დიადი ქვეყნის მესაძირკვლემ, შინაური თუ გარეშე მტრების განადგურების შემდეგ, მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის აღმშენებლობას — თუ არა სტალინს, სხვას ვის შეეძლო გაპარტახებული, გალოთებული, მცონარე რუსეთის ახალი სახელმწიფოს სამშენებლო ხარაჩოებში მოქცევა და მან, უპირველესად, ქვეყანაში ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეს მიაპყრო ყურადღება.** დიადი გარდატეხის წელი ნამდვილად გარდატეხის წელი იყო, მაგრამ დღევანდელ მუცლითმეზღაპრე ისტორიკოსებს მთავარ თემად 1930-იანი წლების შიმშილი და ე.წ. წითელი ტერორის გაშუქება უქცევიათ მთავარ მიზნად. XX საუკუნის 30-იანი წლების ისტორიის ფოლიანტები კი სრულიად სხვა საიდუმლოებებს და საინტერესო მასალებს ინახავს. 1931 წლის ბოლოს ხელფ-ფეხგახსნილმა სტალინმა, რომელიც არავითარ სამთავრობო ბერკეტებს არ ფლობდა, წერილით მიმართა ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციას,“ გამოექვეყნებიათ სტატია სათაურით „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“. სტალინი თავის წერილში თამამად და გაბედულად აცხადებდა, რომ ამიერიდან „თვითონ გააკონტროლებდა არამხოლოდ ქვეყნის აწმყოს, არამედ მის წარსულსაც“. იმ წარსულს რომელიც, როგორც მანამდე ხელისუფლება თვლიდა, ძირფესვიანად უნდა განადგურებულიყო და, რაც შეიძლება, მალე დავიწყებულიყო.

**სტალინი იმიტომ იყო გაღიზიანებული, რომ სკოლებში არ ასწავლიდნენ ისტორიას, უმაღლეს სასწავლებლებში კი არ არსებობდა ისტორიის ფაკულტეტები და კათედრები.**

ხანგრძლივი მზადებისა და კონსულტაციების შემდეგ, 1934 წლის 5 მარტს, სტალინის ინიციატივით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბ) პოლიტიკურმა ბიურომ განიხილა საკითხი „სკოლებში სამოქალაქო ისტორიის დაწყების“ შესახებ, რომელიც იმხანად საეტაპო დადგენილებად ითვლებოდა. სტალინის უახლოეს ადამიანსა და თანამოაზრეს, იმხანად სახალხო განათლების კომისარ **ანდრეი ბუბნოვს** დაევალა კონკრეტული წინადადებების შემუშავება და მისი წარდგენა პოლიტბიუროზე. 9 დღეში, 14 მარტს, ბუბნოვმა სტალინს პირადად წარუდგინა წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა, 1934-1935 სასწავლო წლიდან შემოღებულიყო ზოგადი ისტორიის სწავლება რუსეთისა და სსრკ-ის მთელ ტერიტორიაზე. ისტორიის სწავლებას დაეთმო გარკვეული რაოდენობის აკადემიური საათები (180 სთ) სოციალური მეცნიერებისა და შრომის გაკვეთილების შემცირების ხარჯზე. ბუბნოვის წინადადება ისტორიის სახელმღვანელოს შედგენის თაობაზე ითვალისწინებდა **ალექსეი ტოლსტოისა** და **კონსტანტინე პაუსტოვსკის** ჩართულობას. აღნიშნული წინადადება პოლიტბიურომ 4-ჯერ განიხილა, შემდეგ სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა ერთობლივი დადგენილებით საბოლოოდ დაამტკიცეს პროექტი სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ საბჭოთა ტერიტორიაზე არსებულ ყველა საშუალო სკოლისთვის.

დადგენილება, რომელიც გამოქვეყნდა 16 მაისს გაზეთ „პრავდაში“:

**1.** 1935 წლის ივნისისათვის გამოიცეს ისტორიის სახელმძღვანელოები ანტიკური ხანიდან მოყოლებული, უახლესი ისტორიის ჩათვლით;

**2.** დამტკიცდეს ისტორიკოსთა შემადგენლობა, რომლებსაც დაევალებათ ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობა;

**3.** 1934 წლის 1 სექტემბრიდან აღდგეს ისტორიის ფაკულტეტები მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში.

1934 წლის 7 ივლისს სტალინმა „სსრ კავშირის ისტორიის“ მომავალი სახელმძღვანელოს ბუბნოვისეული კონსპექტი მიიღო. მან კონსპექტი ყურადღებით წაიკითხა (რა თქმა უნდა, ფანქრით ხელში — გრ. ონიანი) და იქვე გააკეთა შენიშვნები:

**1. არ არის ხალხთა ისტორია;**

**2. სახელმძღვანელო უნდა იყოს ცარიზმის, როგორც ხალხთა დამონების, სასიკვდილო განაჩენი;**

**3. საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხები მუდმივ ვალში არიან; ბოლშევიკებთან, რადგან სწორედ მათ მიერ წარმოებულმა რევოლუციამ მოუღო ბოლო იმ ჩაგრული ხალხების მრავალსაუკუნოვან მონობას, რომლებიც ოდესღაც რუსეთის იმპერიაში — „ხალხების ციხეში“** შედიოდნენ;



ჟდანოვი და სტალინი

**დიადი ქვეყნის მესაძირკვლემ, შინაური თუ გარეშე მტრების განადგურების შემდეგ, მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის აღმშენებლობას — თუ არა სტალინს, სხვას ვის შეეძლო გაპარტახებული, გალოთებული, მცონარე რუსეთის ახალი სახელმწიფოს სამშენებლო ხარაჩოებში მოქცევა და მან, უპირველესად, ქვეყანაში ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეს მიაპყრო ყურადღება**

**4. ჩვენ გვჭირდება სახელმძღვანელო სსრკ-ის ისტორიის შესახებ, რომელშიც დიდი რუსეთის ისტორია არ არის გამოყოფილი სსრკ-ის სხვა ხალხების ისტორიისგან. სსრკ ხალხთა ისტორია არ უნდა იქნას ცალკე წარმოჩენილი ევროპისა და, საზოგადოდ, მსოფლიო ისტორიისგან;**

**5. მადლობა ბოლშევიკებს, რომ ამ ხალხებმა რუს ხალხთან მიიღეს არა მხოლოდ თანაბარი უფლებები, არამედ სახელმწიფოებრიობა და ავტონომია“.**

მაგრამ სახელმძღვანელოს ავტორებმა თანმიმდევრულად ვერ დაასაბუთეს და ვერ მიიტანეს სკოლის მოსწავლეებამდე აზრი. ისინი, უბრალოდ, ვერ ჩასწვდნენ სტალინის აზრს. ამიტომ სტალინმა 1937 წლის 29 მარტს დაწყებითი სკოლებისთვის სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოს კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილების პროექტის ერთი პუნქტი ჩაასწორა და შეეცადა, აზრი მაქსიმალურად გამჭვირვალედ გამოეხატა:

**„ავტორები ვერ ხედავენ პოზიტიურ როლს ხმელნიცკის ქმედებებში პოლონეთისა და თურქეთის სულთნის წინააღმდეგ, მის ბრძოლაში უკრაინის ოკუპაციისას. ვთქვათ, საქართველოს შესვლის ფაქტს რუსეთის პატრონაჟის ქვეშ XVIII საუკუნის ბოლოს. უკრაინის რუსეთის მმართველობაში შესვლის ფაქტს ავტორების განიხილავენ, როგორც აბსოლუტურ ბოროტებას, მიუხედავად იმდროინდელი ისტორიული პირობებისა. ავტორები ვერ ხედავენ, რომ საქართველო შაჰის სპარსეთის ან თურქეთის სულთნის მიერ შთაინთქმებოდა; რომ მას არ ჰქონდა სხვა ალტერნატივა. რუსეთის პატრონაჟის ქვეშ გადასვლა იყო ერთადერთი ალტერნატივა, ისევე, როგორც უკრაინას არ ჰქონდა ალტერნატივა — მას ან პოლონეთი, ან თურქეთი შთანთქავდა, ან რუსეთის მფარველობის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. ისინი ვერ ხედავენ, რომ მეორე პერსპექტივა მცირე ბოროტება იყო“.** ეს ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“ 1937 წლის 22 აგვისტოს.

**სტალინს კარგად ესმოდა რა, რომ პატრიოტული სულისკვეთება მთავარი იყო ქვეყნისთვის, 1930-იანი წლებში საბჭოთა იდეოლოგია და პატრიოტიზმი გამოაცხადა მთავარ ღირებულებებად. ამისთვის მან დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია.** 1936 წლის 26 იანვარს სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ და კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (ბ) მიიღეს რეზოლუცია „ისტორიის სახელმძღვანელოების შესახებ”, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ახალი კომისია ცენტრალური კომიტეტის მდივნის, **ჟდანოვის,** თავმჯდომარეობით. მას დაევალა, გადახედოს, გააუმჯობესოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს უკვე დაწერილი სახელმძღვანელოები. მასვე მიენიჭა უფლება, შექმნას ჯგუფი მანამდე არსებული სახელმძღვანელოების შესასწავლად, ამასთანავე, გამოაცხადოს კონკურსი ახალი სახელმძღვანელოების შესაქმნელად. კონკურსი ოფიციალურად გამოცხადდა 1936 წლის 4 მარტს (პრესაში პოლიტბიუროს შესაბამისი რეზოლუციის გამოქვეყნების შემდეგ). **ყველას, ვისაც სურდა თავისი პროექტის გაგზავნა, 1936 წლის 1 ივლისამდე შეეძლო კონკურსში მონაწილეობა. იყო დიდი ფულადი პრიზები გამარჯვებულებისთვის და პრიზიორებისთვის: 1 პრიზი — 100 ათასი მანეთი, მე-2 პრიზი — 75 ათასი, მე-3 პრიზი — 30 ათასი, მე-4 პრიზი — 50 ათასი, მე-5 — 25 ათასი მანეთი (იხილეთ ფოტო 3).**

ჟდანოვის კომისიამ მიიღო 46 პროექტი სხვადასხვა ავტორისა თუ ავტორთა ჯგუფისაგან. 1936 წლის სექტემბერში ჟდანოვმა გაუგზავნა დეპეშა კომისიის წევრებს, თხოვნით, უმოკლეს ვადაში გადაეხედათ და შეეფასებინათ წარმოდგენილი სახელმძღვანელოების მაკეტები. 1936 წლის ოქტომბერში გაიმართა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ისტორიის მასწავლებლებთან შეხვედრა და ისტორიის სახელმძღვანელოთა მაკეტების განხილვა. კონკურსის შედეგები შეჯამდა პოლიტბიუროს სხდომაზე 1937 წლის 27 აგვისტოს. პირველი პრიზი არავის არ ხვდა წილად, რადგან პარტიის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ არც ერთი სახელმძღვანელო არ იყო შედგენილი მარქსიზმის სულისკვეთებით. მეორე პრიზი გადაეცა შესტაკოვის ხელმძღვანელობით მომზადებულ სახელმძღვანელოს. შემდგომში ეს სახელმძღვანელო გამოიყენებოდა საბჭოთა სკოლის დაწყებით კლასებში 1950 -იანი წლების დასაწყისამდე.

**ნიკოლოზ ბუხარინის** რეცენზია ისტორიის სახელმძღვანელოზე:

„საზოგადოდ, ძალიან ღირსეული სახელმძღვანელოა, კარგად და ნათლად დაწერილი, მოკლე, ადაპტირებული ბავშვის აღსაქმელად. საჭიროებს რიგ შესწორებებს. სახელმძღვანელო მისაღებია. ფაქტები-ილუსტრაციები საგულდაგულოდ არის შერჩეული. ფრაზა არის მოკლე და მარტივი. აზრი, უმეტესწილად, ზუსტი და გასაგებია დაბალი კლასის მოსწავლეებისთვის. ვერ დავეთანხმები ამხ. ბახტაძის აზრს, რომ სახელმძღვანელოში არსებული მასალა „ძალიან სქემატურად არის წარმოდგენილი“ და რომ ეს არის წიგნი „მოზრდილთათვის“, პირიქით, მისი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ წიგნი ბავშვებისთვისაა, მაგრამ სახელმძღვანელოში არის ნაკლოვანებები:

**1. საკმაოდ მცირე მასალაა წარმოდგენილი სსრ კავშირში შემავალ ხალხებზე. ამ მასალას ესაჭიროება გაფართოება;**

**2. ჩემი ვარაუდით, სსრკ ხალხებისადმი მიძღვნილ გვერდთა რაოდენობა უნდა გავზრდოთ და აუცილებელია მისი გარკვეუ-** ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის ისტორიის შესაქმნელად არც ლენინსა და ტროცკის შეუწუხებიათ თავი, რადგან რუს ხალხს, მისი წარსულით, მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის კოცონზე დასაწვავად ამზადებდნენ და „თეთრი ზანგების“ ქვეყნად განიხილავდნენ.


СОВЕТА НАРОДНЫХ КОМИССАРОВ СОЮЗА ССР [и ЦЕН]ТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ВКП/б/

ОБ ОРГАНИЗАЦИИ КОНКУРСА НА ЛУЧШИЙ УЧЕБНИК ДЛЯ НАЧАЛЬНОЙ ШКОЛЫ ПО ЭЛЕМЕНТАРНОМУ КУРСУ ИСТОРИИ СССР С КРАТКИМИ СВЕДЕНИЯМИ ПО ВСЕОБЩЕЙ ИСТОРИИ

Придавая исключительное значение преподаванию в школе исторической науки и созданию доброкачественных учебников по истории, Совет Народных Комиссаров Союза ССР и Центральный Комитет ВКП/б/ постановляют:

I. Объявить конкурс на ~~создание~~ составление лучшего учебника для начальной школы по элементарному курсу истории СССР с краткими сведениями по всеобщей истории.

2. Для премирования лучших учебников, представленных на конкурс, установить 4 премии:

| | | |
|---|---|---|
| первая премия | - | 100.000 руб. |
| вторая премия | - | 75.000 руб. |
| третья премия | - | 50.000 руб. |
| четвертая премия | - | 25.000 руб. |

3. В конкурсе могут принимать участие все желающие, без всяких ограничений, как отдельные лица, так и коллективы /группы авторов, институты и т.д./

4. Срок представления учебников на конкурс - I июня 1936 г.

5. Учебники могут представляться на конкурс за подписью автора или под псевдонимом на девизом.

6. Учебники должны быть рассчитаны на учащихся 3-го и 4-го классов начальной, неполной средней и средней школы /10-12 лет/

# ივანე ჯავახიშვილმა საფლავში ჩაიტანა მწარედ ნატკენი და ორად გახლეჩილი გული. პროფესორის მაღალი კათედრიდან მას ბევრი უნახავს უსინდისო და სირცხვილნაჭამი თავისი გამოზრდილი. ან კი რა გულმა, რა ნერვებმა, რა სისხლმა და მოთმინებამ გაუძლო იმ ჯვარცმას, რომელიც მისმა მოწაფეებმა გოლგოთის გრძელ გზაზე მიმავალს აკადრეს

**ლწილად გაშუქება კიდევ სხვა კუთხით;**

**3. ავტოკრატიის აპარატი მთლიანად არ არის გაშუქებული. არ არსებობს მაგალითები სასულიერო პირებზე, მონასტრებზე და, საზოგადოდ, ეკლესიებზე; ბოლოს და ბოლოს, ეს იყო უზარმაზარი ძალა. ასევე ბიუროკრატია, სასამართლო, პოლიცია, ჟანდარმერია, და ა. შ. — ეს ყველაფერი არ არის. მეჩვენება, რომ ეს არის დიდი ხარვეზი, სხვათა შორის, თითქმის ყველა კლასის სახელმძღვანელოსთვის. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მემამულე მეფის მთელი ავტოკრატია იქცევა აბსტრაქტულ ჩრდილში მათთვის, ვისაც არა აქვს კონკრეტული წარმოდგენა იმპერიული ურჩხულის „ფუნქციონერებზე“. ეს არის ძირითადი ნაკლოვანებები.“**

მკითხველს უნდა განვუმარტო, რა პროცესები მიდიოდა საქართველოში — ამ ისტორიულ და უძველეს ქვეყანაში, როგორც ისტორიის, ასევე ისტორიკოსების მიმართ როდესაც საკავშირო მთავრობაში, 1930-იან წლებში, ხმალი ხმალს სცემდა ქვეყნის ისტორიული სამართლიანობის დასადგენად და ინტელიგენცია ჩართული იყო ახლადმოცენებული ქვეყნის ისტორიის შექმნის საქმეში. იმხანად **საქართველოში უახლესი ისტორიის დაწერაზე თავს არავინ იწუხებდა. ამას მოწმობს სტალინის სიტყვები დიდი ივანე ჯავახიშვილის მისამართით წარმოთქმული: „ნეტავ ვინ ჰყავთ უფრო დიდი მეცნიერი ქართველებს, ასე უბრალოდ რომ იმეტებენ? საქართველოში იმიტომ არ იზრდება ინტელიგენცია, რომ ყველა ყველას წინააღმდეგია“.**

მაშინ, როდესაც სტალინი სრულიად ახალ მიმდინარეობას უყრიდა საფუძველს და უკან იტოვებდა ანტიკური თუ შემდგომი ცივილიზაციების ისტორიულ მოძღვრებებს, საქართველოში კაცი არ იყო, მას მხარში ამოსდგომოდა. თავი არავის შეუწუხებია, ახალი ისტორიული კვლევა გამოექვეყნებინა. რაზე მიანიშნებს ეს? იმაზე, რასაც სტალინი ივანე ჯავახიშვილზე ბრძანებდა.

ცოტა რამ საქართველოს ისტორიის შესახებ

**საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც თავგამოდებით იცავენ თვალსაზრისს, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც პირველი შეიქმნა მოძმე რესპუბლიკებს შორის 1930-იანი წლების ბოლოს, საქართველოს ინტერესებისთვის კი არ იყო დაწერილი, არამედ სტალინს სურდა, ტროცკისთვის დაემტკიცებინა, რომ მის ქვეყანას ასეთი შორეული და მდიდარი ისტორია ჰქონდა.**

*1934 წელს, როდესაც მოსკოვში გამართულ საკავშირო მწერალთა ყრილობაზე **მალაქია ტოროშელიძეს** ქართული მწერლობის შესახებ მოხსენება წააკითხა, რომელიც, ძირითადად, სტალინის თვალსაზრისსა და დებულებებზე იყო აგებული, სტალინის ქართველმა მტრებმა ესეც სტალინის პირად ამბიციებს მიაწერეს, რადგან მას თურმე სჭირდებოდა მტკიცება, როგორი კულტურის მქონე ერის შვილი იყო ეს „უპატრონო ჭორფლიანი“ კაცი.

***1937 წელს იუნესკოს შოთა რუსთაველის იუბილე რომ აღანიშნინა და მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის თავზე მსოფლიოს გენიოსთა სკულპტურულ გამოსახულებებს თავში შოთა რუსთაველის ბიუსტი დაუყენა, ესეც თურმე თავის გამოსაჩენად გაუკეთებია სტალინს.**

*ფაშიზმი რომ დაამარცხა და ჰიტლერს მისივე ბუნაგში მოუღო ბოლო, ესეც, ეტყობა, თავის გამოსაჩენად გააკეთა, თორემ რას ერჩოდა „მერსედესისა“ და საუკეთესო ლუდის შემქმნელებს, ამდენი ხალხი რომ ჩახოცა?!

ივანე ჯავახიშვილი მოხიბლული იყო **ნიკოლოზ ოსტროვსკის** რომანით „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. მას ყველაზე მეტად ის ადგილი მოსწონდა, სადაც წერია: **„ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა. სიცოცხლე მას ეძლევა მხოლოდ ერთხელ და საჭიროა, ისე იცხოვრო, რომ მწარედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისთვის, რომ არ გწვავდეს სირცხვილი უსინდისო და წვრილმანი წარსულისათვის, რომ სიკვდილის დროს შეგეძლოს თქვა: მთელი ცხოვრება და ძალ-ღონე შევალიე ქვეყანაზე ულამაზესს — კაცობრიობის გათავისუფლებისათვის ბრძოლას“.** ამ სიტყვებიდან ივანე ჯავახიშვილისთვის ყველაზე მეტად მემეტება: „საჭიროა, ისე იცხოვრო, რომ მწარედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ არ გწვავდეს სირცხვილი უსინდისო და წვრილმანი წარსულისათვის“. **ივანე ჯავახიშვილმა საფლავში ჩაიტანა მწარედ ნატკენი და ორად გახლეჩილი გული. პროფესორის მაღალი კათედრიდან ბევრი უნახავს უსინდისო და სირცხვილნაჭამი თავისი გამოზრდილი. ან კი რა გულმა, რა ნერვებმა, რა სისხლმა და მოთმინებამ გაუძლო იმ ჯვარცმას, რომელიც მისმა მოწაფეებმა გოლგოთის გრძელ გზაზე მიმავალს აკადრეს...** ოსტროვსკიც, ალბათ, განსაკუთრებით იმიტომ უყვარდა ჯავახიშვილს, რომ მის რომანში დაინახა, როგორ იწრთობოდა ფოლადი. დიახ, ივანე ჯავახიშვილი ის მადანი იყო, რომლისგანაც ჩამოისხა ფოლადი და ქართველმა ხალხმა „სამუდამო საბრძოლო იარაღად“ (სტალინი), ხმლად აქცია, რომელსაც, საუბედუროდ, დღეს ვეღარ იქნევს მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ამის დროც დადგება. გაგაცნობთ **ზოგიერთ ამონარიდს „სამსჯავროს სხდომიდან“, რომელიც უნივერსიტეტში გაიმართა 1930 წლის 13 დეკემბერს და ოთხ დღეს გრძელდებოდა.**

**„ივანე ვაშაყმაძე,** რექტორი: „მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა ნაციონალიზმი, ყველაფერი, რაც არ უწყობს ხელს ნაციონალიზმს, ნაციონალური სულის განმტკიცებას, დევნილია. ივანე ჯავახიშვილი მეთოდურად მხოხავი ემპირისტია და ანტიმარქსისტი. ისტორიულ აზროვნებაში ჩამორჩენილობისთვის მას უმთავრესი ბრალი მიუძღვის. მისი ისტორია არ არის ისტორია, როგორც მეცნიერება, მასში არათუ წინსვლა, უკანდახევაა“.

**პეტრე შარია:** „თუ ჯავახიშვილი თავის პოზიციებს არ გადასინჯავს, არ დააკვირდება კარგად, ვერ იხსნის ვერაფერი, რაც უნდა კარგი დამსახურება ჰქონდეს“.







**ცხაკაია:** „ივანე ჯავახიშვილი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთს ჰგონია, და არც ისეთი მეცნიერია“.

**ყალიჩავა:** „რას წარმოადგენენ **წერეთელი** და **ჯავახიშვილი,** მე ვიცი ერთი ფაქტი: როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი **გრ. წერეთელი** და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვდაო. ეს არის კონტრრევოლუციური. ის მეთაურობს მას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არიან აშკარა მავნებლები“ (ტექსტი უცვლელია — გრ. ონიანი).

**მელიქიძე:** „მინდა, თქვენი ყურადღება მივაქციო პროფესორ **გ. ჩუბინიშვილს.** არც ისეთი პატარა პროფესორი არის, რომ მის შესახებ არაფერი ითქვას. აქ იყო ნათქვამი პროფესორ ჯავახიშვილის შესახებ, მისი მეთოდოლოგიისა და ემპირიზმის შესახებ, ჯავახიშვილის რეაქციონერობის შესახებ. პროფესორი (ივანე ჯავახიშვილი) ხელმძღვანელობს და დიდი მეგობარია ჩუბინიშვილის და სწორედ ამ ჩუბინიშვილს შორს ვერ დავაყენებთ. ეს უნდა იდგეს ჯავახიშვილის გვერდით. ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს მისი შრომის რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან. თქვენ, ამხანაგებო, შეგიძლიათ განსაჯოთ თვითონვე. აქ ლაპარაკია ძველ ჯვარზე, ახალ ჯვარზე, მცირე ჯვარზე“ (ტექსტი უცვლელია — გრ. ონიანი).

**სიმონ ჯანაშია:** „მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ არავითარი საერთო არ მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს“უ.

**ნიკო ბერძენიშვილი:** „რაც შეეხება ჩემ დამოკიდებულებას პროფესორ ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის: მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ეს სრულიად არ მიშლის ხელს, არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეფცია“.

**დისკუსია ოთხ დღეს გაგრძელდა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან მოეჰკვეთეს, მაგრამ დიდი ივანე თავისი პოზიციების ასე იოლად დათმობას არ აპირებდა. საქმეს ძველებური სიდინჯითა და სიბრძნით უძლვებოდა. ივანე ჯავახიშვილზე 1935 წლის 23 მარტს დაიწყო მეორე შეტევა, რომელსაც უნივერსიტეტის ახალდანიშნული რექტორი კარლო ორაგველიძე უძღვებოდა, და იგი მარტი-აპრილის განმავლობაში გრძელდებოდა.**

მკითხველმა უნდა მომიტევოს მოვლენების ფრაგმენტული გადმოცემა, რადგან თემა ძალზე რთულია, მოცულობა — დიდი. ჩემი მიზანია, მკითხველს ინტერესი გავუჩინო ამ თემისადმი, რის შემდეგაც, რასაც შეგნებულად თუ შეუგნებლად აკეთებდნენ უახლესი ისტორიის სპეციალისტები, ვამხილო ყველაფერი, რაც კი ამ შექსპირისეულ ტრაგედიაშია გახვეული. აქ არ არის მხოლოდ მავრის ეჭვიანობა და დეზდემონას დახრჩობა, აქ ძალლის თავი სხვაგან არის დამარხული და უნდა ამოითხაროს.

1935 წელს ჯავახიშვილზე განხორციელებულ „ტერორისტულ აქტს“ ჰყავს მთავარი შემსრულებელი — **კარლო ორაგველიძე,** მაგრამ, სანამ მასზე გადავიდოდეთ, შემოგთავაზებთ მოკლე შინაარსს ერთი საარქივო მასალისა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის არქივშია (ფონდი 14, აღწერა 9, საქმე 9 ფურცელზე) აღწერილი. ლაპარაკია საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივან **ლავრენტი ბერიასადმი** უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის მდივნის, **ს. გეგენავას,** მოხსენებით ბარათზე. წერილის სიდიდის გამო მოგაწვდით რამდენიმე ამონარიდს ამ ბარათიდან:

***„პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა უნივერსიტეტში შედგება ხალხისგან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენია. მაგალითად, პროფესორ-მასწავლებელთა შორის 35 კაცი მენშევიკია, ნაციონალ-დემოკრატი — 34, ფედერალისტი — 18, კადეტი — 3, ესერი — 3, ტროცკისტი — 11, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი — 7 და ყოფილი მთავრობის მინისტრი — 2, პროფესორები, რომლებიც პარტიაში არ გაერთიანდნენ, შეადგენენ 61,1 %-ს, სხვა პარტიის ყოფილი წევრების 56% დოცენტია, ლექტორთა შემადგენლობაში კი — 42 %. უნივერსიტეტის რექტორმა ლ. აღნიაშვილმა დაკარგა ყოველგვარი პარტიული სიფხიზლე, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პროფესორმა ი. ჯავახიშვილმა სტალინის სახელზე დაწერა მწვავე საჩივარი, რომელშიც აკრიტიკებდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და განათლების განყოფილებას, რომელიც ამუხრუჭებს განათლების სისტემას რესპუბლიკაში. მას ეს წერილი ჯავახიშვილმა გადასცა სტალინთან გასაგზავნად, მაგრამ აღნიაშვილმა ის ათი დღის განმავლობაში არავის გაანდო, ათი დღის შემდეგ კი მე გამენდო და მითხრა, რომ წერილი დამეხია და არ გაგვეგზავნა სტალინთან, რაც მე ვაცნობე როგორც ცეკას, ასევე, ჩეკას“.**

წერილი დაწერილია 1935 წლის 15 თებერვალს და ხელს აწერს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ს. გეგენავა.

*უნივერსიტეტის რექტორი ა. აღნიაშვილი ცენტრალური კომიტეტის მდივან ლავრენტი ბერიას შემდეგ ახსნა-განმარტებას აძლევს (ტექსტი შემოკლებითაა მოყვანილი):

„პარტიული სიფხიზლე არ დაგვიკარგავს, თუ 1924 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ 3 კაცი იყო კომუნისტი და კომკავშირელი, 1928 წელს კომუნისტთა და კომკავშირელთა რაოდენობა მხოლოდ 14 კაცამდე გაიზარდა, 1930 წელს კი 45 კაცს მიაღწია“.

**რექტორი ა. აღნიაშვილი არაფერს წერს სტალინთან გასაგზავნ წერილზე, გარდა იმისა, რომ გეგენავა ანონიმურად უჩიოდა სტალინს ანდრიაძის დეკანად დანიშვნის გამო. რექტორ აღნიაშვილის წერილი ბერიასადმი კაცობის, მორალისა და თავმოყვარეობის გარეშეა დაწერილი, რასაც თავისი შედეგებიც მოჰყვა და იგი დათხოვნილი იქნა უნივერსიტეტის რექტორობიდან. ყოველგვარ საზღვარს სცილდება არცთუ უნიჭო ახალგაზრდა მეცნიერის, კარლო ორაგველიძის, მოხსენება, რომელიც ივანე ჯავახიშვილის თავდასხმისა და განადგურების მიზნით მოამზადა.**

პოლიტ-პროსპექტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკელები ტრაბახობდნენ, რომ ყოველთვის მხარს უჭერენ დემოკრატიას, რომ სწორედ ის ქვეყნები, რომლებშიც დემოკრატია მათ სტილშია გაგებული და მათი ხელმძღვანელობით არის დამკვიდრებული, აღწევენ წარმატებას. მაგალითად ასახელებდნენ ავღანეთს და მის მსგავს სხვა ქვეყნებს. ავღანეთში კი იყო ხელისუფლება, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ხალხთან, არც ქვეყანასთან, არც მათ ინტერესებთან“.**

# «ამერიკული» ავღანეთის დაცემა

**ჩვენი გაზეთის რედაქციის აგვისტოს ბლიცშვებულების პერიოდში თვითმარქვია „პუბლიცისტებმა“ (ამოჩემებული აქვთ და ვინ რას დაუშლის) გაილაღეს და ავღანეთზე ლაპარაკით დაიღალნენ: ამერიკელების ქურდულად გაპარვაზე თალიბების ახალი ხელისუფლების დაწესებულ ვადაში (31 აგვისტოს ჩათვლით), იქაური პრეზიდენტის გაქცევაზე ქაბულის დაცემის პირველივე დღეს (საკუთარი თავისთვის რომ არ მეშველა, მომკლავდნენო), ავღანეთის 300-ათასიანი არმიის აორთქლებაზე და ამ „დამრტყმელი ძალის“ შექმნაზე შტატებს თითქოს ასობით მილიარდი დოლარი კი არა, ერთი ცენტიც არ დაუხარჯავს.**
**ზოგიერთი ექსპერტი ტრილიონსაც ასახელებს.**

## მოსახდენი მოხდა, რადგან უნდა მომხდარიყო



**«რუსეთსა და ჩრდილოეთს საფრთხე არ ემუქრებათ, არც ტაჯიკეთს, არც უზბეკეთს, არც ყირგიზეთს. ავღანეთი რამდენიმე წლის განმავლობაში დაკავებული იქნება თავისი გარდაქმნით, ხელისუფლების გაძლიერებითა და განვითარებით, «თალიბანის» იდეოლოგიის განმტკიცებით სრულად ავღანეთის მოსახლეობაში»**

ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ მაინცდამაინც გასაგები ვერაფერი გვითხრეს.

მაინც რა მოხდა ავღანეთში ისეთი კატასტროფული, რომ ამერიკელების შეიარაღებული კონტინგენტის გასვლა ამ ცხელი წერტილიდან უკანმოუხედავად გაქცევას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამხედრო ოპერაციის დაგეგმილ დამთავრებას?

ამ აქტუალურ შეკითხვაზე პასუხის მიღება უცხოურ მედიაში გამოქვეყნებული ინტერვიუებისა და წერილების მიმოხილვით ვცადოთ.

ისტორიის რომელ ეტაპზე გადავიდა ავღანეთი „ამერიკული“ დემოკრატიის კრახის შემდეგ?

**იაკობ კედმი** აღნიშნავს:

— ავღანეთი, როგორც თალიბებმა განაცხადეს, საამიროდ ჩამოყალიბდება. მუსლიმების ფუნდამენტურ-ტერორისტული იდეოლოგია დაეუფლება სახელმწიფოს საამიროს ფორმითა და არსით.

**(სახალიფო — არაბულ-მუსლიმური სახელმწიფო, რომელიც შექმნა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა და შემდგომში მართავდნენ ხალიფები („მოადგილეები, მემკვიდრეები“), თეოკრატული ისლამური სახელმწიფოა).**

— დაგავიწყდათ კავკასიის საამირო? — ეკითხება კედმი ჟურნალისტებს ისეთი ტონით, რომ ახლო წარსულში ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ამ სახის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, ისეთ გაკვეთილად უნდა გვახსოვდეს, რომლის დავიწყება არ ეგების.

და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის სირთულე, ძირითადად, სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირებით არის განპირობებული. აქ ერთმანეთსაა გადახლართული რელიგიური, ისტორიული და გეოპოლიტიკური წინააღმდეგობანი.

**ცნობისთვის: ავღანეთში დომინანტი ეთნოსი პუშტუნებია, რომლებიც ირანულ ხალხად არის მიჩნეული. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 42 მილიონია, 30 პროცენტი სახლობს ავღანეთში და პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში.**

**სუნიტები** — „სუნას და თემის თანხმობის ადამიანები“. ისინი არ აღიარებენ ადამიანების უცოდველობას და მიაჩნიათ, რომ ყველა ადამიანი (წინასწარმეტყველების გარდა) ცოდვილია.

შიიტებს კი სჯერათ, რომ უცოდველები არიან იმამები. ყველა საქმეში, აქტში, პრინციპსა თუ რწმენაში, 12 შიიტი იმამი ყველა ისლამურ წინასწარმეტყველზე მაღლა დგას, გარდა წინასწარმეტყველ მუჰამედისა.

**შიიტები** — მიმდევრები, მომხრეები — ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან, აერთიანებენ თემებს, რომლებიც მუჰამედის ბიძაშვილსა და სიძეს — **ალი იბნ თალიბსა** და მის შთამომავლებს აღიარებენ მუჰამედის ერთადერთ, კანონიერ სულიერ მემკვიდრეებად.

ავღანელი შიიტები ქვეყნის მოსახლეობის 15-19 პროცენტს შეადგენენ... აზერბაიჯანში კი, მაგალითად, 85 პროცენტია.

**ყურანის შაჰადას** სუნიტები კითხულობენ ასე: „ვადასტურებ, რომ არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა და კიდევ ვადასტურებ, რომ მუჰამედი ალაჰის წინასწარმეტყველია“.

შიიტები კი ბოლოს ამატებენ სიტყვებს „...და ალი ალაჰის მეგობარია“.

მართლმორწმუნე ხალიფი **ალი იბნ თალიბი** ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელია ახალგაზრდა ისლამური სახელმწიფოსი. ალის მკვლელობას და მისი ვაჟის, ჰუსეინის, ტრაგიკულ სიკვდილს თეოკრატები მიიჩნევენ სამოქალაქო ომის პროლოგად, რომელმაც მუსლიმური თემი ორად გახლიჩა — სუნიტებად და შიიტებად.

**შიიზმის** ბურჯად დღეს ირანია აღიარებული. სუნიტებად კი, ძირითადად, მიიჩნევენ მრავალრიცხოვანი რადიკალური მიმართულებების წარმომადგენლებს, რომლებიც ომობდნენ სირიასა და ერაყში, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს“ მოთარეშეებსაც. საერთოდ კი, 20 არაბული ქვეყანა (ბაჰრეინისა და ერაყის გამოკლებით) უმეტესად სუნიტურია.

**წინააღმდეგობათა ასეთი გორგალის გაანალიზების მაგალითად წარმოგვიდგება იაკობ კედმის სატელევიზიო ინტერვიუები.**

— ცნობილია, რომ ირანი ფუნდამენტალისტური ისლამური სახელმწიფოა, მაგრამ, ამასთანავე, ისლამური რესპუბლიკაა. ავღანეთში რესპუბლიკაზე არ ლაპარაკობენ. ავღანეთს წარმოგვიდგენენ თეოკრატულ სახელმწიფოდ — არავითარი მინიშნება არჩევით ან რესპუბლიკურ პრინციპებზე.

ის, რაც „ისლამურ სახელმწიფოს“ დაემართა, იგივე გადახდება თავს ავღანეთს. ისე მოხდება, როგორც თალიბანის პირველ პერიოდში იყო. თუ რამ დარჩება ავღანეთში — მთელი მწარმოებელი ძალა, სახელმწიფო ძალა, სრულად დატოვებს ავღანეთს ადრე თუ გვიან. ვინც ცოცხალი გადარჩება, ყველა წავა. რამდენიმე წლის შემდეგ ქვეყანაში არ დარჩება ავღანეთის ისედაც სუსტი პოლიტიკური სახელმწიფო, ეკონომიკური, საინჟინრო, მათ შორის, საგანმანათლებლო ელიტის თითქმის არც ერთი წარმომადგენელი.



მაშინ ავღანეთი, ისევე, როგორც „ისლამური სახელმწიფო“, იძულებული იქნება, დაიქირავოს მუშაკები სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ ეს არ გადაწყვეტს ავღანეთის არც ერთ შიდა პრობლემას, ძალაუფლების პრობლემის გარდა: ხელისუფლება გახდება უფრო ძლიერი, უფრო მტკიცე. „თალიბანი“ საკუთარი შესაძლებლობებით ვერ შეძლებს დანარჩენი პრობლემების მოგვარებას თავისი სტრუქტურის, თავისი ღირებულებების გამო.

ავღანეთი გადაიქცევა წვრილმან, პრიმიტიულ, კლერიკალურ სახელმწიფოდ, რომელიც გაჭირვებით იარსებებს. ამ ქვეყანას გარედან მხარს არავინ დაუჭერს. არის ერთადერთი გამონაკლისი სახელმწიფო, მაგრამ მის მიმართ ძალიან ბევრი შეკითხვა ჩნდება. ეს სახელმწიფო **პაკისტანია.** იგი ერთადერთია, ავღანეთთან ერთად, რომელშიც „თალიბანს“ უძლიერესი პოზიციები აქვს მოპოვებული არმიაში, პოლიტიკაში. ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, გაძლიერდება პაკისტანის გავლენა ძმურ, იდეურ თალიბანურ ავაღანეთზე; მეორე მხრივ კი, შეიძლება პირიქითაც მოხდეს: გაძლიერდეს პაკისტანური „თალიბანი“ გარკვეული პერსპექტივით — პაკისტანური „თალიბანის“ მიერ ავღანეთის დაპყრობით.

ანალიტიკოსები შეგვახსენებენ, რომ **ავღანეთში დღეს არსებული „თალიბანი“ შეიქმნა პაკისტანში სამხედრო პოლიციის მიერ ქაშმირში ინდოეთის მოქმედების საწინააღმდეგოდ. ეს ნიშნავს, რომ არსებობს ბუნებრივი ისტორიული კავშირი პაკისტანსა და ავღანეთის ამჟამინდელ ხელისუფლებებს შორის. ეს კი, უწინარესად, ინდოეთის პრობლემაა.**

ჩინეთის გავლენა პაკისტანზე ერთგვარად შეანელებს პაკისტანის ტერორისტულ აქტივობას ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ ისტორიულ პროცესებს ვერ შეაჩერებს.

**— შეიძლება თუ არა, ავღანეთი და პაკისტანი რომელიმე მომენტში გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფოდ?**

— რადგან საამიროზეა ლაპარაკი, მას არ აქვს ერთიანი ეროვნული საზღვარი, მაგრამ შესაძლებელია და დღეს უკვე იგრძნობა მზარდი თანამშრომლობის ტენდენცია, პაკისტანის გავლენის გაძლიერება „თალიბანზე“ პაკისტანში და — პირიქით. რა მოჰყვება ამას — გაერთიანება თუ უფრო მტკიცე თანამშრომლობა, თქმა დღეს ძნელია, მარჩიელობა კი უაზრობაა. მაგრამ, რომ გაძლიერდება, ბუნებრივი პროცესი ამ ორი მსგავსი სტრუქტურის, უეჭველია.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ პაკისტანში საკმარისად არიან „თალიბანის“ წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, რომლებისთვისაც „თალიბანი“ ან პოლიტიკური, ან შიდა მოწინააღმდეგეა. ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვა პრობლემები პაკისტანში, სახელმწიფოში, რომელიც სულ უფრო შესამჩნევად აღწევს თავს ამერიკის თუ სხვა სახელმწიფოს გავლენას ქვეყნის საშინაო პრობლემების კუთხით.

მაგრამ საფრთხეც არ არის გამორიცხული, რადგან იქვე არსებობს იდეოლოგიურად შეკრული სახელმწიფო, რომელიც ამოზრდილია ისლამური ფუნდამენტალიზმიდან.

იგი არ არის ირანის ის- ▶

**«20 წლის განმავლობაში ბატონობდა შტატები ავღანეთში, მაგრამ ამ ქვეყნის არც ერთი პრობლემა არ გადაუწყვეტია — არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური, არც საგანმანათლებლო. არც ერთი! მეტიც: ამერიკელებმა თავის დროზე გაანადგურეს ერაყი, ხელთ იგდეს ქვეყანა, მოსპეს ყველაფერი კარგი, რაც ერაყში მოქმედებდა. ყველა დადებითი ძალა, რომლებიც კი არსებობდა, მიწასთან გაასწორეს. ასე იყო ყველგან, სადაც კი ამერიკელებმა ფეხი შედგეს»**

პოლიტ-პროსპექტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრობლემა არის ის, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტაჯიკები, უზბეკები და თურქმენები უფრო და უფრო განიმსჭვალებიან ამ იდეოლოგიით. და მაშინ ჩამოყალიბდება „თალიბანის“ ტაჯიკეთი და სხვა ტაჯიკეთი, „თალიბანის“ უზბეკეთი და სხვა უზბეკეთი, იგივე შეიძლება ითქვას თურქმენეთის შესახებაც.



იაკობ კედმი

**«თალიბანის» იდეოლოგიის შეღწევა საამიროების არსებობის პირობებში ამ სამი რესპუბლიკის საზღვრებზე იქნება პოტენციური, სულ უფრო მზარდი საფრთხე ავღანეთის ჩრდილოეთში, ანუ იმ რეგიონისთვის, რომელიც შუა აზია იყო ერთ დროს. ნეონაციონალური ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების წარმატება ეფუძნებოდა სწორედ ამ რესპუბლიკების მოქალაქეთა ერთგულებას. მათ ძალით არავინ ერეკებოდა, ლუკმაპურის საშოვნელად არ მიდიოდნენ «ისლამურ სახელმწიფოში» საბრძოლველად, იდეოლოგიურად იყვნენ განწყობილნი**

◀ლამური რესპუბლიკა. **ირანს არ აქვს სახელმწიფოს გაფართოების პრეტენზია, რადგან სხვა სახელმწიფოებრივი სისტემაა. საამიროს აქვს, რადგან იგი ხალიფის საამიროა.** ვინც იცის, **რას ნიშნავს ისლამი და რა შესაძლებლობებს ფლობს ხალიფი ისლამში, დამეთანხმება, რომ სწორედ ეს არის ძირითადი სტრუქტურა. ხოლო საამიროს არ აქვს საზღვრები, მისი საზღვრები გადის იქ, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ.**

რუსეთსა და ჩრდილოეთს საფრთხე არ ემუქრებათ, არც ტაჯიკეთს, არც უზბეკეთს, არც ყირგიზეთს. ავღანეთი რამდენიმე წლის განმავლობაში დაკავებული იქნება თავისი გარდაქმნით, ხელისუფლების გაძლიერებითა და განვითარებით, „თალიბანის“ იდეოლოგიის განმტკიცებით სრულად ავღანეთის მოსახლეობაში.

**პრობლემა არის ის, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტაჯიკები, უზბეკები და თურქმენები უფრო და უფრო განიმსჭვალებიან ამ იდეოლოგიით და მაშინ ჩამოყალიბდება „თალიბანის“ ტაჯიკეთი და სხვა ტაჯიკეთი, „თალიბანის“ უზბეკეთი და სხვა უზბეკეთი. იგივე შეიძლება ითქვას თურქმენეთის შესახებაც.**

ცენტრალურ აზიაში თავს იჩენს ის პრობლემები, რომლებიც იქ ყოველთვის არსებობდა. გავიხსენოთ, რა მოხდა ყირგიზეთში შარშან. ამ ქვეყნებში „თალიბანი“ გაძლიერდება და თვალსაჩინო როლს შეასრულებს როგორც იდეოლოგიურ, ასევე ტომობრივ და ეროვნულ სივრცეებში.

ტაჯიკები „თალიბანის“ იდეოლოგიის დახმარებით დაიწყებენ და მზარდ გავლენას მოიპოვებენ. მათ საზღვრები ვერ დააბრკოლებს.

ამასთანავე, თუ სუსტი ხელისუფლება ვერ შეძლებს ამ სახელმწიფოების პრობლემების გადაწყვეტას ან რაღაც კრიზისი იფეთქებს — „თალიბანი“გამოვა ასპარეზზე.

„თალიბანის“ იდეოლოგიის შეღწევა საამიროების არსებობის პირობებში ამ სამი რესპუბლიკის საზღვრებზე იქნება პოტენციური, სულ უფრო მზარდი საფრთხე ავღანეთის ჩრდილოეთში, ანუ იმ რეგიონისთვის, რომელიც შუა აზია იყო ერთ დროს. **ნეონაციონალური ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების წარმატება ეფუძნებოდა სწორედ ამ რესპუბლიკების მოქალაქეთა ერთგულებას. მათ ძალით არავინ ერეკებოდა, ლუკმაპურის საშოვნელად არ მიდიოდნენ „ისლამურ სახელმწიფოში“ საბრძოლველად, იდეოლოგიურად იყვნენ განწყობილნი.**

ეს კი ნიშნავს, რომ ამჟამადაც ეყოლება ამ რესპუბლიკებში „თალიბანს“ ასეთი მოხალისეები და მომხრენი. შემდეგ კი ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა და როგორ განვითარდება, ვინ და როგორ შეეწინააღმდეგება.

თუ ადამიანებს საკვებით ვერ უზრუნველყოფ, უნდა აიძულო, ილოცონ. აიძულებენ, ილოცონ! სოციალური პრობლემების ნებისმიერი გამოვლენის ჩასახშობად გააძლიერებენ იდეოლოგიურ ზეგავლენას ყველა იმ მეთოდით, რომლებსაც იყენებენ ამგვარი სახელმწიფოები. შეიძლება ისე არა, როგორც „ისლამური სახელმწიფო“, როცა ადამიანებს საჯაროდ თავებს ჰკვეთდნენ, მაგრამ რეჟიმის სიმკაცრე და დაუნდობლობა, რა თქმა უნდა, გაძლიერდება, რადგან მას არ ძალუძს, გადაწყვიტოს არც ერთი სახელმწიფო პრობლემა.

გარდა ერთისა — რელიგიურის.

**კედმის შეახსენეს ერთი განცხადება, რომლის ავტორი ამტკიცებდა, რომ „თალიბანით“ არავინ უნდა შეშინდეს, რადგან თალიბები ვერასოდეს ისწავლიან თვითმფრინავის პილოტირებას, მაშასადამე, არც რაიმე საშიშროებას უნდა ველოდოთ მათგან.**

**იაკობ კედმი უპასუხებს:**

— მინდა, შევახსენო ამ სპეციალისტებს ორი რამ: **პირველი — თვითმფრინავი, რომელიც ახლახან ჩამოაგდეს უზბეკეთში; მეორე — ვინ აიძულა რუსეთის სატრანსპორტო „ილ-76“, რომელიც ავღანეთის ცაში მიფრინავდა, შეეწყვიტა რეისი და დაშვებულიყო? ეს იყო „თალიბანის“ მომხრე ავღანელი პილოტი, რომელიც საბჭოთა ავიაგამანადგურებელ „მიგ-21“-ს მართავდა. არ უნდა აჰყვე ზეგულუბრყვილობას, მათ ეყოლებათ თავიანთი მფრინავები, ტანკისტები. ექნებათ თუ არა თვითმფრინავები, სხვა საკითხია.**

მაგრამ დღეს თალიბები მიიღებენ იარაღს მონათესავე რეჟიმისგან, თუმცა „თალიბანის“ ძირითადი იარაღი არც თვითმფრინავები იქნება, არც ტანკები. ძირითადი იარაღი, როგორც თავის დროზე „ისლამური სახელმწიფოსი“, იქნება ექსტრემისტულ-ფუნდამენტალური ისლამური იდეოლოგია, რომელიც წარმატების კვალზე იზიდავდა და კვლავაც მიიზიდავს მუსლიმებს მთელი მსოფლიოდან.

ექსპერტები ასკვნიან, რომ, თუ იარსებებს „თალიბანის“ საამირო (არადა, იარსებებს, რადგან დღეს არავინ არის დაინტერესებული მისი განადგურებით), ყველა მოძებნის მასთან თანაარსებობის გზებს, სწორედ მისი რეაქციულ-რევოლუციური ინდოქტრინაციის მეშვეობით, იგი შეაღწევს ყველა რესპუბლიკაში. არა მხოლოდ ცენტრალურ აზიაში, არამედ შეიძლება უფრო შორს — თათრეთშიც, შეიძლება — კავკასიაშიც. თუ სხვა მუსლიმები არ დაჯაბნიან — ომი ხომ მუსლიმთა შორის გაჩაღდება.



თალიბები ავღანეთის პრეზიდენტის სასახლეში

**ისე მიდიოდა ტრაპისკენ ყოფილი პრეზიდენტი ამრულა სალაჰი, როგორც ჩვენი ნაცების ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკანდრო მელია — პიზის კოშკივით წელში გადახრილი, რომელსაც ალექსანდრიის შუქურას მოვალეობაც აჰკიდეს — გაძღოლოდა რევოლუციურ მასებს საქართველოში დამკვიდრებული ოლხოკრატიის აღმოსაფხვრელად**



თალიბები ქაბულში

კვლავ შეგახსენებთ ბოლო პერიოდში ტაჯიკეთში მომხდარ ამბოხს, რომელშიც ტაჯიკი სამხედროებიც მონაწილეობდნენ, გენერლები და ოფიცრები. ისეთები, ვისზეც ხელისუფლება იყო დამოკიდებული.

იმხანად, — ამბობს იაკობ კედმი, — დუშანბეში ტაჯიკეთის ხელისუფლება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა, მაგრამ მე ვლაპარაკობ „თალიბანზე“, რომელიც ამ და სხვა რესპუბლიკებში შეაღწევს ისევე, როგორც თავის დროზე „ისლამურმა სახელმწიფომ“ შეაღწია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში: როცა ერაყში ხელისუფლება დაინგრა, როცა სირიაში ცდილობდნენ სახელმწიფოს განადგურებას...

**დასასრულ, „თალიბანის“ პრობლემა არსებობს და იგი ავღანეთში თავს იჩენს, ხოლო აშშ-ის ავღანეთიდან წასვლა პრობლემაა მათთვის, ვინც ამერიკელების იმედად იყო.**

— 20 წლის განმავლობაში ბატონობდა შტატები ავღანეთში, მაგრამ ამ ქვეყნის არც ერთი პრობლემა არ გადაუწყვეტია — არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური, არც საგანმანათლებლო.

არც ერთი! მეტიც: ამერიკელებმა თავის დროზე გაანადგურეს ერაყი, ხელთ იგდეს ქვეყანა, მოსპეს ყველაფერი კარგი, რაც ერაყში მოქმედებდა; ყველა დადებითი ძალა, რომლებიც კი არსებობდა მიწასთან გაასწორეს.

**ასე იყო ყველგან, სადაც კი ამერიკელებმა ფეხი შედგეს.**

**ასეა ავღანეთში, საიდანაც ფეხი ამოაკვეთინეს.**

— შეერთებული შტატები უბრუნდება ბუნებრივ საზღვრებს. დღეისთვის მისი გავლენა, მისი ეკონომიკის გავლენა ზომაზე მეტად არის გაბერილ-გაბუქებული.

ის, რაც შტატებს ავღანეთში დაემართა, სამხედრო მარცხის გარდა, სხვა უფრო ღრმა პრობლემის მაჩვენებელია.

ამერიკელები ტრაბახობდნენ, რომ ყოველთვის მხარს უჭერენ დემოკრატიას, რომ სწორედ ის ქვეყნები, რომლებშიც დემოკრატია მათ სტილშია გაგებული და მათი ხელმძღვანელობით არის დამკვიდრებული, აღწევენ წარმატებას. მაგალითად ასახელებდნენ ავღანეთს და მის მსგავს სხვა ქვეყნებს.

ავღანეთში კი იყო ხელისუფლება, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ხალხთან, არც ქვეყანასთან, არც მათ ინტერესებთან.

**დღეს ავღანეთიდან წავიდა მის ისტორიაში ყველაზე უფრო კორუფცირებული ხელისუფლება, რომელმაც ვერ გადაწყვიტა ვერც ერთი პრობლემა და ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა: იმ დახმარების დატაცება, რომელსაც შეერთებული შტატები მის მიერ შექმნილი სახელმწიფოსთვის გაიღებდა.**

**ამიტომ პირველივე დაძაბულობისთანავე ხელისუფლება, რომელიც მიჩვეული იყო, რომ მის ყველა პრობლემას წყვეტდა შეერთებული შტატები, გაიძურწა საზღვრებს მიღმა, როგორც ეს საქართველოში მოხდა 08.08-ის მოვლენებისას.**

აშშ ავღანეთის ყველა პრობლემას ერთი და იმავე მეთოდით „აგვარებდა“ — კიდევ ფული, კიდევ დამატებით ფული! ეს ფული დაიტაცეს და, რაგინდ სამარცხვინო იყოს, ყველასგან მიტოვებული პრეზიდენტი („ვით მეფე ლირი“), მათი ხელდასმული და საიმედო „მმართველი“, გაიქცა ქაბულის აეროპორტიდან (ჩვენი „წითელი ხიდივით“ სააკაშვილისტების თავის გადარჩენის მსგავსი გზით), იმ ფულის ნარჩენებით გატენილი მეორე თვითმფრინავის თანხლებით, არადა, თანხა მის სახელმწიფოს უნდა მოხმარებოდა.

ისე მიდიოდა ტრაპისკენ ყოფილი პრეზიდენტი **ამრულა სალაჰი,** როგორც ჩვენი ნაცების ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე **ნიკანდრო მელია** — პიზის კოშკივით წელში გადახრილი, რომელსაც ალექსანდრიის შუქურას მოვალეობაც აჰკიდეს — გაძღოლოდა რევოლუციურ მასებს „საქართველოში დამკვიდრებული ოლხოკრატიის აღმოსაფხვრელად“.

თუმცა ამის არც სურვილი ჰქონია, არც უნარი, არც შესაძლებლობა.

უარსაც ვერ ეტყოდა, რადგან ეს დავალება პატრონისგან მოდიოდა.

იმედი რჩებოდა ამერიკელი ლობისტების, რომლებიც ჩვეულებისამებრ დაიცავდნენ მას. არ დაიცვეს, არც აღშფოთებულან.

**ეს ყველაფერი ლაპარაკობს თვით ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მის ზნეობრივ პრინციპებზე, იმაზე, რომ მას კაცობრიობა მიჰყავს „ახალი, უფრო წარმატებული, უფრო მყარი, უფრო სამართლიანი მსოფლმოწყობისკენ“ (?!).**

„ამერიკული პერიოდი“ დასრულდა. საით მიდის ავღანეთი? როგორც „თალიბანმა“ განაცხადა, ავღანეთი იქნება საამირო — ფუნდამენტურ-ტერორისტული მუსლიმური იდეოლოგია სრულუფლებიანი სახელმწიფოს ფორმით.

რას გვასწავლის ავღანეთის მაგალითი?

უნდა შეწყდეს მავანის ფასეულობების სხვისთვის თავსმოხვევის უპასუხისმგებლო პოლიტიკა, მავანის ლეკალოებით დემოკრატიის დამყარების უსაფუძვლო მცდელობა ისტორიული, ეროვნული, რელიგიური თავისებურებების უგულებელყოფის გზით. სახელმწიფოს მართვის უცხო მეთოდებითა და ფორმით დანერგვა ავღანეთში კონტრპროდუქტიულია. მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური ექსპერიმენტები არასოდეს წარმატებით არ დასრულებულა. შედეგი ყოველთვის ერთი იყო: სოციალური და პოლიტიკური სისტემების დეგრადაცია და სახელმწიფოს მოშლა და ნგრევა.

მიმოხილვა მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

**P.S. — „ძაღლი გადააბრძანეთო, — თქვა მეფემ გზაზე დაგდებული მკვდარი ძაღლის დანახვაზე.**

**— მეფეო, ძაღლს კი არ გადააბრძანებენ, გადაათრევენო, — შეჰბედეს მეფეს.**

**— ამას მე ჩემს პირს არ ვაკადრებო, — უპასუხა მეფემ“.**

**ა.ს.**

მიმოხილვები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2021 წლის 17 აგვისტოს ჯოზეფ ბაიდენის ადმინისტრაციამ თავის ტერიტორიაზე დაბლოკა ავღანეთის აქტივები, რომლებიც ოფიციალურად შეფასებულია 9,5 მლრდ დოლარად. ამ აქტივებში შედის ავღანეთის ცენტრალური ბანკის — DA AFGANISTAN BANK-ის თითქმის 22 ტონა ოქრო, რომელიც ინახებოდა ფედერალურ სარეზერვო ბანკში ნიუ-იორკში. ეს ოქროს ზოდები ქაბულის სავალო ვალდებულებების დაფარვის გარანტია იყო.**

# ამერიკელები ავღანეთიდან გაიქცნენ, მაგრამ ახლა ამ ქვეყნის ოქროს მიტაცებას ცდილობენ

## აშშ-მა თავის ტერიტორიაზე ავღანეთის კუთვნილი 22 ტონა ოქრო დაბლოკა

**აშშ და მისი „პარტნიორები“ ცდილობენ, ავღანეთის ძარცვა ჰუმანიტარული მიზნებით შენიღბონ. 2021 წლის 31 აგვისტოს ამერიკელებმა გაეროს უშიშროების საბჭოში გაიტანეს რეზოლუცია ავღანეთში შექმნილი ვითარების შესახებ და ქაბულს მოუწოდეს, უზრუნველყოს ქვეყნიდან თავისი მოქალაქეების გასვლის უსაფრთხოება. ამასთანავე, უარი თქვეს, დოკუმენტში ჩაეწერათ რუსეთის მიერ შეთავაზებული პუნქტი მოწოდებით, შეეწყვიტათ ავღანეთის საზღვარგარეთული აქტივების ბლოკირება.**

### ავღანეთის ოქრო

საქმე ის არის, რომ 2021 წლის 17 აგვისტოს **ჯოზეფ ბაიდენის** ადმინისტრაციამ თავის ტერიტორიაზე დაბლოკა ავღანეთის აქტივები, რომლებიც ოფიციალურად შეფასებულია 9,5 მლრდ დოლარად. ამ აქტივებში შედის ავღანეთის ცენტრალური ბანკის — Da Afganistan Bank-ის თითქმის 22 ტონა ოქრო, რომელიც ინახებოდა ფედერალურ სარეზერვო ბანკში ნიუ-იორკში. ეს ოქროს ზოდები ქაბულის სავალო ვალდებულებების დაფარვის გარანტია იყო, მათ შორის მოსკოვის წინაშე ვალის, რომელიც 849 მლნ-ს შეადგენს.

ამას გარდა, **აშშ-ის ფინანსური სანქციები ვრცელდება ოფიციალურ სტატისტიკაში გაუთვალისწინებელ აქტივებზეც, კერძოდ, ე.წ. „ბაქტრიის ოქროზეც“. „ბაქტრიის ოქრო“ არის კოლექცია 20 ათასი ოქროს ნივთისა, რომლებიც საბჭოთა არქეოლოგების ჯგუფმა თელია თეფეში (ბორცვი ავღანეთის ქალაქ შიბარგანთან) აღმოაჩინა. მათი მიახლოებითი ღირებულება 220 ტონა ოქროს ტოლია და ერთ-ერთ გამორჩეულ და დიდ კოლექციად ითვლება მსოფლიოში. ის საბჭოთა კავშირმა ავღანეთს გადასცა პირობით, რომ ავღანეთის მთავრობა არანაირი გარემოების გამო არ გაასხვისებდა.**

2021 წლის იანვარში ავღანეთის პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ „ბაქტრიის ოქრო“ საზღვარგარეთ გაიგზავნებოდა გამოფენებზე დამთვალიერებლების საჩვენებლად და შესანახად. თელია-თეფეში ნაპოვნი საგანძური ოფიციალურად იუნესკოს გადაეცა შესანახად, ამასთანავე, გამოფენებზე მისი გატანით უნდა დაკავებულიყო მხოლოდ რამდენიმე ამერიკელი „არაკომერციული“ ორგანიზაცია. მას შემდეგ „ბაქტრიის ოქროს“ ბედი უცნობია და ამ საგანძურის ბლოკირება, შეუძლებელია, ავღანეთთან ერთად რუსეთსაც არ აღელვებდეს.

### არის თუ არა ბლოკირების საფუძველი

**ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურად მიუთითებს ანგლოსაქსურ სამართალზე, რომელიც საშუალებას იძლევა, დაბლოკოს სხვა ქვეყნების აქტივები, თუკი იქ ორხელისუფლებიანობა წარმოიქმნება. სახელდობრ, ასეთი ვითარება, ამერიკელთა აზრით, შეიქმნა ავღანეთში: პრეზიდენტად დე იურე რჩება აშრაფ განი, ხოლო ქვეყანას დე ფაქტო მართავენ თალიბები.**

ამასთანავე, **აშშ ავღანეთის ოქროს აქტივების ბლოკირებით შემოფარგვლას არ აპირებს. ამერიკელებს სურთ, სრულად მიითვისონ ავღანური ოქრო, რომლის კონფისკაცია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავღანეთი გაქრება ან მას აღიარებენ ტერორისტულ წარმონაქმნად. ამ მიზნით ამერიკელები ცდილობენ, საერთაშორისო სამართალში შეიტანონ ისეთი ცნება, როგორიც არის „შეუმდგარი სახელმწიფო“ და რომელიც ჩადებულია ამერიკულ კანონმდებლობაში, კერძოდ, „აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში“.**

ამ „სტრატეგიის“ შესაბამისად, „შეუმდგარი სახელმწიფოები“ ხელს უწყობენ ტერორიზმის განვითარებას და საფრთხეს უქმნიან ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე, სრულიად მსოფლიოს უსაფრთხოებას. ამის საფუძველზე აძლევს ვაშინგტონი საკუთარ თავს უფლებას, არა მხოლოდ დაბლოკოს, არამედ ჩამოართვას აქტივები სხვა ქვეყნებს.

„შეუმდგარი სახელმწიფოების“ სიას კი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კონფლიქტებისა და სტაბილიზაციის ოპერაციების ბიურო ადგენს „უუნარობის ინდექსის“ (Frogile States Index) საფუძველზე. ამ სიაში რომ მოხვდეს ქვეყანა, მისი მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ვერ უნდა ახერხებდეს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს ავღანეთი, რომელიც „უუნარობის ინდექსის“ სიაში პირველ ადგილზეა. იქ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, უკვე რამდენიმე წელიწადია, გრძელდება, თუმცა ეს არასტაბილურობა თვითონ ანგლოსაქსებმა შექმნეს.

### პოლიტიკური ვითარება ავღანეთში

ავღანეთში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციას ხელს უშლის ის, რომ ხალხი, რომელიც სახელმწიფოს ქმნის, კერძოდ, პუშტუნები, გაყოფილნი არიან ორ სახელმწიფოში. XVIII საუკუნეში პუშტუნებმა შექმნეს ერთიანი მუსლიმანური კონფედერაცია, რომელშიც შევიდნენ ავღანეთისა და პაკისტანის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები. კონფედერაციას დაარქვეს დურანიის სახელმწიფო. მას სათავეში ჩაუდგნენ პუშტუნური ტომის, დურანის, წარმომადგენლები.







**ასეთი გაერთიანების არსებობა ხელს არ აძლევდა დიდ ბრიტანეთს, რომელიც სამხრეთი აზიის კოლონიზაციას ცდილობდა. პრინციპით „დაყავი და იბატონე“ ბრიტანელებმა ხელი შეუწყვეს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას, რომლებმაც დაანგრიეს დურანიის კონფედერაცია, მან არსებობა 1823 წელს შეწყვიტა.**

შედეგად პუშტუნთა ნაწილი ბრიტანეთის ინდოეთში აღმოჩნდა, მოგვიანებით — პაკისტანში, კიდევ ერთი ნაწილი — მარიონეტულ სახანოებში, რომლებიც გაერთიანდნენ და გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელმწიფო სახელწოდებით ავღანეთი. ამასთანავე, როგორც ავღანელებს, ისე პაკისტანელებს თავს მოახვიეს თეზისი, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია, ჰქონდეს „განსაკუთრებული უფლება დურანიის სახელმწიფოს მემკვიდრეობაზე. სწორედ ამის გამოა, რომ ავღანეთი და პაკისტანი აქამდე იურიდიულად არ აღიარებენ ერთმანეთის „სახელმწიფოებრიობას“.

### ეკონომიკური ვითარება

**ავღანეთის ეკონომიკურ სტაბილურობას ხელს უშლის ქვეყნის ჩართულობა ნარკოვაჭრობაში და ესეც ანგლოსაქსების დამსახურებაა. ისინი XVIII საუკუნიდან ავღანეთის ტერიტორიას იყენებდნენ ნარკოტიკების საწარმოებლად ჯერ ლევანტის, შემდეგ ოსტ-ინდური კომპანიებისთვის. შედეგად, 1960-იან წლებში ავღანეთი ოპიატების მწარმოებელ უდიდეს ქვეყნად იქცა მსოფლიოში. მას შემდეგ ნარკოტიკი ავღანეთის ეკონომიკის „მთავარი დარგია“.**

ქვეყნის „შეუმდგარად“ გადაქცევის სქემა, ე.ი., დიდი ეთნიკური ჯგუფების გაყოფას სხვადასხვა სახელმწიფოდ ანგლოსაქსები არა მხოლოდ სამხრეთ აზიაში, არამედ პლანეტის სხვა რეგიონებშიც იყენებდნენ. ახლა განსაკუთრებით სახიფათო არის ის, რომ ამერიკელები ყველას გაძარცვას აპირებენ.

სახელმწიფო დეპარტამენტის „შეუმდგარი ქვეყნების“ სიის მიხედვით, მომავალი „ავღანეთის“ როლი შეიძლება შეასრულონ აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანამ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ნაწილმა. რაც შეეხება „უუნარობის ინდექსის“ სიას, მასში არის, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო, რომლებიც არ შედის ე.წ. ოქროს მილიარდში.

**აშშ ავღანეთის ოქროს აქტივების ბლოკირებით შემოფარგვლას არ აპირებს. ამერიკელებს სურთ, სრულად მიითვისონ ავღანური ოქრო, რომლის კონფისკაცია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავღანეთი გაქრება ან მას აღიარებენ ტერორისტულ წარმონაქმნად. ამ მიზნით ამერიკელები ცდილობენ, საერთაშორისო სამართალში შეიტანონ ისეთი ცნება, როგორიც არის „შეუმდგარი სახელმწიფო“ და რომელიც ჩადებულია ამერიკულ კანონმდებლობაში, კერძოდ, „აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში“**

Ren.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნიკა კორინთელმა

**ტერმინი „რბილი ძალა“ (SOFT POWER), XX საუკუნის 80-იან წლებში დაამკვიდრა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯოზეფ ნაიმ და, უწინარესად, გულისხმობს „რბილ ძალაუფლებას“. პოლიტიკური ძალაუფლების ეს ფორმა „ხისტი ძალისგან“ განსხვავებით გულისხმობს სასურველი შედეგის მიღწევას ნებაყოფლობითი მონაწილეობით, სიმპათიითა და მიმზიდველობით.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ ამზადებს დასავლეთი მომავალ პრეზიდენტებს თავისი კოლონიებისთვის

**აშშ და ინგლისი მნიშვნელოვნად უსწრებენ სხვა სახელმწიფოებს „რბილი ძალის“ ლიდერების უმაღლესი რგოლის მომზადებაში, აგრეთვე, სხვა ქვეყნებში ელიტების განათლებაში. ამ კადრებზე დაყრდნობით დასავლეთმა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში შეძლო „ფერადი რევოლუციების“ მოწყობა.**




## როგორ ამზადებს დასავლეთი სასწავლო დაწესებულებებში „გავლენის აგენტებს“

უმაღლესი განათლების სფეროს ბრიტანულმა ინსტიტუტმა (HEPL) გამოაქვეყნა ე.წ. რბილი ძალის ყოველწლიური ინდექსი, რომელშიც დათვლილია, რამდენმა მოქმედმა მსოფლიო ლიდერმა მიიღო განათლება უცხო ქვეყანაში. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, ამ წლის შედეგები აჩვენებს, რომ ამ მხრივ აშშ-ის მაჩვენებლები გაუმჯობესებულია და ის ყველას უსწრებს.

ადრე ლიდერი იყო **დიდი ბრიტანეთი**, მაგრამ **აშშ** ყოველწლიურად აუმჯობესებდა მაჩვენებლებს. დღეს დიდი ბრიტანეთი მეორე ადგილზეა, **საფრანგეთი** — მესამეზე.

თვით ტერმინი „რბილი ძალა“ (Soft power), XX საუკუნის 80-იან წლებში დაამკვიდრა ამერიკელმა პოლიტოლოგმა **ჯოზეფ ნაიმ** და, უწინარესად, გულისხმობს „რბილ ძალაუფლებას“. პოლიტიკური ძალაუფლების ეს ფორმა „ხისტი ძალისგან“ განსხვავებით გულისხმობს სასურველი შედეგის მიღწევას ნებაყოფლობითი მონაწილეობით, სიმპათიითა და მიმზიდველობით.

**ჯოზეფ ნაის თქმით, ქვეყნის ენა და კულტურა — ეს არის „რბილი ძალა“, რომელიც საკვანძო როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში და პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკასა და საქმიან კავშირებზე.**

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** განაცხადა RTV-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, **„ამერიკელები ტერმინ „რბილ ძალაში“ გულისხმობენ ადამიანების გულსა და გონებაზე გავლენის პოლიტიკის განხორციელების მცდელობას არა იმისთვის, რომ პროპაგანდა გაუწიონ თავიანთ კულტურასა და ენას, არამედ იმისთვის, რომ შეცვალონ პოლიტიკური კლასის განწყობა სამომავლოდ რეჟიმის შეცვლის მიზნით. ისინი ამით დაკავებული არიან ყოველთვის და არც ცდილობენ დამალვას — ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ ყველა ქვეყანაში უნდა შეიტანონ მშვიდობა და დემოკრატია“.**

## ლიდერობს აშშ

როგორც HEPL-ს დირექტორმა **ნიკ ჰილმანმა** განაცხადა, 1917 წლიდან დღემდე აშშ-მა განათლება მისცა 65 მსოფლიო ლიდერს, რაც 8-ით მეტია დიდი ბრიტანეთის ანალოგიურ მაჩვენებელზე (57 ლიდერი). საფრანგეთი მესამეა და ცოტათი უსწრებს ავსტრალიასა და რუსეთს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა იმ მსოფლიო ლიდერების რაოდენობა, რომლებმაც განათლება საფრანგეთში მიიღეს. HEPL-ის მონაცემებით, რუსეთმა 10 ასეთი ლიდერი მოამზადა.

HEPL-ის სარეიტინგო სიის მიხედვით, რბილი ძალისთვის „უმაღლესი კადრების“ მომზადების საქმეში ლიდერობას განაგრძობს აშშ. იმ მსოფლიო ლიდერებიდან, რომლებმაც აშშ-ში მიიღეს განათლება, **HEPL-მა დაასახელა პირები, რომლებიც თავიანთ ქვეყნებს ხელმძღვანელობენ, როგორც პრეზიდენტები, პრემიერები, მეფეები და შეიხები.**

ასეთ ქვეყნებს შორისაა: **ბაჰრეინი — შეიხ ჰამად ბინ ისა ალ ხალიფა** და **პრინცი სალმან ბინ ჰამად ალ ხალიფა; ბელგია — მეფე ფილიპე** და **პრემიერი ალექსანდრე დე კროო; ჩილე — სებასტიან პინიერა; საბერძნეთი — კირიაკოს მიცოტაკისი; ირლანდია — მაიკლ დ. ჰიგინსი; იტალია — მარიო დრაგი; მონღოლეთი — ლუვსანამსრაინ იუნერდენე; სერბეთი — ანა ბრნაბიჩი; სინგაპური — ლი სიან ლუნგი; ესპანეთი — მეფე ფელიპე VI** და ა.შ.

## ელიტების მომზადება

„რბილი ძალის“ შექმნა გულისხმობს არა მხოლოდ „მსოფლიო ლიდერების“ მომზადებას — პირების, რომლებიც შემდეგ ხდებიან პრეზიდენტები ან პრემიერმინისტრები, არამედ სწავლებას სტუდენტებისა, რომლებიც ნაწილი უნდა იყვნენ მმართველი ელიტისა იმ სახელმწიფოებში, რომლებიდანაც ისინი ჩავიდნენ სასწავლებლად. აქაც ლიდერობენ აშშ და დიდი ბრიტანეთი. როგორც HEPL აღნიშნავს, შიგა მიგრაციის 100 ათას კაცამდე შემცირების განზრახვის შემდეგ ლონდონმა შეცვალა პოზიცია და „ახალ გაბედულ მიზნად“ დაისახა, წელიწადში მიიღოს არანაკლებ 600 ათასი უცხოელი სტუდენტი მიმდინარე ათწლეულის ბოლომდე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ჩინეთიდან — დასავლეთის მთავარი კონკურენტიდან — სტუდენტების მოზიდვაზე.


ალექსეი ნავალნი თავის ჯგუფთან ერთად იელის უნივერსიტეტში

„რბილი ძალის“ ლიდერების მომზადება აქტიურად ხორციელდებოდა სსრკ-შიც. თავდაპირველად ამზადებენ ხელმძღვანელ კადრებს უცხოური კომუნისტური პარტიებისთვის. ეს მუშაობა ახალ დონეზე ავიდა 1950-1960-იანი წლების მიჯნაზე და 1960 წელს მოსკოვში პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ. 1990 წელს საბჭოთა კავშირში 125 ათასი უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. დაშლის მომენტში, სსრკ-ს მესამე ადგილი ეკავა უცხოელი სტუდენტების მომზადების მხრივ.


მარია პევჩიხი


ლეონიდ გოზმანი


ევგენია ალბაცი

## პრეზიდენტებს სსრკ-შიც ამზადებდნენ

საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით აქტიურად ამზადებდნენ სამხედრო კადრებს ე.წ. განვითარებადი ქვეყნებისთვის. მაგალითად, ეგვიპტის მომავალმა პრეზიდენტმა **ჰოსნი მუბარაქმა** ჯერ ფრუნზეს სახელობის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ — სამხედრო აკადემია მოსკოვში. სირიის ყოფილი პრეზიდენტი **ჰაფეზ ასადი** (ამჟამინდელი პრეზიდენტის, **ბაშარ ასადის,** მამა) სსრკ-ის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული იყო. **ალფრედ მოისიუმ** ლენინგრადის სამხედრო-საინჟინრო აკადემია დაამთავრა და შემდეგ გახდა ალბანეთის პრეზიდენტი. სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი **ტაბო მბეკი** მოსკოვის საზოგადოებრივი მეცნიერების აკადემიის კურსდამთავრებულია.

გასაგებია, რომ სსრკ-ში მომზადებული „რბილი ძალის“ კადრები სსრკთან მათი ქვეყნების ურთიერთობის გაღრმავებას უწყობდნენ ხელს, მაგრამ მათ არ ამზადებდნენ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დასამხობად, როგორც ამას აკეთებდა და აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატები. პოსტსაბჭოთა რუსეთის ფედერაციამ განაგრძო უმაღლესი განათლების ექსპორტი — 2019-2020 სასწავლო წელს ქვეყნის 700-მდე სასწავლებელში 300 ათასამდე უცხოელი სტუდენტი სწავლობდა.

## როგორ ამზადებენ „მეხუთე კოლონას“

აშშ და დიდი ბრიტანეთი მნიშვნელოვნად უსწრებენ სხვა ქვეყნებს „რბილი ძალის“ უმაღლესი რგოლის ლიდერებისა და სხვა ქვეყნების ელიტების მომზადებაში, რომლებსაც შემდეგ გავლენის ინსტრუმენტებად იყენებენ. 1990-იან წლებში ისინი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის პროდასავლურად განწყობილ კადრებს ამზადებდნენ. ამ კადრებზე დაყრდნობით დასავლეთმა უკვე განახორციელა რამდენიმე „ფერადი რევოლუცია“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, უკრაინასა და საქართველოში. **რუსეთის ლიბერალურ ოპოზიციაში დღესაც ბევრია პირი, რომლებიც მაღალ პოსტს იკავებენ პოლიტიკასა და ეკონომიკაში და რომლებმაც მიიღეს განათლება ან სტაჟირება გაიარეს დასავლეთში.**

მაგალითად, „მემარჯვენე ძალების კავშირის“ ლიდერი **ლეონიდ გოზმანი** დიკინსონის კოლეჯში (პენსილვანიის შტატი, აშშ) მუშაობდა, შემდეგ — ვუდრო ვილსონის სახელობის ვაშინგტონის საერთაშორისო ცენტრში, „კორუფციასთან მებრძოლმა“ **ალექსეი ნავალნიმ** და მისმა მეგობარმა **ლეონიდ ვოლკოვმა** პროგრამა Yale World Fellows-ის კურსი გაიარეს იელის უნივერსიტეტში, რომლის სპონსორიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოა. გააფთრებული რუსოფობი, ჟურნალ The New Time-ის მთავარი რედაქტორი **ევგენია ალბაცი** ჰარვარდში სწავლობდა. ლიბერალურად განწყობილი პუბლიცისტი **ვლადიმერ ყარა-მურზა (უმცროსი)** — კემბრიჯში, ნავალნის მხარდამჭერი და მისი „მოწამვლის“ პროვოკაციის ორგანიზატორი და, როგორც ეჭვობენ, ბრიტანეთის სპეცსამსახურების აგენტი **მარია პევჩიხი** — კალიფორნიის უნივერსიტეტში. **რუსეთში „მოღვაწე“ გავლენის აგენტების სია საკმაოდ გრძელია. ასეთ აგენტებს ათასობით ამზადებენ დასავლეთში არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც; შედეგად — „ფერადი რევოლუციები“, პუტჩები, მაიდნები, გადატრიალებები და დასავლეთისთვის მიუღებელი პოლიტიკოსების სიკვდილი. ასეთ პრაქტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს.**

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე სწორედ დასავლეთი ამზადებდა ისეთ ისტორიულ პერსონაჟებს, როგორებიც არიან **ლენინი** (შვეიცარიაში მოამზადეს) და **ტროცკი** (აშშ-ში). თუ რა მოხდა, როდესაც ისინი რუსეთში გადაიყვანეს, კარგად არის ცნობილი.

**ავღანეთიდან აშშ-ის სამარცხვინო გაქცევის შემდეგ პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ამერიკელები აღარ შეეცდებიან „სხვა ქვეყნების გადაკეთებას“ სამხედრო ძალის გამოყენებით. რას ნიშნავს ეს? — იმას, რომ თავიანთი ჰეგემონიის შენარჩუნებას, რომელზეც ვაშინგტონი უარის თქმას არ აპირებს, ამერიკელები „რბილ ძალით“ შეეცდებიან. „რბილი ძალისთვის“ კადრების მომზადების ტექნოლოგიებს კი ამერიკელები, კარგა ხანია, იყენებენ. როგორც ისტორია გვიჩვენებს, ასეთი ჩარევა ხშირად უფრო სახიფათოა, ვიდრე სამხედრო აგრესია, ამიტომ საქართველოსთვის (არა მხოლოდ) ასეთი საფრთხე დიდია, აშშ ხომ ამჟამად ე.წ. რბილ ძალაზე აკეთებს აქცენტს.**

**ru-an.info -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# რა შემთხვევაში შეიძლება თვითმმართველობამ ნაყოფი გამოიღოს?

**2021 წლის 2 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. მთავარი ამოცანაა არჩევნების თანასწორ, თავისუფალ და სამართლიან პირობებში ჩატარების უზრუნველყოფა. ამჟამად რამდენად გაუმჯობესებულია ქვეყანაში საარჩევნო გარემო და რა მდგომარეობაა არჩევნების შედეგებისადმი სანდოობის მხრივ, წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებულად მიიჩნევს, ოპოზიცია კი მის სანდოობას კვლავ ეჭვქვეშ აყენებს, მაგრამ რას ფიქრობს ხალხი, ამომრჩეველი, ეს უკვე 2 ოქტომბრის შემდეგ გამოჩნდება.**

**როგორი უნდა იყოს არჩევნები, რომ მის მიმართ პრეტენზიები და შენიშვნები არავის ჰქონდეს? ალბათ, ასეთი რამ შეუძლებელია, მაგრამ არჩევნების მაქსიმალურად თანასწორ, თავისუფალ და სამართლიან პირობებში ჩატარების უზრუნველყოფა შეუძლებელი ნამდვილად არ არის. ამაზე მეტყველებს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია მასალები, რომლებიც ქვეყნის თვითმმართველობის პირველ არჩევნებს ასახავს; იქნება ეს საარჩევნო სიები თუ ბიულეტენების ნიმუშები, მოსახლეობის რაოდენობის ამსახველი დოკუმენტები, საგაზეთო მასალები, ფოტოები და სხვ.**

**„თვითმმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია“, — წერდა დიდი ილია *(ცხოვრება და კანონი, წერილი მეოთხე).***

**მას შემდეგ, რაც 1865 წელს დამტკიცდა სასოფლო მმართველობის წესდება, პირველი შეკითხვა, რომელიც დასვა დიდმა მამულიშვილმა იყო, თუ რამდენად მოუხდებოდა იგი ჩვენს ცხოვრებას, რამდენად გაამართლებდა მასზე დამყარებულ იმედებს, და საზოგადოებას თავისი თვალსაზრისი გაუზიარა.**

**აი რას წერდა ილია ჭავჭავაძე:**

„ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ; რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად. ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარებაა: ერთი მთელის სახელმწიფოის საჭიროებისა და მეორე – საზოგადოებისა. ეს ორივეგვარი საჭიროება ყოველს ნაწილში მომდინარეობს იმდენად მეტ-ნაკლებად, რამდენადაც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებია; განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობაშია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თვითოეულს მის ნაწილში, ამ ორგვარის საჭიროების მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ყოვლის მმართველობისა.

ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. **ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში.** ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, — ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ, ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას **ცენტრალიზაციას** ეძახიან.

**მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია**, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას **თვითმმართველობას** უწოდებენ... ერთის სიტყვით, **ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.**

...მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო — საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო.

...ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზე ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა, და საზოგადოებრივი კი – ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვრის პოვნაც ძნელია, იმიტომ – რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი-ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან, თუ ყოველისფერში არა, ბევრში მაინცა. მაგრამ თვითმმართველობის საქებარად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი. **ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მათდამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია — როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი.** ყოველივე შინაგანის მმართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას.



**«ღირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მათდამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია — როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი. ყოველივე შინაგანის მმართველობის ღირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას»**

ადგილობრივი თვითმმართველობა და უმაღლესი მთავრობა არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ.

...ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის **საჭიროა, უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს.** ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენლად და ვერც ხელი საშველადა. ცხადია, რომ მან უნდა იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ რომ **სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება.** ეს ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყოფილი.

**სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივთა საქმეთა გამგედ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თავისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა.** ...აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვითმმართველობის შუა. ...თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა, ერთის მხრით, ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით, უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორღანოა.

ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორღანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა.

**...თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი.**

უმთავრესი კუთვნილებანი თვითმმართველობისანი არიან:

ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა;

უმაღლესის მთავრობისაგან განწესებულის ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტნაკლოდ გადაუხადოს სახელმწიფოს თვისი შესახვედრი მოვალეობა;

ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა;

სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს;

ადგილობრივის საზოგადოების პირველდაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა;

ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თადარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოება;

ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა;

უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

**...ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მქონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე.**

...ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: **თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ, ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ?“**

**ილიას ეს შეკითხვა დღესაც აქტუალურია და მასზე დაფიქრება მართებთ ჩვენს ხელისუფალთ.**

**„თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი“**

**საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაც. წყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს; თუ ულირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.**

სულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღვთისმშობლობას გილოცავთ, მარიამ ღვთისმშობლის წყალობა და მადლი არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს!




**ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“ (აპოკრიფი ბერძნული სიტყვაა და „დაფარულს“ ნიშნავს. მოგვიანებით ეს სახელი ეწოდა არაკანონიკურ წიგნებს, თუმცა ზოგიერთ აპოკრიფულ თხზულებას წმინდა ეკლესია იწყნარებს, თუკი მათი თხრობა არ ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას), რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა, რომელმაც დედად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი ამოირჩია, რათა განკაცებულს ადამის მოდგმა ეხსნა. ძველი აღთქმის წიგნებში ბევრგან გვხვდება წინასწარმეტყველება ღვთისმშობლის შესახებ. ეზეკიელ წინასწარმეტყველს იგი დახშულ ბჭედ ეჩვენა: „რომელი არავინ განვლო, გარნა ღმერთმან და დახშული ჰგიეს ბჭეი იგი“ (ეზ. 44:2); დანიელ წინასწარმეტყველი ამბობდა: „მთისაგან ლოდი თვინიერ ხელისაგან კაცისა გამოკუეთილი“ (დან. 2:34), რაც იესო ქრისტეს უმამაკაცოდ შობას გულისხმობდა, ხოლო ესაია ღაღადებდა: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძეი“ (ესაია 7:14). მოსემ ღვთისმშობელი შეუწველ მაყვლოვნად იხილა სინას მთაზე, გედეონმა — საწმისად, დავითმა — ტარიგად, მოსე წინასწარმეტყველმა უხრწნელ ქალწულად ჰქადაგა, ეზეკიელმა — სიწმინდის ბჭედ, დანიელმა — შეურყეველ მთად, ესაიამ — იესეს ძირად.**

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა, პირველი მღვდელმთავრის, აარონის, შთამომავალი გახლდათ. ღვთისმოშიშ ცოლქმარს შვილი არ ეძლეოდა. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულობამდე, მაგრამ იმედი არ დაუკარგავთ, რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, შვილს მომადლებდა მათ. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს, რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაელები უშვილობას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ, ამიტომ იოაკიმე და ანა თანამემამულეთაგან მრავალ უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ. ერთ-ერთ დღესასწაულზე მართალ იოაკიმეს იერუსალიმის ტაძარში უფლისათვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, მაგრამ მღვდელმთავარმა უარი უთხრა. მოხუცი ღრმა მწუხარებით აივსო, უდაბნოს მიაშურა და ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.

უფალმა შეისმინა ცოლქმრის ვერდება. მთვარანგელოზმა გაბრიელმა ანას აცნობა, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად მაშინვე აღთქმა დადო, რომ ბავშვს უფალს შესწირავდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე მემკვიდრე შეეძინებოდა.

გავიდა ხანი და ანამაც იმშობიარა. მას ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს.

მარიამი ერთი წლისა რომ გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა და მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები და პატივსაცემი მოხუცები მიიწვია. მღვდელმთავრებმა და მღვდლებმა ჩვილი დალოცეს და ღმერთს მისი კურთხევა შესთხოვეს.

**შობა ყოვლადწმიდა ქალწულისა მარიამისა, რომელმაც თავისი უმანკო სხეულით განკაცებული უფალი იტვირთა, ქრისტიანთა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდითა და სათნოებით არა მხოლოდ ყველა მოკვდავს, ყველა ანგელოზსაც გარდაამეტა, ღვთის ცოცხალ ტაძრად იქცა, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა „ზეციური ბჭე, რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსნელად“.**

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას. როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, „უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუთქვა, რომ მისი წილხვედრი მიწა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

**საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაც. წყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს; თუ ულირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.**

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებელი ეკლესია 21 (ძვ. სტ. 8) სექტემბერს დღესასწაულობს. ამ დღეს ტაძრებში საგანგებო საგალობლებს აღავლენენ — ადიდებენ ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელმაც ცა და დედამიწა შეაერთა, როცა ხორციელად შვა უფალი.




**ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდითა და სათნოებით არა მხოლოდ ყველა მოკვდავს, ყველა ანგელოზსაც გარდაამეტა, ღვთის ცოცხალ ტაძრად იქცა, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა «ზეციური ბჭე, რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსნელად»**



## ლოცვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი

**ვუგალობ მადლსა შენსა, დედუფალო, და გევედრები, გონებაი ჩემი აღავსე მადლითა, წარმიმართე მე, რაითა ვიდოდე გზასა უფლისა მცნებათასა.**

**გალობასა შინა მღვიძარებით განმაძლიერე, რომელი დახსნილობისა ძილითა შეპყრობილ ვარ.**

**საკრველთაგან ცოდვათა ჩემთასა განმხსენ მეოხებითა შენითა, სძალო ღმრთისაო.**

**ღამით და დღით დამიცევ ბრძოლათაგან ეშმაკისათა და განმარინე მე. რომელმან ცხოვრების მომცემელი ღმერთი მუცლად იღე, მე, მომწყდარი ვნებათაგან განმაცხოველე. რომელმან ნათელი დაუღამებელი ჰშევ, სული ჩემი დაბნელებული განანათლე.**

**დიდებულო მეუფისა საყდარო, ტაძრად სულისა წმიდისა განმწმიდე მე. რომელმან მკურნალი იგი ყოველთა ჰშევ, განკურნენ სულისა ჩემისა ვნებანი დამძიმებულნი. რომელი ვიგვემები ღელვათა შინა ამის სოფლისათა, მყუდროებად მიმაწიე. მიხსენ მე ცეცხლისა მისგან საუკუნოისა და დაუცადებელად მტანჯველისაგან მატლისა.**

**ნუ მიჩვენებ მე ეშმაკთა ჩემ ზედა მოხარულთა, რომელსა მიქმნიან მრავალნი ცოდვანი.**

**განმაძლიერე ბრძოლასა შინა ვნებათასა, ყოვლად უბიწოო ქალწულო.**

**უცხო მყავ მე ყოვლისაგან სატანჯველისა და ყოველთა ღმერთსა შემაწყნარე. ზეცისა სიხარულსა ღირს-მყავ მიმთხვევად ყოველთა თანა წმიდათა.**

**ყოვლადწმიდაო ქალწულო, შეისმინე ვედრებაი ულირსისა და უხმარისა მონისა შენისა. უფსკრული ცრემლთა მომმადლე, დედუფალო, რაითა მწიკვლი სულისა ჩემისა განვიწმინდო. სულთქმაი ლმობიერი გულსა ჩემსა მომივლინე, დედუფალო. უძლური ესე ვედრებაი ჩემი შეისმინე, წმიდაო, და ღმრთისა სახიერისა შესწირე.**

**უზეშთაესო ანგელოზთაო, უზეშთეას ვნებათა გამომაჩინე.**

**ნათლით შემოსილო, სამკვიდრებელ დაამკვიდრე ჩემთანა მადლი შენი და სუნელ მყავ მე.**

**ხელთა აღვიპყრობ და ბაგეთა ჩემთა შეგინებულთა აღვახვამ ქებად შენდა. ყოვლადწმიდაო, სულისა განმხრწნელთა ვნებათაგან მიხსენ მე დაუცხრომელითა ვედრებითა შენითა ქრისტეს მიმართ, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

სახელმწიფო სახელმწიფოში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანები ფიქრობენ, რომ ნებისმიერი მთავრობა საკმარისად მონოლითურია, რადგან სხვანაირად ვერ იმუშავებს. ეს წესი მოქმედებდა ადრე, მაგრამ ახლა არ ვრცელდება „სიღრმისეულ სახელმწიფოზე“. აშშ-ის ხელისუფლებაში მოსული ოლიგარქული კლანები ხელმძღვანელობენ მხოლოდ თავიანთი სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე და ფეხებზე ჰკიდიათ სახელმწიფოს ინტერესები.**

# სიღრმისეული სახელმწიფო: როგორ მუშაობენ და რა სურთ «უცნობ მამებს»

**აშშ-ში ჯო ბაიდენთან მოსალაპარაკებლად ჩასული უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი კალიფორნიასაც ეწვია კომპანიების — Space X-ისა და Tesla-ს — დამფუძნებელ ილონ მასკთან, Amazon-ის დამფუძნებელ ჯეფ ბეზოსსა და Apple-ს ხელმძღვანელ ტიმ კუკთან შესახვედრად. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის ისტორიაში უკრაინის პრეზიდენტი საჯაროდ პირველად შეხვდა უცხოელ „საქმიან ადამიანებს“. ბიზნესი ყოველთვის ურთიერთობს უცხო სახელმწიფოების ხელისუფლებასთან, მაგრამ ამ მომენტამდე მოლაპარაკებების პროცედურები გულმოდგინედ იყო შენიღბული მიმწვევი მხარის მიერ გამართული ღონისძიებებით. კალიფორნიაში ზელენსკის ვიზიტმა აჩვენა, როგორ შეიცვალა თანამედროვე მსოფლიო.**

**ზელენსკი** კალიფორნიას ეწვია არა, უბრალოდ, პირადად შესახვედრად ლეგენდარულ **მასკთან.** ზელენსკიმ და მისი გარემოცვის წევრებმა გააცნობიერეს, რომ ამერიკაში უნდა მოილაპარაკო არა მასთან, ვინც თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მაგიდასთან ზის, არამედ მათთან, ვინც ეს მაგიდა მას „განუსაზღვრა“. სწორედ განუსაზღვრა, რადგან ის დროება, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პირები მმართველი ელიტური კლანების აღიარებული ლიდერები იყვნენ, ჯერ კიდევ ობამას გაპრეზიდენტებამდე დასრულდა. იმხანად ძველი პროტოკოლის დაცვას მაინც განაგრძობდნენ, ახლა კი ეს ინერციაც აღარ არის.

**დღეს ამერიკაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ეგრეთ წოდებულმა უცნობმა მამებმა. ესენი არიან დიდი კორპორაციების ხელმძღვანელები და თანამფლობელები, უწინარესად, ტრანსნაციონალური ფინანსური კორპორაციების. ისინი „უცნობები“ არიან, იმიტომ, რომ არ მიისწრაფვიან საჯაროობისკენ სახელმწიფო სტრუქტურებში, რაც, სხვათა შორის, სულაც არ უშლის მათ ხელს, ქვეყანა, ასე ვთქვათ, ჩრდილიდან მართონ.**

**ზელენსკი კალიფორნიაში შეხვდა არა მხოლოდ გავლენიან ამერიკელ ბიზნესმენებს, არამედ შეეცადა, თავი მოეწონებინა ერთ-ერთი წამყვანი კლანისთვის — ე.წ. დიდი ციფრისთვის. Amazon-სა და Apple-სან ერთად მათ მიეკუთვნება Facebook-ი, Twitter-ი, Google და Microsoft-ი.** მათ ინტერესებს ოფიციალურ ამერიკაში იცავენ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაური **რონ კლაინი** და 13 მაღალჩინოსნისგან შემდგარი გუნდი. ეს მაღალჩინოსნები ცოტა ხნის წინათ არცთუ უმნიშვნელო თანამდებობებზე მუშაობდნენ ზემოხსენებულ კომპანიებში. გამოდის, რომ ზელენსკი მოლაპარაკებას შეეცადა არა **ჯო ბაიდენთან,** არამედ „სიღრმისეული სახელმწიფოს“ წარმომადგენლებთან.

„სიღრმისეულ სახელმწიფოზე“ (სახელმწიფოზე სახელმწიფოში) ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ საფუძვლიანად ცოტა თუ ერკვევა, რას წარმოადგენს. დავიწყოთ იმით, რომ მას „უცნობი მამების“ სახელმწიფოს უწოდებენ, უბრალოდ, ძველი ტრადიციით, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი უმაღლესი ძალაუფლების სახელმწიფოსთან ასოცირებით. აქედან **ჩნდება განცდა, რომ „სიღრმისეული სახელმწიფო“ მოწყობილია საჯარო სახელმწიფოს ანალოგიურად. ამ სახელმწიფოში არის სამინისტროები, უწყებები, ტერიტორიული ხელმძღვანელობა, არმია, პოლიცია, დაზვერვა კონტრდაზვერვასთან ერთად; ოღონდ ეს ყველაფერი რიგითი ადამიანებისგან დამალულია იდუმალების ფარდითა და სხდომებით ბილდელბერგის კლუბისა, რომელიც თითქოს მართავს მსოფლიოს.**

რეალურად საქმე სულ სხვაგვარადაა. **დიდი ხანია, მასონების დრო ჩაბარდა ისტორიას. ვისაც უსწავლია ეკონომიკის ისტორია ან ბავშვობაში უთამაშია „მონოპოლია“, იცის, რომ ნებისმიერი პარტიის ფინალთან მიახლოებისას დგება პერიოდი სუპერგიგანტებისა, რომელთა ხელშიც კონცენტრირებულია „მთელი მსოფლიოს ფული“. ზუსტად ეს დაემართა მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემას.**



**დღეს ამერიკაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ეგრეთ წოდებულმა უცნობმა მამებმა. ესენი არიან დიდი კორპორაციების ხელმძღვანელები და თანამფლობელები, უწინარესად, ტრანსნაციონალური ფინანსური კორპორაციების. ისინი «უცნობები» არიან, იმიტომ, რომ არ მიისწრაფვიან საჯაროობისკენ სახელმწიფო სტრუქტურებში, რაც, სხვათა შორის, სულაც არ უშლით ხელს, ქვეყანა, ასე ვთქვათ, ჩრდილიდან მართონ**




აშშ-ის 2020 წლის ბიუჯეტი 3,132 ტრილიონი დოლარი იყო, მისი მეხუთედი ნაწილი სესხია. მხოლოდ 15 კორპორაციის წლიურმა ამონაგებმა 3,275 ტრილიონი დოლარი შეადგინა. თუ ავიღებთ ყველა კორპორაციას, მაშინ „ყველაზე მსხვილი კერძო ფულის“ მასშტაბი რამდენიმეჯერ აჭარბებს ამერიკის სახელმწიფოს შესაძლებლობებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტი არის ფული, რომლის მთლიანად დახარჯვა შეიძლება, ამონაგების — არა. კორპორაციებს მხოლოდ მოგების განკარგვა შეუძლიათ. მაგალითად, **პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებულმა თანხამ Walmart-ისთვის 523,9 მლრდ შეადგინა, მოგებამ კი იმავე პერიოდისთვის — მხოლოდ 14,8 მლრდ. Amazon-ის მაჩვენებლები, შესაბამისად 280,5 და 11,5 მილიარდია.** სამაგიეროდ Alphabet-ის, იგივე Google-ს, ამონაგები იყო 161,8 მლრდ, მოგებამ კი 34,3 მლრდ (21,29%) შეადგინა. ერთი მხრივ, კორპორაციული მოგება 3,5-ჯერ ნაკლებია აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯებზე, მაგრამ, მეორე მხრივ, **ამერიკის ხაზინამ თავისი ფული 332 მლნ ადამიანზე უნდა დახარჯოს, პლუს არმიაზე, სპეცსამსახურებზე, სახელმწიფო მმართველობაზე, მეცნიერებაზე, კორპორაციულ შეკვეთებზე, განსაკუთრებით შეიარაღებაზე, კორპორაციებს კი სუფთა მოგება აქვთ ყველანაირი გადასახადისა და დაქვითვის შემდეგ, და ეს მოგება მილიონზე ნაკლები რაოდენობის ტოპმენეჯერებზე, 2 ათეულ ათას საკვანძო მაღალჩინოსანზე, პოლიტიკოსსა და საზოგადოებრივი აზრის ლიდერზე, ნაწილდება.**

აქედან გამოდის, რომ **კორპორაციებმა მიაღწიეს მდგომარეობას, როცა მათ კონტროლს დაქვემდებარებული რესურსების მასშტაბი რამდენიმეჯერ აჭარბებს სახელმწიფო ინსტიტუტის შესაძლებლობებს, ხოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ლობირების სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს ძლიერთა ამა ქვეყნისათა დესანტი გადაისროლონ საჭირო თანამდებობებზე. ეს ადამიანები კი ვალდებულნი იქნებიან, დაიცვან თავიანთი პატრონების ინტერესები.**

აი ეს სიმბიოზია სინამდვილეში „სიღრმისეული სახელმწიფო“. არსით ეს ჩვეულებრივი ოლიგარქიაა, ოღონდ ახალი მოდური სახელწოდებით. ეს დეტალი საკვანძოა ამ მოვლენის ფუნდამენტური არსის გასაგებად.

**ტრადიციული სახელმწიფო, როგორც სივრცე, ყოველთვის იწყება ტერიტორიული ფაქტორიდან, რომლითაც ის „იკვებება“ და რომლის კეთილდღეობისთვისაც ის პასუხს აგებს. თვით ყველაზე სასტიკი ტირანიც კი ყოველთვის იძულებულია, გაითვალისწინოს ხალხის აზრი, რათა არ მიიყვანოს ვითარება იმ მომენტამდე, როცა ქვეშევრდომები, უბრალოდ, შეწყვეტენ მორჩილებას.**

ეს მხოლოდ მოჩვენებითია, რომ ძალითა და მუქარით ყველა შეიძლება აიძულო. ადრე თუ გვიან, ხალხი აჯანყდება, არმია კი უარს იტყვის, ადამიანებს ესროლოს. ამით ჩნდება თავისებური ბალანსი უფლებებსა და მოვალეობებს შორის, რომელსაც ბოლო ხანს „სოციალური შეთანხმება“ უწოდეს.

**„სოციალურ შეთანხმებასთან“ სიღრმისეულ სახელმწიფოს სხვანაირი დამოკიდებულება აქვს. „უცნობ მამებს“ სწორედ სახელმწიფოდ გარდაქმნა არ სურთ. პირიქით, მათი მთავარი მიზანი და მათი „აშშ-ის რევოლუცია“ არის კორპორაციების მაქსიმალურად გათავისუფლება სახელმწიფო სოციალური ვალდებულებებისგან.**

სურათი პარადოქსულია. ბაიდენის ადმინისტრაცია, ერთი შეხედვით, გამოდის კორპორაციებისთვის გადასახადის 21-დან 28%-მდე მომატების მოთხოვნით (თუმცა მიმდინარე წლის მაისში ლუიზიანის შტატში სიტყვით გამოსვლისას ბაიდენმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს მხოლოდ 25%-მდე მომატებას), მაგრამ, ამასთანავე, ამერიკის ფინანსთა სამინისტრო თანხმდება ისეთი მექანიზმის არსებობას, როგორიც არის კორპორაციული სტრუქტურების განაწილება. ეს მაშინ, როდესაც, მაგალითად, „ამერიკული“ Microsoft-ი გამოყოფს თითქოს ცალკე დამოუკიდებელ სტრუქტურას შტაბბინით საგადასახადო სამოთხე ირლანდიაში — თავის ქვედანაყოფს, რომელიც ფლობს კორპორაციულ პატენტებს და თვით ლოგოტიპსაც კი, შემდეგ კი ნიანგის ცრემლების ღვარღვარით ჩივის, რომ „ამ უსულგულო წამგლეჯებს“ პატენტების გამოყენების გამო უზარმაზარ თანხებს უხდის და ამონაგებიდან სუფთა მოგება მხოლოდ 11 პროცენტი რჩება. **ამ თამაშებში თავის დროზე რეკორდსმენად ითვლებოდა კორპორაცია Amazon-ი, რომელმაც 2018 ფისკალურ წელს 11,2 მლრდ სუფთა შემოსავალი მიიღო, რომელიც წინა წლის მაჩვენებელზე (5,6 მლრდ დოლარი) ორჯერ მეტია, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში ოფიციალურად ერთი ცენტიც არ გადა-** ▶

სახელმწიფო სახელმწიფოში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კორპორაციებმა მიაღწიეს მდგომარეობას, როცა მათ კონტროლს დაქვემდებარებული რესურსების მასშტაბი რამდენიმეჯერ აჭარბებს სახელმწიფო ინსტიტუტის შესაძლებლობებს, ხოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ლობირების სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ თავიანთი დესანტი გადაისროლონ საჭირო თანამდებობებზე. ეს ადამიანები კი ვალდებულნი იქნებიან, დაიცვან თავიანთი პატრონების ინტერესები.

◀ **უხდია გადასახადის სახით.** შემდეგ ჯეფ ბეზოსს გაუსწრეს „მოკბეჩილი ვაშლის“ კორპორაციებმა. როგორც გაირკვა, **„ეფექტიანი კორპორაციული სქემის“ შექმნის წყალობით, ევროპაში მიღებული 16 მლრდ ევროს მოგებიდან Apple-მ ოფიციალური გადასახადების სახით მხოლოდ 50 მლნ (!) გადაიხადა; ერთობლივი ეფექტიანი კორპორაციული მოგების გადასახადი კი მას 1%-დან (2003 წ.) 0,005%-მდე (2014 წ.) შეუმცირდა.**

ეს ყველაფერი კანონიერად ისე ღრმად არის ჩამარხული იურიდიულ ბაზაში, რომ კორპორაციებთან ბრძოლის მოგება ძალიან რადიკალურად განწყობილმა **დონალდ ტრამპმაც** ვერ შეძლო. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ ძირავდნენ მას ასე გააფთრებით 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე „უცნობი მამები“, თანაც საქმე „უზურპატორის“ პიროვნებაში არ ყოფილა.

**ის, რასაც მედიასა თუ სოციალურ ქსელში უწოდებენ სიღრმისეულ სახელმწიფოს, სულ სხვა მიზნისკენ მიისწრაფვის. ტრამპი აქ სამწუხარო შეფერხება აღმოჩნდა. სიღრმისეული სახელმწიფოს მთავარი მიზანია კორპორაციული სტატუსის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის ტოლფასი სტატუსის, ლეგალიზაცია და ოფიციალურად დამკვიდრება უფლებისა, გადაიხადოს ცოტა გადასახადები.**

რატომ დაიწყო ოფიციალურმა ამერიკამ საერთაშორისო სივრცეში „შესანიშნავი იდეის“ გავრცელება ერთიანი 15%-იანი საერთაშორისო კორპორაციული გადასახადის დაწესების შესახებ? იმიტომ, რომ ეს უფრო იოლია, ვიდრე კორპორაციების იურისტების კოჰორტაში გაძრომა და კორპორაციების იძულება, „სრულად გადაიხადონ გადასახადები“. **აშშ კორპორაციების საქმიანობაზე ერთიანი გადასახადის შემოღებას აპირებს არა მხოლოდ ამერიკის შიგნით, არამედ „ღია საბაზრო ეკონომიკის“ სივრცეში. და ეს ხდება არა ამერიკის სახელმწიფოს სახელით, რომლის სახელისუფლო სტრუქტურები ხელში ჩაიგდეს კორპორაციების ლობისტებმა. აღსანიშნავია, რომ „უცნობ მამებს“ აშშ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობა სულაც არ აინტერესებთ, პირიქით — ეს MeToo, BLM, „რასიზმის ახალი ისტორია“ და სხვა რადიკალურ-ლიბერალური სიახლეები „მამებს“ თანამედროვე საზოგადოების პატერნალისტური საფუძვლების დასანგრევად სჭირდებათ. სწორედ ამ საფუძვლებს ჯერ კიდევ ეყრდნობა (ჯერ კიდევ) აშშ-ის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის, სოციალური ვალდებულებების მოქმედი მექანიზმები, ისეთები, როგორიცაა შრომის მინიმალური ანაზღაურების ცნება და გასული საუკუნის 60-70-იან წლებში პროფკავშირების მიერ კაპიტალისტებისთვის ხელიდან გამოგლეჯილი 8-საათიანი სამუშაო დღე, 5-დღიანი სამუშაო კვირა, ავადმყოფობის გამო განაცდურის ანაზღაურება და ყოველწლიური შვებულება.**



კაპიტალიზმის პირამიდა

იდეა უბრალოა. რაც უფრო ნაკლებად შეკრული სტრუქტურიზებული და თანამიმდევრული იქნება საზოგადოება, მით იოლია მისი ჩაყენება „სასურველ პოზაში“ პოლიციისა და სპეცსაშუალებების მასობრივი გამოყენების გარეშე. ასეთ მიდგომას მოყვასის სიყვარულთან საერთო არაფერი აქვს. უბრალოდ, კორპორაციებს არ სურთ, დახარჯონ ძალიან დიდი თანხა „კერძო ბატალიონების“ შესანახად.

**უზარმაზარი არმიის ყოველდღიურად დაფინანსება ძვირი ჯდება და, საერთოდ, რატომ უნდა დააფინანსო, თუ გაცილებით მარტივია, საზოგადოებაში გააჩინო განხეთქილება — წაჰკიდო ქალები კაცებს, ბავშვები — მშობლებს, თეთრები — შავებს, ქრისტიანები — მუსლიმანებს? ამის გაკეთება გაცილებით ადვილია განათლების სისტემის დანგრევის, მასმედიისა და სოციალური ქსელების პოლიტიკაში აქცენტების სწორი დასმით.**

**დიდი ხანია, ცნობილია და ისტორიაში არაერთხელ არის აპრობირებული: გსურთ დაანგრიოთ სახელმწიფო? სასარგებლო იდიოტების მიეცით ხელში ძალაყინი და „მხიარულებაში“ ხელი არ შეუშალოთ.**

რა იქნება შემდეგ? რა მნიშვნელობა აქვს.

**ადამიანები ძალიან ბევრს ფიქრობენ თავიანთ უფლებებზე და, საერთოდ, დაუშვებლად მდიდრულად ცხოვრობენ. ისინი „ციდან მიწაზე“ უნდა ჩამოვსვათ. დაე, სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, უნდა შენარჩუნდეს. ვილაცამ უნდა განახორციელოს ქვედა რგოლების მართვა „ადგილებზე“ ბანტუსტანში და მეხამრიდად იქცეს სოციალური გაღიზიანების შემთხვევაში. სამაგიეროდ კორპორაციულ სივრცეში კანონებსა და წესებს ლეგალურად დააწესებენ თვით კორპორაციები. ისინი „პერიმეტრს მიღმა“ გააძევებენ ნებისმიერ ჭარბ სამუშაო ძალას, როგორც კი მათი საჭიროება აღარ იქნება.**

სხვათა შორის, სწორედ ამიტომ არიან „უცნობი მამები“ ფინანსური სამყაროსა და „დიდი ციფრის“ წარმომადგენლები და არა საწარმოო კორპორაციებიდან. ამავე მიზეზით დაიწყო ამჟამად დაპირისპირება „სიღრმისეული მთავრობის“ შიგნითაც.

**ადამიანები ფიქრობენ, რომ ნებისმიერი მთავრობა საკმარისად მონოლითურია, რადგან სხვანაირად ვერ იმუშავებს. ეს წესი მოქმედებდა ადრე, მაგრამ ახლა არ ვრცელდება „სიღრმისეულ სახელმწიფოზე“. აშშ-ის ხელისუფლების სათავეში მოსული კლანები, რომლებიც თავიანთი ძალაუფლების გავრცელებას სრულიად დასავლეთზე ცდილობენ, ხელმძღვანელობენ მხოლოდ თავიანთი სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე და ფეხებზე ჰკიდიათ სახელმწიფოს ინტერესები.**

მათთვის სახელმწიფო მხოლოდ მოგების მაქსიმალური პრივატიზაციისა და წაგების ნაციონალიზაციის ინსტრუმენტია, მეზობლების ბედი არავის აინტერესებს.

**ამჟამად „დიდი ციფრი“ ცდილობს „ფინანსისტების ჯგუფის გადაგდებას გლობალური ოლიმპიდან. თუ წლიური შემოსავლებით „ციფრული“ Apple 2-ჯერ ჩამორჩება „რეალურ“ და გაცილებით „ფინანსურ“ Walmart-ს (შესაბამისად, 260 და 523 მლრდ დოლარი), საბირჟო კაპიტალიზაციით „ვაშლმა“ (1,112 ტრილიონ დოლარი), პრაქტიკულად 3,5-ჯერ გაუსწრო Walmart-ს (0,321 ტრლნ). და ეს არ არის ერთი შემთხვევა. Amazon-ის ელექტრონული ვაჭრობის საბირჟო კაპიტალიზაცია 970 მლრდ დოლარია, Aplhabet-ის — 798,9 მლრდ.**

მოკლედ, „უცნობ მამებს“ „დიდი ციფრიდან“ სურთ, ხელში ჩაიგდონ სრული ძალაუფლება ამერიკის სახელმწიფო ინსტიტუტზე, იქ კი თავს „ფინანსისტების“ ლიდერებად მიიჩნევენ. არსებობს „ფინანსისტების“ ორი სახეობა: „სუფთები“ და „დამოუკიდებლები“ (როგორიც არის კორპორაცია Berkshire Hathaway-ი), რომლებსაც მეთაურობს **უორენ ბაფეტი,** და არიან „სისტემურებიც“ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკების წარმომადგენელთა სახით, რომლებიც დოლარის, ფაქტობრივი მფლობელები არიან და მათი ინტერესები მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ერთმანეთის, ისე „დიდი ციფრის“ ინტერესებისგან. საკმარისია, გავიხსენოთ „ფეისბუკის“ მიერ წამოწყებული პროექტი Libra, რომლის მეშვეობით **მარკ ცუკერბერგი** ცდილობს დოლარის ჰეგემონიის შეცვლას ფულის ციფრული ვერსიით.

სხვათა შორის, **ამ ყველაფრით გასაგებია, რატომ დამარცხდა ტრამპი. ის გამოდიოდა, როგორც „ძველი სამრეწველო კაპიტალის“ წინამძღოლი, ამჟამად ვილაც „მეტიჩრების“ მიერ განზე გაწეული, მაგრამ სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან საბაზრო კაპიტალიზაცია, მაგალითად, კორპორაცია Ford-ისა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ ბურჯად ითვლებოდა, მხოლოდ 19 მლრდ დოლარია (წლიური ამონაგები — 155,9 მლრდ), ხოლო Microsoft-ის — 1,199 ტრილიონი (წლიური ამონაგები — 125,8 მლრდ).**

აი, ასეთია პოსტინდუსტრიალიზაციის შედეგები.

**regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი ბაჩიჩილაძემ**

> **„უცნობ მამებს“ აშშ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობა სულაც არ აინტერესებთ, პირიქით — ეს METOO, BLM, „რასიზმის ახალი ისტორია“ და სხვა რადიკალურ-ლიბერალური სიახლეები „მამებს“ თანამედროვე საზოგადოების პატერნალისტური საფუძვლების დასანგრევად სჭირდებათ. სწორედ ამ საფუძვლებს ჯერ კიდევ ეყრდნობა (ჯერ კიდევ) აშშ-ის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის, სოციალური ვალდებულებების მოქმედი მექანიზმები, ისეთები, როგორიცაა შრომის მინიმალური ანაზღაურების ცნება და გასული საუკუნის 60-70-იან წლებში პროფკავშირების მიერ კაპიტალისტებისთვის ხელიდან გამოგლეჯილი 8-საათიანი სამუშაო დღე, 5-დღიანი სამუშაო კვირა, ავადმყოფობის გამო განაცდურის ანაზღაურება და ყოველწლიური შვებულება**




## Fox News: ყველაფერი გაცილებით ცუდადაა, ვიდრე ვფიქრობდით — ადამიანი, რომელიც ბაიდენის განკარგულებით მოკლეს, ტერორისტი არ ყოფილა

**ადამიანი, რომლის ლიკვიდაციაც ჯო ბაიდენის განკარგულებით მოხდა ქაბულის აეროპორტში მოწყობილი ტერაქტის საპასუხოდ, როცა რამდენიმე ბავშვი დაიღუპა, ამერიკის ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომელი აღმოჩნდა, — იუწყება Fox News-ი The New York Times-ზე დაყრდნობით.**

ახალი სენსაციური მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ავღანეთიდან უნიჭო გამოსვლა იმაზე უარესია, ვიდრე ვფიქრობდით. The New York Times-ის ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტი, რომელიც ბაიდენის განკარგულებით მოკლეს, სავარაუდოდ, ქაბულის აეროპორტში მოწყობილი ტერაქტის გამო, სულაც არ იყო „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი. ის ამერიკული ჰუმანისტური ორგანიზაციის წევრი გახლდათ.

ბაიდენის არაკომპეტენტურობამ 13 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვა გამოიწვია ქაბულის აეროპორტში. შემდეგ ის დათანხმდა, უპილოტო საფრენი აპარატით დასხმოდნენ თავს ადამიანს და, როგორც ჩანს, მასთან ერთად რამდენიმე ბავშვიც გამოასალმეს სიცოცხლეს.

The New York Times-ის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოში ჩანს, რომ ჰუმანიტარული ორგანიზაციის მუშაკები თავიანთ მანქანას ტვირთავდნენ არა ბომბებით, არამედ წყლის ბოთლებით.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**



## ბრიტანეთის ელიტური სპეცრაზმის წევრებმა ქალის ტანსაცმელი გადაიცვეს და ისე გაიპარნენ ავღანეთიდან

**ბრიტანეთის სპეციალური ავიასადესანტო ჯგუფის (SAS) სპეცრაზმელებმა ქალის კაბები გადაიცვეს, რათა ავღანეთიდან გაქცევისას თალიბებს არ დაეპატიმრებინათ, — იუწყება გაზეთი The Sunday Express-ი.**

გამოცემა წერს, რომ ბრიტანელმა სამხედროებმა შეძლეს რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ მოტყუება და ავღანეთის დედაქალაქის აეროპორტამდე მისვლა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გზაში რამდენიმეჯერ გააჩერეს შესამოწმებლად.

The Sunday Express-ის ხელთ არსებული ინფორმაციით, ბრიტანელი ელიტური სპეცრაზმის 20-მა მებრძოლმა ვერ მოასწრო ავღანეთის სამხრეთიდან ევაკუაცია. სამხედროებს დამოუკიდებლად მოუწიათ ქაბულში ჩასვლა და სწორედ ამიტომ შეინიღბნენ ასე.

„სამხედროებმა მიატოვეს თავიანთი აღჭურვილობის დიდი ნაწილი, იარაღისა და ტყვია-წამლის გარდა, და შეიმოსნენ ფარანჯებით“, — განუცხადა გამოცემას წყარომ სამხედრო უწყებიდან.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელ სპეცრაზმელებს რამდენიმე კრიზისული მომენტი ჰქონდათ გზაზე, მაგრამ თალიბებს არც ერთხელ არ მოუთხოვიათ ფარანჯის მოხსნა.

29 აგვისტოს გაერთიანებული სამეფოს პრემიერმინისტრმა ***ბორის ჯონსონმა*** განაცხადა, რომ დიდმა ბრიტანეთმა დაასრულა ინგლისის ქვეშევრდომთა ევაკუაცია ავღანეთის დედაქალაქ ქაბულიდან. ორი კვირის განმავლობაში ავღანეთის დედაქალაქიდან 15 ათასზე მეტი ადამიანი გამოიყვანეს.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი ბაჩიჩილაძემ**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აკადემიკოს აბრამ იოფეს უნიკალური მეხსიერება**

მეცნიერის უნიკალური მეხსიერება ახალ დონეზე მას შემდეგ ავიდა, რაც შეძლო ლოგარითმების ცხრილის დამახსოვრება. „საბჭოთა ფიზიკის მამამ" შეძლო, არც მეტი, არც ნაკლები 30 მლნ-ზე მეტი ციფრის დამახსოვრება.

# ადამიანები ზებუნებრივი უნარებით

ბევრს ჰგონია, რომ ზებუნებრივი უნარის მქონე ადამიანები მხოლოდ კინოს, მულტფილმებისა და კომიქსების გმირები არიან, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში შეიძლება შევხვდეთ ადამიანს, რომელთა მსგავსი არც კი დასიზმრებიათ ჰოლივუდელ სცენარისტებს. რა თქმა უნდა, მათ არ შეუძლიათ ფრენა ან ტელეპორტირება, მაგრამ თითოეული მათგანის ექსტრაორდინალური თვისებები მეცნიერებმა ჯერ კიდევ ვერ ამოხსნეს.



## «კიმპიუტერი» კიმ პიკი

ფენომენალური მეხსიერების მქონე ამერიკელს წაკითხული ინფორმაციის 98%-ის დამახსოვრება შეეძლო, რის გამოც „კიმპიუტერი" შეარქვეს. ის იყო მსახიობ **დასტინ ჰოფმანის** გმირის პროტოტიპი ფილმში „წვიმის კაცი".

**კიმ პიკი** არაპროპორციულად დიდი თავით დაიბადა — კეფაზე ჰქონდა ბეისბოლის ბურთის ზომის თიაქარი, თანდაყოლილი მანკი, რის გამოც ტვინის ნახევარსფეროები ერთმანეთთან დაკავშირებული არ იყო. მეცნიერთა ვარაუდით, ტვინის ნეირონებმა შექმნა ახალი ნაერთი, რომელმაც გამოიწვია კიმის მეხსიერების მრავალჯერ გაზრდა.

კიმმა, მისი მამის თქმით, კითხვა ისწავლა, როცა 16 თვის იყო; 3 წლის კი კითხულობდა გაზეთებს, იყენებდა განმარტებით ლექსიკონს გაუგებარი სიტყვების განსამარტავად, 7 წლისამ ბიბლია ზეპირად იცოდა. ჩვეულებრივ სკოლაში კიმი არ მიიღეს, მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვებისთვის კი 1950-1960-იანი წლების ამერიკაში სპეციალური სასწავლებლები არ არსებობდა. კიმის მასწავლებლობა მამამ დაიკისრა. 14 წლის ბიჭმა სასკოლო პროგრამის შესწავლა დაასრულა, მაგრამ შტატების ხელისუფლებამ სათანადო სერტიფიკატი არ მისცა ხეიბრობის გამო. კიმმა კითხვის განსაკუთრებული ტექნიკა შეიმუშავა — სტანდარტული წიგნის გაშლილი 2 გვერდის წაკითხვას 8-10 წამს ანდომებდა.

სიცოცხლის ბოლოს კიმს ახსოვდა მის მიერ წაკითხული 12 ათასი წიგნი. სიარული კი კიმმა 4 წლისამ ისწავლა, უჭირდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო მოქმედებების შესრულება (მაგალითად, ღილების შეკვრა). ვერ სწვდებოდა ანდაზებისა და ფრთიანი გამოთქმების აზრს. თუმცა იყო მახვილგონიერი, რაც იშვიათია მსგავსი ადამიანისთვის. 2002 წელს მან ფორტეპიანოზე დაკვრა ისწავლა და, ძირითადად, დამახსოვრებულ ნაწარმოებებს ასრულებდა.

გარდაიცვალა 58 წლისა 2009 წლის 19 დეკემბერს მიოკარდის ინფარქტით.





## ძლევამოსილი მასუტაცუ ოიამა



საბრძოლო ხელოვნების იაპონელი ოსტატი და მასწავლებელი კარატეს მე-10 დანის მფლობელი და დაუმარცხებელი ჩემპიონია. მან შექმნა საბრძოლო ხელოვნების თავისი სტილი და სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა კარატე კიოკუსინკაის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრიც მილიონობით ადამიანი იყო მსოფლიოში. ამბობენ, რომ მასუტაცუმ სამი დღის განმავლობაში სხვადასხვა მეტოქესთან 100-100 ბრძოლა (ორწუთიანი) ჩაატარა და ყველაში გაიმარჯვა. საბრძოლო ხელოვნების დიდოსტატმა სახელი იმითაც გაითქვა, რომ შიშველი ხელებით ებრძოდა ხარს და შეეძლო, გავეშებული ცხოველის ერთი დარტყმით წაქცევა.



## «ბატონი ყველაფერისმჭამელი» — მიშელ ლოტიტო



ლოტიტო ფრანგული ესტრადის მსახიობია, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ ჭამდა რკინისა და მინის საგნებს. 9 წლის იყო, როცა თანატოლების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მინის ჭიქა შეჭამა. მიშელმა საზოგადოების წინაშე გამოსვლა 1966 წლიდან დაიწყო. ის ჭამდა ველოსიპედებს, ურიკებს, ტელევიზორებს... 1997 წლამდე შეჭამა 9 ტონა 15 რკინის ურიკა საყიდლებისთვის, 7 ტელევიზორი, ეიფელის კოშკის ნაწილი და... თვითმფრინავი. მის ზებუნებრივ უნარს მედიკოსები უწოდებენ პიკაციზმს — კვებით აშლილობას, რომელიც არასაკვები ნივთიერებების შეჭმის სურვილში გამოიხატება. ლოტიტო ლითონის საგნებს პატარა ნაჭრებად ჭრიდა,ასხამდა მცენარეულ ზეთს და ყლაპავდა, თან წყალს აყოლებდა. ბატონი ყველაფრისმჭამელი თვითმფრინავ „სესნა-150"-ს 2 წლის განმავლობაში მიირთმევდა. მიშელ ლოტიტო 2007 წელს გარდაიცვალა.



## ადამიანი-რენტგენი — ნატალია დემკინა

ნატალია 10 წლის იყო, როცა პირველად გააცნობიერა, რომ შეუძლია ადამიანის კანის შიგნით შეიხედოს. დემკინა ამტკიცებს, რომ აქვს „მეორე მზერა", რომლითაც შეუძლია დაინახოს ადამიანის შიგა ორგანოები. „მე თითქოს ორი მხედველობა მაქვს, შემიძლია ნებისმიერ მომენტში გადავერთო, თუ მომინდება ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაგება. ასეთი რამ ჩემთვის რთული არ არის, საკმარისია, მხოლოდ გავიფიქრო. ვხედავ ორგანიზმის აგებულებას, რა სად არის და როგორ მუშაობს. რთული ასახსნელია, როგორ ვადგენ დაავადებას. დაზიანებული ორგანოებიდან იმპულსების მსგავსი რამ მოდის. მეორე მხედველობა მოქმედებს მხოლოდ დღე და „იძინებს" ღამით", — ამბობს ნატალია დემკინა. მისი უნიკალური უნარი მსოფლიოს ბევრმა ექსპერტმა შეისწავლა. 2004 წელს ტელეარხმა Discovery Chanel-მა დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღო სახელწოდებით „გოგონა რენტგენის თვალებით".





## «უნიკალური სმენა» — დენიელ კიში

ამერიკელმა მამაკაცმა, რომელიც 13 წლის იყო, როცა დაბრმავდა, გამაოგნებელ შედეგებს მიაღწია ექოლოკაციაში. უნიკალური უნარის წყალობით მისი გადაადგილება არ განსხვავდება ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანების გადაადგილებისგან. დენიელი არის 2000 წელს დაარსებული ბრმების არაკომერციული მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი. კიშმა და მისმა ორგანიზაციამ 500 ბრმა ბავშვს ასწავლეს ექოლოკაცია.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**



**მესის, დონარუმასა და რამოსის დამატების გარდა პარიზელებმა მოახერხეს, უფასოდ გადაებირებინათ ჰოლანდიის ნაკრებისა და „ლივერპულის“ აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი ჯორჯინიო ვეინალდუმი. ამდენი თავისუფალი აგენტის გადაბირება ძალიან დიდი წარმატებაა ნებისმიერი კლუბისთვის, თუნდაც ის მსოფლიოში ყველაზე მდიდარ კლუბად ითვლებოდეს, „პარი სენ-ჟერმენი“ კი სწორედ ასეთია.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2021 წლის ყველაზე გახმაურებული საფეხბურთო გარიგებები

31 აგვისტოს ევროპაში დაიხურა ე.წ. სატრანსფერო ფანჯარა, ყველაზე განსაცვიფრებელი ფეხბურთის ისტორიაში. მესიმ, რამოსმა, ლუკაკუმ, დონარუმამ, რონალდუმ კლუბები გამოიცვალეს — მსოფლიო ვარსკვლავების ჯგუფი ერთი გუნდიდან მეორეში გადავიდა. გთავაზობთ ყველაზე ხმაურიან ტრანსფერებს, რომლებიც მომავალში ბევრ რამეს შეცვლის ფეხბურთში.




## ლიონელ მესი,
### 34 წლის, თავისუფალი აგენტი. „ბარსელონადან“ გადავიდა პსჟ-ში

2020-2021 წლების სეზონის სტატისტიკა: 47 მატჩი, 38 გოლი და 14 საგოლე გადაცემა.

დიდი ფინანსური პრობლემების გამო „ბარსელონამ“ ვერ შეძლო მესისთან კონტრაქტის გაფორმება და იძულებული შეიქნა, გაეშვა არგენტინელი ვარსკვლავი.

29 აგვისტოს „ბარსელონას“ ექსფორვარდმა პირველად ითამაშა ფრანგული კლუბის მაისურით.

## ჯანლუიჯი დონარუმა,
### 22 წლის, თავისუფალი აგენტი, „მილანიდან“ — პსჟ-ში




2020-2021 წლების სტატისტიკა: 48 მატჩი, 15 თამაშში ბურთი არ გაუშვია, სულ კი 54 გაუტანეს.

22 წლის მეკარემ დაასრულა „მილანში“ ასპარეზობა. პარიზულმა პსჟ-მა, რომელმაც საფეხბურთო სამყარო იმით განაცვიფრა, რომ 2020-2021 წლების სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში მსოფლიოში სახელგანთქმულ ვარსკვლავებთან ისე გააფორმა კონტრაქტები, მათი ყოფილი კლუბებისთვის ცენტიც არ გადაუხდია, ხელიდან არ გაუშვა შანსი, კლუბში აეყვანა ევროპის ჩემპიონი. დონარუმამ პსჟ-სთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.




## რაფაელ ვარანი,
### 28 წლის, 40 მლნ ევროდ „რეალიდან“ — „მანჩესტერ იუნაიტედში“

2020-2021 წლების სტატისტიკა: 11 მატჩი, 2 გოლი.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ გასულ სეზონში პრობლემები ჰქონდა დაცვის ცენტრში. ახლა გამოცდილი ვარანის დამატება ამ ზონას გააძლიერებს. ვარანმა 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## ჯეკ გრილიში,
### 26 წლის, 117,5 მლნ ევროდ „ასტან ვილადან“ — „მანჩესტერ სიტიში“




2020-2021 წლების სეზონის სტატისტიკა: 27 მატჩი, 7 გოლი, 12 საგოლე გადაცემა.

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი 2021 წლის ტრანსფერების სარეიტინგო სიის პირველი ნომერია მასში გადახდილი თანხის მიხედვით. გრილიში „მანჩესტერ სიტიში“ 5 აგვისტოს გადავიდა, 6-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და 10-ნომრიანი მაისური მოირგო. 26 წლის ნახევარმცველის თქმით, ძალიან სურდა, გვარდიოლას გაწვრთნილ გუნდში ეთამაშა.




## რომელუ ლუკაკუ,
### 28 წლის, 115 მლნ ევროდ „ინტერიდან“ — „ჩელსიში“

2020-2021 წლების სეზონის სტატისტიკა: 44 მატჩი, 30 გოლი, 10 საგოლე გადაცემა.

ათლეტური აღნაგობის ბელგიელმა თავის დროზე ფეხი ვერ მოიკიდა „ჩელსიში“. 2014 წელს ლონდონურმა კლუბმა ლუკაკუ 35 მლნ ევროდ გაყიდა. 7 წლის შემდეგ კი „ჩელსიმ“ მილანის „ინტერს“ 115 მლნ ევრო გადაუხადა იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირში.




## კრიშტიანუ რონალდუ,
### 36 წლის, 15 მლნ ევროდ „იუვენტუსიდან“ — „მანჩესტერ იუნაიტედში“

2020-2021 წლების სეზონის სტატისტიკა: 44 მატჩი, 36 გოლი, 4 საგოლე გადაცემა.

რონალდუმ 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და ახლა ის „ოლ ტრაფორდზე“ ითამაშებს.




## სერხიო რამოსი,
### 35 წლის, თავისუფალი აგენტი, „რეალიდან“ — პსჟ-ში

2020-2021 წლების სტატისტიკა: 21 მატჩი, 4 გოლი, 2 საგოლე გადაცემა.

როგორც კი თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა, 35 წლის ესპანელმა მცველმა 2-წლიან კონტრაქტებს მოაწერა ხელი ფრანგულ პსჟ-სთან, მანამდე კი უარი განაცხადა ინგლისურ „მანჩესტერ სიტისა“ და „არსენალში“ გადასვლაზე.

## ჯორჯინიო ვეინალდუმი,
### 30 წლის, თავისუფალი აგენტი, „ლივერპულიდან“ — პსჟ-ში




მესის, დონარუმასა და რამოსის დამატების გარდა პარიზელებმა მოახერხეს, უფასოდ გადაებირებინათ ჰოლანდიის ნაკრებისა და „ლივერპულის“ აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი ჯორჯინიო ვეინალდუმი. ამდენი თავისუფალი აგენტის გადაბირება ძალიან დიდი წარმატებაა ნებისმიერი კლუბისთვის, თუნდაც ის მსოფლიოში ყველაზე მდიდარ კლუბად ითვლებოდეს, „პარი სენ-ჟერმენი“ კი სწორედ ასეთია.

## აშრაფ ჰაკიმი,
### 22 წლის, 60 მლნ ევროდ მილანის „ინტერიდან“ — პსჟ-ში




2020-2021 წლების სეზონის სტატისტიკა: 45 მატჩი, 7 გოლი, 11 საგოლე გადაცემა.

„ინტერი“ დათანხმდა პარიზული კლუბის შეთავაზებას და შემტევი მცველი დაუთმო. ჰაკიმიმ უკვე ითამაშა რამდენიმე მატჩი პსჟ-ს შემადგენლობაში და მის ანგარიშზე უკვე 1 ბურთი და 2 საგოლე გადაცემაა.

## საინტერესო ფაქტები ფეხბურთის ისტორიიდან:

* პირველი ფეხბურთელი, რომლის გამოც ფული გადაიხადეს, იყო შოტლანდიელი **ვილი გროუვზი.** 1893 წელს „ვესტ ბრომვიჩის“ ამ თავდამხმელის „ასტონ ვილაში“ გადასვლაში 100 გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს — ეს იყო საჯარიმო თანხა კლუბის ხელმძღვანელობასთან „ასტონ ვილაში“ შეუთანხმებლად გადასვლის გამო.

* სატრანსფერო თანხამ პირველად გადააჭარბა 100 ათას გირვანქა სტერლინგს 1961 წელს, როცა ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ლუის სუარეს მირამონტესი „ბარსელონადან“ მილანის ინტერში გადავიდა 152 ათას ევროდ.

* პირველი მილიონი კი გადაიხადეს 1975 წელს. „ბოლონიის“ ფორვარდ ჯუზეპე სავოლდიში „ნაპოლიმ“ 1,2 მლნ გირვანქა სტერლინგი არ დაიშურა.

* 100 მლნ ევრო პირველად გადაიხადეს 2013 წელს, როცა გარეტ ბეილი „ტოტენჰემიდან“ მადრიდის „რეალში“ გადავიდა.

* ყველაზე დიდი სატრანსფერო რეკორდი ეკუთვნის ნეიმარს — 2017 წელს პარიზულმა პარი სენ-ჟერმენმა 222 მლნ გადაუხადა „ბარსელონას“ ბრაზილიელ ვარსკვლავში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# ევროპის ბაზარზე გაზის ფასმა მორიგი რეკორდი დაამყარა

## ბუნებრივი აირის გაძვირების მთავარი მიზეზი საცავებში მარაგის სიმცირეა



**ევროპის ბაზარზე ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასმა 760 დოლარს გადააჭარბა და მორიგი რეკორდი დაამყარა.**

როგორც ვაჭრობის შედეგებიდან ირკვევა, ოქტომბრის ფიუჩერსების ფასი ჰოლანდიური TTF-ის ინდექსით (ევროპის ყველაზე ლიკვიდური ჰაბი) ვაჭრობის დასაწყისში 690,5 დოლარს შეადგენდა ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზე. დღის განმავლობაში ის 678,7 დოლარამდე ჩამოვიდა, თუმცა მერე ნახტომისებურად აიწია და 710 დოლარს მიაღწია.

„მაღალი ფასის მთავარი მიზეზი ევროპის საცავებში მარაგების სიმცირეა შარშანდელი ცივი ზათრისა და ცხელი ზაფხულის გამო", — განმარტა ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეულის სააგენტო Fitch-ის დირექტორმა **დიმიტრი მარინჩენკომ.**

მისი თქმით, ირიბი ნიშნებით, ამას ემატება ისიც, რომ „გაზპრომს" არ სურს, ძალიან დიდი რაოდენობით გაზი გადატუმბოს საცავებში ან გაზარდოს გაყიდვის მოცულობა „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის ამუშავების წინ.

**sputnik-georgia.com -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

# გუანტანამოს ყოფილმა პატიმარმა ამერიკელი სამხედროები წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ამხილა



**RT-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გუანტანამოს ყოფილმა ტუსაღმა, მოაზამ ბეგმა, ილაპარაკა, როგორი სისასტიკით ეპყრობოდნენ ამერიკელი სამხედროები პატიმრებს.**

ბეგის თქმით, მის თვალწინ ცემით გამოასალმეს სიცოცხლეს ორი ადამიანი; მას კი, როგორც თვითონ ამბობს, „აწამებდნენ, ცემდნენ, ამცირებდნენ და ამ ყველაფერს იღებდნენ; აგრეთვე, აიძულებდნენ, ხელი მოეწერა აღიარებაზე, რომ „ალ-ქაიდას" წევრია (მიუხედავად იმისა, რომ ასე არ იყო). ამას აკეთებდნენ შვილების ფოტოების ჩვენებითა და შანტაჟით, გვერდით ოთახიდან კი ქალის ყვირილს ასმენინებდნენ, თითქოს ეს ქალი მის ცოლი იყო. ამერიკელების ცენზურას გადიოდა ის წერილები, რომლებსაც მოაზამ ბეგი შვილებისგან იღებდა. გუანტანამოში ჩადენილი დანაშაულების გამო ამერიკელი სამხედროებისგან არავინ დასჯილა, რადგან სამხილები გაანადგურეს.

„ამერიკელობა იმუნიტეტია!" — განაცხადა ბეგმა.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**

# პოლონეთი ევროკავშირიდან გასვლით იმუქრება

**პოლონეთმა ევროკავშირის ხელმძღვანელობას გაუგზავნა გამაფრთხილებელი მიმართვა თანამეგობრობიდან გასვლის შესახებ. ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც ვარშავამ ბრიუსელიდან მიიღო მითითება, ჩაატაროს სასამართლო რეფორმა ან გადაიხადოს უზარმაზარი ჯარიმა.**



ევროკავშირის ამ ბრძანების საპასუხოდ პოლონეთის მმართველი კონსერვატიულ-ნაციონალისტური პარტია „სამართალი და სამართლიანობის" წარმომადგენელმა **რიშარდ ტერლეცკიმ** განაცხადა, რომ ევროკავშირთან დაპირისპირებაში რადიკალურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ. მან ხელისუფლებას ურჩია, მაგალითი აეღო დიდი ბრიტანეთისგან, რომელმაც დატოვა ევროპული თანამეგობრობა.

„თუკი საქმეები კვლავაც ამ მიმართულებით წავა, მოგვიწევს რადიკალური გადაწყვეტილებების გამონახვა. ბრიტანელებმა ყველას დაანახვეს, რომ ბრიუსელის ბიუროკრატიის დიქტატურა მისაღები არ არის, შეტრიალდნენ და წავიდნენ", — განაცხადა ტერლეცკიმ, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა Brexit-ი.

ეს განცხადება ვარშავის საპასუხო რეაქცია იყო ევროკავშირიდან მიღებულ უწყებაზე, რომ მან მიმართა სასამართლოს თხოვნით, ვარშავას დაეკისროს ყოველდღიური ჯარიმა მილიონი ევროს ოდენობით სასამართლო რეფორმის ჩატარებაზე უარის თქმისა და მოსამართლეთა დისციპლინური პალატის შექმნის გამო.

ბრიუსელის აზრით, მსგავსი პრაქტიკა ძირს უთხრის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, აძლიერებს მმართველი პარტიის კონტროლს სასამართლოზე და არღვევს ევროკავშირის კანონებს. ევროკავშირი მოითხოვს, ვარშავამ უარი თქვას სასამართლოს ასეთ რეფორმაზე და შეაჩეროს მოსამართლეთა დისციპლინური პალატის მუშაობა.

ამასთანავე, ევროკომისიამ განიზრახა, შეაჩეროს პოლონეთისთვის განკუთვნილი თანხის გადარიცხვა, რომელიც უნდა მოხმარებოდა კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების შედეგების აღმოფხვრას (ეს თანხა 36 მლრდ ევროს შეადგენს), სანამ პოლონეთი არ გაატარებს ევროკავშირისთვის მისაღებ სასამართლო რეფორმას.

ტერლეცკის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთეს პოლონეთის ოპოზიციაში, რომელსაც ევროპის საბჭოს ყოფილი პრეზიდენტი **დონალდ ტუსკი** მეთაურობს. მათ მმართველი პარტია დაადანაშაულეს, რომ ის „ევროკავშირში პოლონეთის წევრობას საფრთხეს უქმნის".

**Eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

# «ევროპას არ სჭირდება ახალი პრობლემები უკრაინის გამო»



იურის პოიკანსი

**„ევროკავშირის ქვეყნებს არ სურთ, ახალი პრობლემები შეექმნათ უკრაინის გამო", — მიაჩნია უკრაინაში ლატვიის ელჩ იურის პოიკანსს. დიპლომატის თქმით, ევროკავშირის წევრობა ითვალისწინებს თანხმობას თანამეგობრობის 27 წევრი ქვეყნისა, რომლებსაც განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ უკრაინის მიმართ და მათი ნაწილი ევროკავშირის გაფართოების საფუძველს ვერ ხედავს.**

„სანამ თანხმობა არ იქნება, ძნელია ლაპარაკი ევროკავშირში მიღების ვადებზე", — აღნიშნა პოიკანსმა.

უკრაინაში ლატვიის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ ევროპულ თანამეგობრობაში ახალი წევრების მიღების მოწინააღმდეგე ქვეყნებს სურთ, ევროკავშირში ისეთი სახელმწიფოები იხილონ, „რომლებიც უკვე მზად არიან ინტეგრაციისთვის. არავის სურს ახალი პრობლემები მიიღოს", — დასძინა ლატვიელმა დიპლომატმა.

**Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძე**




# პერსპექტივა ევროკავშირულად — 6 მლნ-ზე მეტმა ზრდასრულმა გერმანელმა წერა-კითხვა არ იცის

**8 სექტემბერს გერმანიის განათლების ცენტრებში წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანების გასანათლებლად რამდენიმე პროგრამა წარადგინეს, — იუწყება ტელეარხი Das Erste.**

გერმანიის განათლების სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანაში 6 მლნ ადამიანია, რომლებმაც წერა-კითხვა სათანადოდ არ იციან. ბევრს ამის გამო რცხვენია და ცდილობს, ყოველდღიურ ცხოვრებაში არ გამოამჟღავნოს უცოდინარობა, ამიტომ ისეთ ადგილზე იწყებენ მუშაობას, წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელი რომ არ არის.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

# «პირველივე წამებზე ნოკაუტში ჩავაგდებდი» — ტრამპმა რინგზე ორთაბრძოლის გამართვა ისურვა ბაიდენთან

**ევანდერ ჰოლიფილდისა და ვიტორ ბელფორტის რინგზე შეხვედრის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ჰკითხეს, ვისთან ისურვებდა ორთაბრძოლის გამართვას რინგზე. ტრამპმა განაცხადა, რომ პროფესიონალ მოკრივესთან დაპირისპირებაზე უარს იტყოდა, მაგრამ რინგზე სიამოვნებით გამართავდა ორთაბრძოლას მოქმედ პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან.**



9 სექტემბერს აშშ-ის ექსპრეზიდენტ დონალდ ტრამპი ტელეფონით ჩაერთო პრესკონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა ამერიკელ **ევანდერ ჰოლიფილდისა** და ბრაზილიელ **ვიტორ ბელფორტის** ორთაბრძოლას.

პრესკონფერენციის მიმდინარეობისას დონალდ ტრამპს ჰკითხეს, ვისთან ისურვებდა რინგზე შეხვედრას. „პროფესიონალთან შეხვედრისგან თავს შევიკავებდი... მაგრამ, თუ არჩევანის საშუალება მომეცემოდა, ვისურვებდი ჯო ბაიდენთან ორთაბრძოლის გამართვას. მას (ბაიდენს) დიდი პრობლემები შეექმნებოდა, თუ ასეთ ორთაბრძოლაში მონაწილეობას გადაწყვეტდა, პირველივე წამებზე ნოკაუტში ჩავარდებოდა", — განაცხადა **დონალდ ტრამპმა.**

ჰოლიფილდისა და ბელფორტის შეხვედრაზე დონალდ ტრამპი და მისი ვაჟი დონალდ ტრამპი (უმცროსი) კომენტატორებად მოევლინენ საზოგადოებას.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894